პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 იანვარი ხუთშაბათი 2014
№018 (14 239) ფასი 80 თეთრი

## შუმი



## სიცოცხლის ნიშნებს იძლევა

16

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა ფაჩულია

# მალე ვითამაშებ!

ინტერვიუ

13

## დაახალეს პირდაპირ... დეზებში!

სიტიმ ლონდონი დალაშქრა: ტოტენჰემი შეარცხვინა, არსენალს ლიდერობა წაართვა



5



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ბორჯღალი დატრიალდა

ღია ვარჯიში საბელგიოდ

13

ზესტაფონი

# ახალწვეულები, ექვსეული და ევროპა

გუშინ „ზესტაფონმა" საფეხბურთო საზოგადოებას 12 ახალი ფეხბურთელი წარუდგინა. ექვსთვიანი პაუზის შემდეგ იმერულ გუნდს დაუბრუნდა **თეიმურაზ ლონლაძე** („დილა", ითამაშებს მე-2 ნომრით), გუნდში ჩაირიცხნენ აგრეთვე „ტორპედოს" ყოფილი მეკარე **დავით კუპატაძე** (13), მცველები - **გიორგი გურული** („დილა", 17) და **ზაზა ჭელიძე** („ტორპედო", 37), ნახევარმცველები - **გრიგოლ დოლიძე** („დილა", 22) და **გიორგი კუხიანიძე** („ტორპედო", 10), თავდამსხმელები - **დიმიტრი ტატანაშვილი** („ჩიხურა", 18) და **ნიკა საბანაძე** („ტორპედო", 9). კონტრაქტების მიხედვით, ისინი „ზესტაფონის" ღირსებას მომდევნო 2 წლის განმავლობაში დაიცავენ. ამათ გარდა, გუნდში მივიდნენ შემტევი ნახევარმცველი **რევაზ გეწაძე** („მეტალურგი", 99) და ფორვარდი **თორნიკე კაპანაძე** („ტორპედო", 32), რომელთაც 2-წელიწადნახევრიანი ხელშეკრულებები გაუფორმეს, ნახევარმცველმა **ბექა კაკუშაძემ** („ტორპედო", 42) და თავდამსხმელმა **გიორგი ფანცულაიამ** („ტორპედო", 7) კი „ზესტაფონს" ბედი 3-3 წლით დაუკავშირეს.



ზესტაფონმა ახალწვეულები წარადგინა

ფოტო: fczestafoni.ge

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზესტაფონურ კლუბში გააგრძელებს კარიერას ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე **ომარ მიგინეიშვილი**, თუმცა მის ტრანსფერთან დაკავშირებით ჯერ იურიდიული პროცედურებია მოსაწესრიგებელი. ზესტაფონელები იმედოვნებენ, რომ მიგინეიშვილის საკითხი თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე მოგვარდება.

ფეხბურთელების წარდგენამდე „ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძესთან** ერთად მზადების პროცესის მიმდინარეობასა და გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

- მზადების პირველ ეტაპს თერჯოლის „საპოვნელასთან" ამხანაგური მატჩით ვამთავრებთ. ამ დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. იყო გარკვეული ხარვეზები, ცუდი ამინდების გამო წვრთნები შეფერხებით მიმდინარეობდა, ხშირ შემთხვევაში თოვლში ვარჯიშიც გვიწევდა, ხელი შეგვიშალა ზოგიერთი მოთამაშის ავადმყოფობამაც, პრობლემა იყო ისიც, რომ ფეხბურთელთა ნაწილი გვიან შემოგვიერთდა, მაგრამ ფიზმომზადების მწვრთნელის მეშვეობით ფეხბურთელები მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში არიან. სირთულეების მიუხედავად, ამ ეტაპს დადებითად შევაფასებ. ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი დავრჩი. რაც შეეხება მზადების მეორე ეტაპს - 1 თებერვალს მივემგზავრებით თურქულ შეკრებაზე, სადაც 17 თებერვლის ჩათვლით მოვემზადებით. დაგეგმილია 5 სპარინგ-მატჩი. ორგანიზატორებმა საკმაოდ სოლიდური მოწინააღმდეგეები შეგვირჩიეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ 4 თებერვალს რუმინულ „პანდურიის" შევხვდებით, 7-ში ჩეხურ „პრშიბრამს, 13-ში ოდესის „ჩერნომორეცს", ხოლო 16-ში მაკედონიურ „ტურნოვოს". იმედი გვაქვს, რომ თურქეთში ნაყოფიერ შეკრებას გავივლით და ეროვნული ჩემპიონატის განახლებას სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**- ახალწვეულებზე რას გვეტყვით?**

- ახალწვეული ბევრი გვყავს, შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადახალისდა. ამ ფეხბურთელების უმეტესობას საფეხბურთო საზოგადოება კარგად იცნობს და წარდგენა არ სჭირდებათ. „ზესტაფონის" გულშემატკივრებიც დადებითად აფასებენ ამ ცვლილებებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ახალწვეულები ყველას მოლოდინს გაამართლებენ.

**- კიდევ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას?**

- სანამ სატრანსფერო ფანჯარა ღიაა, გამორიცხული არაფერია.

**- ლეგიონერები თუ რჩებიან გუნდში?**

- რენე ფერეირა, აჯურუ და იგორ იელიჩი „ზესტაფონში" აგრძელებენ კარიერას.

**- რა მიზნებს ისახავს „ზესტაფონი" მიმდინარე ჩემპიონატში?**

- პირველ რიგში, ჩვენი მიზანი ზედა ექვსეულში მოხვედრაა, თანაც, გვსურს, ქულათა მარაგიც საკმარისი გვქონდეს საიმისოდ, რომ მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლოთ. ძალიან მინდა, წლეულს ზაფხულში ევროთასებზე ვიასპარეზოთ და ვნახოთ... ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. პრაქტიკულად ახალი გუნდი გვყავს და ამ ბიჭებს შეთამაშება სჭირდებათ. იმედი მაქვს, ეს პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის.

■ ■ ■

პერსონალური მაისურების (სხვათა შორის, სეზონის მეორე ნახევარში „ზესტაფონი" „პუმას" განახლებული დიზაინის ეკიპირებით შეიმოსება) გადაცემის საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ, გუნდის ახალწვეულები გულშემატკივართა წინაშე დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის მოედანზე გამოჩნდნენ. „ლელო" რამდენიმე მათგანს გაესაუბრა.

**გრიგოლ დოლიძე:** *„მიხარია, რომ „ზესტაფონმა" ნდობა გამომიცხადა და საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ გუნდში ჩავირიცხე. ვეცდები, მწვრთნელებისა და გულშემატკივრების ნდობა გავამართლო და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო".*

**დიმიტრი ტატანაშვილი:** *„უკვე 20 დღეა, ამ გუნდის წევრი ვარ. ძალიან კარგმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, კარგი მწვრთნელებიც გვყავს და ძალიან სასიამოვნოა ამ გუნდში თამაში. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ჩემი წვლილი შევიტანო „ზესტაფონის" წარმატებაში. ამბიციური გუნდი იქმნება და ამიტომაც ვამჯობინე აქ გადმოსვლა. რაც შეეხება ბომბარდირობას, რა თქმა უნდა, ეს თავდამსხმელისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარია, გუნდმა მიაღწიოს წარმატებებს. მე კი ვეცდები, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო".*

**გიორგი კუხიანიძე:** *„პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ქუთაისელ გულშემატკივრებს იმ დიდი მხარდაჭერისთვის, რასაც მათგან ვგრძნობდი, თუმცა, ვფიქრობ, „ზესტაფონში" გადმოსვლა ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება მიზნებს, წლეულს ევროპალიგის საგზური „ზესტაფონისთვის" წარმატება იქნება, მომავალი სეზონისთვის კი აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ".*

■ ■ ■

ბოლოს თერჯოლის „საპოვნელასთან" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაზეც ვთქვათ. ზესტაფონელებმა მეტოქე 7:0 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ შვიდივე გოლი ახალწვეულების ანგარიშზეა. დუბლები შეასრულეს **თორნიკე კაპანაძემ** და **ნიკა საბანაძემ**, დანარჩენი სამი გოლი კი **რევაზ გეწაძემ, გრიგოლ დოლიძემ** და **გიორგი ფანცულაიამ** გაიტანეს.

**დავით პოხრეიძე**
ზესტაფონიდან

არშემდგარი ტრანსფერი

# ზურაბ მენთეშაშვილი ტორპედოში არ ითამაშებს

ქუთაისის „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელ **რევაზ ძოძუაშვილს** გუნდში **ზურაბ მენთეშაშვილის** მიწვევა სურდა. მისი ხელმძღვანელობით, გამოცდილი ნახევარმცველი ეროვნულ ნაკრებში, რიგის „სკონტოსა" და ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდა. მაგრამ ახლა ისინი ერთად ველარ იმუშავებენ: 2-22 თებერვლის ჩათვლით, პირველი ლიგის კლუბი „საბურთალო" თურქეთში მოემზადება და მენთეშაშვილი სწორედ ამ შეკრებაზე მიემგზავრება.

**თემურ შალამბერიძეს** ანთალიაში 23 ფეხბურთელი მიჰყავს. მეკარეები - **ლაზარე კუპატაძე, ბექა ქურდაძე, ოთო გოშაძე**; მინდვრის მოთამაშეები - **გაგი მარგველაშვილი, რევაზ ბარამიძე, ილია ბეროშვილი, ჯემალ ტაბიძე, დემურ ჩომახიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი მამუჩიშვილი, ლადო მამუჩაშვილი, გიორგი თევზაძე, ცოტნე ნადარაია, ლუკა ბლიაძე, ლორენცო ლარკი, გიორგი ხარაიშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი, დავით წოწონავა, ლევან ხორხელი, რევაზ გოცირიძე, გურამ გოშთელიანი, გიორგი წივილაშვილი, გრიგოლ ჩაბრაძე.**

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნეტკონფერენცია

**ამ დღეებში sportall.ge-ს რუბრიკის, „ინტერნეტკონფერენციის" სტუმარი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, რომელმაც საიტის მკითხველთა შეკითხვებს უპასუხა. „ლელო" ამ „ინტერნეტკონფერენციის" ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გთავაზობთ (სტილი დაცულია).**


ზვიად სიჭინავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ზვიად სიჭინავა სამწუხაროდ, ჩვენთან თამაში ყველას არ უნდა

**- ბატონო ზვიად, აპირებთ თუ არა დაკავებული თანამდებობის დატოვებას?**

- ეს თანამდებობა ჩემთვის მამაჩემს არ დაუტოვებია. ამიტომ, როცა ამის დრო მოვა, რა თქმა უნდა, დავტოვებ.

**- თქვენს დროს ასაკობრივ ნაკრებებს დიდი წარმატება ჰქონდათ, მაგრამ ქვეყნის მთავარ გუნდს მაინც ვერაფერი ეშველა, დაეცა ეროვნული ჩემპიონატის დონე. თქვენ ძველი ხელისუფლების „დანიშნული" ხართ, ახალი ხელისუფლება არ გწყალობთ. რა გამოსავალს ხედავთ, თქვენი წასვლის გარდა?**

- ჯერ ერთი, მე არავის დავუნიშნივარ. გულშემატკივარი თუ კარგად გაიხსენებს, ჩემი კანდიდატურა პროცესის დასრულებამდე 15 წუთით ადრე დავაყენე. ასე რომ არ მომხდარიყო, უეფასა და ფიფას თვალში ეს იქნებოდა უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ქვეყნის მასშტაბით არც ერთი მსურველი არ გამოჩნდა, ვინც პრეზიდენტობაზე კანდიდატურას წამოაყენებდა. არ მგონია, რომ ვინმე მწყალობდეს და პირიქით. რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრებების წარმატებას, ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც 4 წლის განმავლობაში მუშაობდა, გააკეთა აქცენტი სწორედ ახალგაზრდებზე და ჩვენ პასუხს ვაგებთ იმ ბავშვებზე, ვისაც ვზრდით და ვერ ვაგებთ პასუხს იმ ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებზე, რომლებიც წინა ფედერაციამ გაზარდა. გავა 5, 10 წელი და ეს ბავშვები თუ ვერ ითამაშებენ, ეს არ იქნება ახალი პრეზიდენტის პრობლემა, არამედ იქნება ჩემი პრობლემა. რაც შეეხება ხელისუფლებას, არ მგონია, რომ მათთან პრობლემა მქონდეს. ჩვენი ფედერაცია არის უეფას წარმომადგენელი საქართველოში და ეს არ არის რალაც შ.პ.ს. მე ვიცავ ფიფასა და უეფას რეგლამენტით დადგენილ ყველა წესს. ხელისუფლება მიდის და მოდის, ქართული ფეხბურთი კი იყო, არის და იქნება.

**- ზვიად ბატონო, როგორ ფიქრობთ, ქეცბაია სწორად წარმართავს ნაკრების საქმეებს? ხომ არ ნანობთ რამეს მის დანიშვნასთან დაკავშირებით?**

- მე არასდროს ვერეოდი თემურ ქეცბაიას საქმიანობაში, ისევე, როგორც სხვა მწვრთნელების საქმიანობაში. იმ შედეგებით, რაც ნაკრებს აქვს, კმაყოფილი არ ვარ. კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა გავალთ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე. ავილოთ, მაგალითად, სომხეთის ნაკრები. ძალიან მაგარი მატჩები ითამაშეს, მაგრამ შედეგი აქვთ? გავიდნენ? მეც ჩვეულებრივი გულშემატკივარი ვარ და როცა მატჩებს ვუყურებ, როგორც ყველა, ვბრაზობ, ვამბობ, რატომ არ დააყენა ის ფეხბურთელი, რატომ არ შემოიყვანა ეს ფეხბურთელი და ა.შ. ამიტომ, როგორც გულშემატკივარი, კმაყოფილი არ ვარ, თუმცა მიღებულ გადაწყვეტილებას არ ვნანობთ. თემურ ქეცბაია ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მწვრთნელია და არა მგონია, რომ მწვრთნელი ყოველ სამ თვეში უნდა გამოვცვალოთ.

**- ბატონო ზვიად, თქვენი გადადგომის შემდეგ რას უტოვებთ ქართველ გულშემატკივარს? რა მემკვიდრეობა ჩაიბარეთ და რას ტოვებთ, როგორც ფინანსური, ასევე ფეხბურთის განვითარების კუთხით?**

- ჩავიბარე ვალები და ფედერაციის ბალანსზე არსებული 3 მილიონი ლარი. დღესდღეობით, ელიტ-რაუნდის 8 შესაძლებლობიდან 7 გამოვიყენეთ. 4 წლის განმავლობაში ასაკობრივი ნაკრებები ორჯერ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენ ვუტოვებთ ქართულ ფეხბურთს მომავალს, ანუ ბავშვებს, რომლებიც დღეს არიან. როცა მოვედით, ფედერაციას ბაზაც კი არ ჰქონდა, ახლა კი საქართველოში უმაღლესი ხარისხის 13 მოედანია. გარდა ამისა, ფედერაციას ამ დროისთვის 107-მილიონიანი (ლარი) ქონება გააჩნია და არ აქვს არც ერთი თეთრი ვალი. მომავალ წელს თბილისში უეფას სუპერთასის მატჩი ჩატარდება. მარტში, რამდენიმე მსხვილ ღონისძიებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ევროპის ჩემპიონატი, რამდენიმე საკითხი გადაწყდება.

**- ბატონო ზვიად, მაინტერესებს, ოდესმე თუ დააფინანსებს ფედერაცია საფეხბურთო კლუბ „კახეთს"?**

- თელავში გავაკეთეთ საფარი და მე მქონდა ყველა დონეზე შეხვედრები მუნიციპალიტეტებში და ა.შ. ყველას ვეუბნებოდი, სირცხვილია, რომ ასეთ რეგიონში ფეხბურთი არაა. ლაგოდეხში იმიტომ ვაკეთებთ სტადიონს, რომ ადგილობრივ ბავშვებს მივცეთ საშუალება, ივარჯიშონ და განვითარდნენ. კახეთი მარტო ჭიდაობა კი არაა, კახეთი არის დიდი რეგიონი, სადაც დიდი ფეხბურთელები იყვნენ და სადაც დიდი საფეხბურთო პოტენციალია. ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ ახალი პროგრამა, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, სადაც ჩვენ ვითხოვთ დაფინანსებას. სპორტის სამინისტროში გადავაგზავნეთ წერილი, სადაც ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო გამოგვიყოფს 7 მილიონ ლარს. ჩვენ გვინდა, რომ გარკვეული თანხა ასევე პირველმა ლიგამაც მიიღოს. კახეთში მინდა იმ ხალხს ვუთხრა, ვინც პატარ-პატარა თანამდებობაზეა და ვისაც უყვარს ფეხბურთი, ყველამ გამონახოს ის ორი-სამი ლუკმა პური, რომელიც შეიძლება აჭამონ ქართულ ფეხბურთს.

**- ბატონო ზვიად, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რატომ აღარ აქვს ამხანაგური მატჩები? ამ საკითხის მოგვარება არ შედის თქვენს პრეროგატივაში?!**

- სამწუხაროდ, საქართველოსთან თამაში ყველას არ უნდა. ძლივს მოვახერხეთ, რომ მარტში ლიხტენშტაინთან გვაქვს მატჩი. როგორც იცით, 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატია და ყველა მასზეა გადართული. შარშან რა, არ გვქონდა ამხანაგური მატჩები? სულ ამხანაგური მატჩებისთვის არის გამოყოფილი 10 დღე და საკმაოდ დიდი რაოდენობის ოფიციალური და ამხანაგური შეხვედრები ჩავატარეთ შარშან.

**- ბატონო ზვიად, დადებითად ვაფასებ თქვენსა და გუნდის მუშაობას - ფედერაციის ფინანსურად გამართვას, ქონების შეფასების კოლოსალურ ზრდას და ნაკრებებთან ჩატარებულ სამუშაოებს. გთხოვთ გაგვაცნოთ, სამომავლოდ რა იგეგმება ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლების მიზნით?**

- არის პროექტი, რომელშიც გვაქვს ჩამოყალიბებული საქართველოს ჩემპიონატის განვითარება, სადაც გათვლილია უმაღლესი ლიგა, დუბლები, ასაკობრივი გუნდები, პირველი ლიგა, სკოლები და რაც მთავარია, დიდი თანხები არაა საჭირო. სახელმწიფოს ამ თანხის მოძიება შეუძლია. გარდა ამისა, უნდა იცოდეთ, რომ იმ 7 მილიონი ლარიდან, რომელსაც სახელმწიფო გამოგვიყოფს, ედება 20-პროცენტიანი გადასახადი და ეს თანხა მთელ ქვეყანაზე უნდა განაწილდეს. ყველა განვითარებულ და კომერციულად მომგებიან ლიგაში თავიდან სახელმწიფომ ჩადო ფული. წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებს ტელევიზია ტრანსლაციის უფლებისთვის 90 მილიონ ევროს უხდის, რაც საქართველოს ფედერაციის 15 წლის ბიუჯეტია, თუ მეტის არა.

**- ბატონო ზვიად, რატომ არ უყვარხართ ზუგდიდში? ალბათ იმიტომ, რომ ზუგდიდის ფეხბურთისთვის არაფერი გაგიკეთებიათ. პირიქით, სტადიონის დანგრევაზე ხმა არ ამოგილიათ და არც ახალზე იძახით არაფერს. ისედაც გაჭირვებაში მყოფ გუნდს თქვენი ავტობუსით სარგებლობაც კი აუკრძალეთ.**

- არ ვიცი, ვის არ ვუყვარვარ ზუგდიდში. იქ ცხოვრობენ ის ადამიანები, ვისაც მე ძალიან ვუყვარვარ. ესენი არიან დედაჩემი, ჩემი და და ძმა, ჩემი საძმაკაცო. რაც შეეხება ფეხბურთს, ალბათ, არ იცით, ვის წაართვეს ეს სტადიონი. მაშინ იკითხეთ, ვისი იყო ეს სტადიონი და ვინ ჩადო იმაში ფული და ვის წაართვეს. ზუსტად მაშინ იყო, რომ ზუგდიდელები არ დამიდგნენ გვერდში და არაფერი გააკეთეს. ბაზასაც რომ მართმევდნენ, მაშინაც არავინ დამდგომია გვერდში. რაც შეეხება „ზუგდიდის" ავტობუსს, ჩემს ავტობუსს, ის ემსახურება გუნდს და დაჰყავს. ალბათ, არც ეგ არ იცით. იმ ზუგდიდის კლუბის 49 პროცენტი იყო ჩემი და სად იყვნენ ის ზუგდიდელები, როცა დამიბარეს და კლუბი გამგეობამ წაილო?!

**- თქვენ ამბობთ, რომ ფედერაცია სწორი მიმართულებით მიდის! მაშინ, რისი ბრალია ჩაშლის პირას მყოფი ეროვნული ჩემპიონატი? ნაკრები, რომლის მე-4 ადგილითაც ვამაყობთ 5-გუნდიან ჯგუფში! ფეხბურთელებს უკვე ჩვენს ჩემპიონატს მალტის ჩემპიონატი ურჩევნიათ!**

- რისი ბრალია ჩაშლის პირას მყოფი ჩემპიონატი, მგონი, ყველამ კარგად იცის და არ მინდა, რომ კიდევ უფრო დავძაბო სიტუაცია და ამაზე ვისაუბრო.

**- გამარჯობა, ბატონო ზვიად! მაინტერესებს, გაქვთ თუ არა ინფორმაცია „კრასნოდარის" ფეხბურთელ ნიკა ჩხაპელიაზე, რომელიც რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია? ეცადა თუ არა ჩვენი ფედერაცია, გასულიყო მასთან კავშირზე, გამოიძახეთ თუ არა? ჩხაპელიაზე რუსები იძახიან, აფხაზიაო, მაგრამ იცოდეთ, ქართველია ეგ ბიჭი და მეგრულიც მშვენივრად იცის.**

- ამ კითხვასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ ფეხბურთის ფედერაციისგან უპრობლემოდ მიიღოთ. სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია ტექნიკური სამსახურის სატელეფონო ნომერი, სადაც აღნიშნულ კითხვაზე პასუხს მიიღებთ.

www.sportall.ge

სპარტაკი

# გზად თურქეთისკენ...

დღს, ცხინვალის „სპარტაკი" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და **კახა კაჭარავას** გუნდი მეორე ეტაპისათვის მზადებას ამჯერად უკვე ანთალიაში გააგრძელებს. „სპარტაკი" ანთალიაში 24 ფეხბურთელით გაემგზავრა: მეკარეები - **გიორგი ნადირაძე, სოსლან ნანიევი, შოთა გოგიაშვილი**; მცველები - **ლევან ჭაფოძე, ნიკა მგელაძე, ლევან კაკუბავა, დავით მაისაშვილი, ლევან ქურდაძე, კონსტანტინე ხიზანეიშვილი, ბაჩანა მოსაშვილი**; ნახევარმცველები - **თეიმურაზ შონია, გიორგი თექთურმანიძე, ლაშა პარუნაშვილი, უჩა ბურძენაძე, თორნიკე თუხარელი, გივი იოსელიანი, გიორგი ცერცვაძე, გიორგი გაგნიძე, ვაკო ტყემალაძე**; თავდამსხმელები - **ზვიად მეტრეველი, ირაკლი ეხვაია, ლაშა ჩაფიძე, ლაშა კემუხტაშვილი, თამაზ მაქაცარია.**

„სპარტაკი" ანთალიაში სასტუმრო „რამადაში" დაბინავდება და უკვე ცნობილია ოთხივე სპარინგ-პარტნიორის ვინაობაც. 4 თებერვალს „სპარტაკი" რუმინულ „კორონას" დაუპირისპირდება, 6 თებერვალს - სერბულ „დონი სრემთას", 8 თებერვალს - მაკედონიურ „რაბოტნიჩკის", 10 თებერვალს კი - ჩინურ „გრინთაუნს". „სპარტაკი" სამშობლოში 12 თებერვალს დაბრუნდება.

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

# კახა კაჭარავა როცა ელემენტარულ შეცდომებს უშვებ, მეტოქის სიძლიერის ფაქტორი მეორეხარისხოვანი ხდება

**დღეს დილით, ცხინვალის „სპარტაკი" მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად თურქეთში გაემგზავრა, სადაც ოთხ საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს. გამგზავრებამდე, გუნდის მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას ინტერვიუ ჩამოვართვით. ვიდრე „სპარტაკის" მზადებასა თუ გუნდში მომხდარ საკადრო ცვლილებებზე ვკითხავდით, მანამდე სხვა ამბითაც დავინტერესდით...**

**- თქვენი ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ ნაკრებიდან საკუთარი სურვილით წახვედით. ახლა მაინც თუ შეგიძლიათ ამის რეალურ მიზეზზე საუბარი?**

- წინასწარ არავინ იცის, ესა თუ ის მიღებული გადაწყვეტილება სამომავლოდ რამდენად გამართლებული იქნება; თუმცა, გულახდილად გეტყვით, რომ უმთავრესი მაინც... შვილის ფაქტორი იყო - ჩემი ვაჟი ხომ სწორედ ამ ნაკრებში თამაშობდა! მოკლედ, სალაპარაკო არავის დავუტოვე და ნაკრებიდანაც წავედი, თანაც, თვითონ ნიკაც განიცდიდა ამ ყველაფერს.


კახა კაჭარავა

**- ნიკა კაჭარავას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თქვენს შემდეგ მოსული მწვრთნელიც ათამაშებდა და შესაფერისი მონაცემები რომ არ ჰქონოდა, რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „რუბინშიც" არავინ მიიწვევდა...**

- რახან ამხელა ნდობას უცხადებდნენ, ესე იგი, იმსახურებდა...

**- „ზესტაფონიდან" წამოსვლის მერე გარკვეული პერიოდი უმუშევარი იყავით და ვიდრე „სპარტაკს" ჩაიბარებდით, სხვა შემოთავაზება არა გქონიათ?**

- არავინ დამკავშირებია. რაც შეეხება „სპარტაკთან" ჩემი ურთიერთობის დაწყებას, ჯერ იმას ვიტყვი, რომ ამ კლუბის პრეზიდენტთან დიმიტრი სანაკოევთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. თუმცა, როცა თავისი გუნდის გაწვრთნა შემომთავაზა, არანაირი პრივილეგიები არ მომითხოვია. თანაც, „სპარტაკი" ხომ ჩვეულებრივი გუნდი არ არის, სულ სხვა დატვირთვა აქვს და იმის ამბიციაც უნდა ჰქონდეს, რომ ევროტურნირებზე იასპარეზოს. ანუ, ევროპამ უნდა გაიგოს, რომ კვიპროსული „ანორთოსისის" მსგავსად, საქართველოშიც არის დევნილთა გუნდი...

**- „სპარტაკი" იმ დროს ჩაიბარეთ, გუნდი უიმედო აუტსაიდერი რომ იყო...**

- მართალია, იმის მერე სატურნირო სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა, მაგრამ ამ ყველაფერმა „დათვური სამსახური" არ უნდა გაგვიწიოს - გუნდის თითოეულმა წევრმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შევინარჩუნოთ.

**- თქვენი ხელმძღვანელობით „სპარტაკმა" ჩემპიონატში 7 მატჩი ჩაატარა და 10 ქულა მოაგროვა. უპირველესად, მაინც რა შეცვალეთ?**

- ნებისმიერი მწვრთნელი თავის ახალ გუნდში რომ მიდის, თვეები სჭირდება საკუთარი იდეების რეალიზაციისათვის; მე კი, უმოკლეს დროში რა უნდა შემეცვალა - დიმიტრი სანაკოევს თანხმობა რომ განვუცხადე, სამ დღეში „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი გველოდა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ გუნდის შემდგომ წარმატებებში ჩემი წინამორბედის, ვლადიმერ ხაჩიძის დიდი დამსახურებაც არის.

**- თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „სპარტაკის" ზოგიერთ ფეხბურთელს, თითქოს, „მეორე სუნთქვა" გაეხსნა.**

- ხომ გითხარით, უმოკლეს დროში ძნელია რამე ძირეული ცვლილებები შეიტანო გუნდში; უბრალოდ, ჩემს შეგირდებს მოვუწოდე, რომ ნებისმიერ მეტოქესთან მაქსიმალური კონცენტრაციით ეთამაშათ, ასევე ყველა მატჩში მაქსიმალურად დაეცვათ სათამაშო დისციპლინა და უფრო მეტი ყურადღებით ყოფილიყვნენ სტანდარტული მდგომარეობების შესრულების დროს. რაც შეეხება კონკრეტულ ფეხბურთელებს, იგივე გიორგი თექთურმანიძის შესაძლებლობები დიდი ხანია ვიცი და, ჩემი აზრით, თავისთვის ყველაზე ოპტიმალურ პოზიციაზე მივუჩინე ადგილი. იგივე შემიძლია ვთქვა ვარლამ კილასონიაზეც, რომელსაც ასევე მოუწია ამპლუის შეცვლამ.

**- თქვენი ხელმძღვანელობით „სპარტაკმა" ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ამას სამმატჩიანი წაგება მოჰყვა. ამას რითი ახსნით?**

- არ დაგიმალავთ და მოვლენების მსგავსი განვითარებისათვის შემზადებულიც ვიყავი. ასე ვთქვათ, ის ემოციური მუხტი ფეხბურთელებს 2 თამაში „გაჰყავთ", თანაც, ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო ბევრი მოთამაშეც გვაკლდებოდა; არადა, „სპარტაკი" ნამდვილად არ არის განებივრებული იმ ფუფუნებით, როცა თითოეულ პოზიციაზე ორი სრულფასოვანი ფეხბურთელი უნდა გყავდეს.

**- დისკვალიფიკაციები ახსენეთ და „სპარტაკის" ზოგიერთ ფეხბურთელს წითელ-ყვითელი ბარათები, ალბათ, „ნორმაზე" მეტიც დაუგროვდათ...**

- უშეცდომო არავინ არის და ხომ შეიძლება, არბიტრიც შეცდეს? აი, მაგალითად, „სიონთან" მართლაც დრამატულ შეხვედრაში, როცა ანგარიში 2:2 იყო, ჩვენმა ფეხბურთელმა მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სრულიად სამართლიანადაც დაიმსახურა წითელი ბარათი, არადა რიცხვობრივ უმცირესობაში დარჩენილებმა მესამე გოლიც გავუშვით. მიმაჩნია, რომ არც „ტორპედოსთან" გვქონდა წასაგები მატჩი.

**- რასაც, ალბათ, ვერ იტყვით „დინამოსთან" დიდი ანგარიშით (0:4) წაგებულ შეხვედრაზე, რომლის დამთავრების მერეც ხმამაღლა განაცხადეთ, რომ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ბევრმა მოთამაშემ ელემენტარული რალაცები არ იცისო...**

- გასაგებია, რომ „დინამო" ჩვენზე კარგი გუნდია და ჩვენზე კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს, მაგრამ, როცა შენი გუნდის ესა თუ ის მოთამაშე ელემენტარულ შეცდომებს უშვებს, ამ შემთხვევაში, მეტოქის სიძლიერის ფაქტორი უკვე მეორეხარისხოვანია. აბა, შეიძლება, უმაღლესი ლიგის გუნდის მწვრთნელმა ფეხბურთელს ის ასწავლოს, 10-11 წლის ბავშვმაც რომ უნდა იცოდეს? მე, საერთოდ, სიმართლე მიყვარს და არც იმის თქმას მოვერიდები, რომ მსგავსი სიტუაცია საქართველოს ძალიან ბევრ გუნდშია.

**- ისევ „სპარტაკს" დავუბრუნდეთ და გუნდში მომხდარ ცვლილებებზე ვისაუბროთ.**

- ჯერ კიდევ სეზონის მსვლელობისას მეორე გუნდიდან დავაწინაურეთ ლაშა კემუხტაშვილი და 19 წლის გიორგი ცერცვაძე და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება. ალბათ, უკვე იცით, რომ სხვადასხვა გუნდიდან დავიმატეთ მაისაშვილი, იოსელიანი, ეხვაია, გაგნიძე; სეზონის ბოლომდე ჩვენთან იჯარით იასპარეზებს ლაშა პარუნაშვილი, რაც შეეხება კიდევ ერთ ახალწვეულს, ლევან კაკუბავას, ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები ძალიან კარგად ვიცი - ძალიან ახალგაზრდა იყო, „დინამოს" ძირითადში რომ ვანდე ადგილი.

**- „სპარტაკის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი თექთურმანიძე ისევ იჯარით ითამაშებს თქვენს გუნდში?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თექთურმანიძემ „დინამოდან" გათავისუფლების ფურცელი მიიღო და იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ჩემპიონატის რამდენიმე მოწინავე გუნდიდან ჰქონდა მიწვევა, მაინც „სპარტაკში" ამჯობინა დარჩენა.

**- „სპარტაკში" მატებას კიდევ უნდა ველოდოთ?**

- აუცილებლად! აი, სულ ახლახან დაგვემატა ფორვარდი კონსტანტინე გაბაშვილი, რომელიც უვარჯიშებელია, მაგრამ ვიცი მისი შესაძლებლობები, ვესაუბრე და ფორმას თუ აღიდგენს, სერიოზული კონკურენციაც შეუძლია გაუწიოს თავდასხმის ხაზში ზვიად მეტრეველსა და ირაკლი ეხვაიას.

**- მაინც როგორ ფიქრობთ, დაბალანსება ყველაზე მეტად რომელ რგოლს სჭირდება?**

- უფრო, ალბათ, განაპირა მცველების პოზიციებზე: მარცხენა მცველს კონსტანტინე ხიზანეიშვილს ტრავმა აქვს და ბოლო საკონტროლო მატჩში მის ადგილას იოსელიანი ვათამაშეთ, რომელიც, ამპლუით უფრო შემტევი სტილის ფეხბურთელია, ვიდრე გამოკვეთილი მარცხენა მცველი. აი, რაც შეეხება მარჯვენა ფლანგს, აქ ლევან ჭაფოძეს, შემცვლელი არ ჰყავს და სეზონის მსვლელობისას ტრავმა რომ მიიღოს ან დისკვალიფიკაცია ჰქონდეს, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდებით.

**- გუნდიდან წასულ ფეხბურთელებზეც ვთქვათ.**

- კვეკვესკირი „დინამოს" დაუბრუნდა, კილასონიამ და კაკაშვილმა კი თავიანთი მშობლიური ქალაქის გუნდში, „მეტალურგში" კარიერის გაგრძელება გადაწყვიტეს. არ დაგიმალავთ: ორივეს დატოვება მსურდა, მაგრამ ადამიანურადაც უნდა გავუგოთ ამ ახალგაზრდების სურვილს და ისლა დამრჩენია, წარმატებები ვუსურვო.

**- დაბოლოს, თქვენს ვაჟზეც...**

- მოგეხსენებათ, რომ ახლახან ყაზანის „რუბინში" ძალიან ბევრი რამ თუ ვინმე შეიცვალა; არადა, ადრინდელ მწვრთნელს, ყურბან ბერდიევს საშემოდგომო ეტაპის ბოლო ორ მატჩში ნიკა უკვე 18-კაციან განაცხადში ჰყავდა შეყვანილი. ამჟამად კი „რუბინს" ახალი მწვრთნელი ჰყავს და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**გია ტუხაშვილი**

● ქართველი უცხოეთში

# თარხნიშვილს რევიშვილზე გული დასწყდა: გაცილებით მეტს იმსახურებდა!

## რატომ აღარ ეტანებიან ქართველებს... მოლდოვაშიც კი?

ესუკვე არახალია - **ნუკრი რევიშვილი** კარიერას მალტაში, მეორე ადგილზე მყოფ „ვალეტაში" გააგრძელებს. ცხადია, საქართველოს ნაკრებისა და გორის „დილას" მეკარის გადაწყვეტილებამ ქართველი გულშემატკივარი არ გაახარა, რაკი მისთვის გაცილებით ძლიერი ლიგა და კლუბი ემეტებოდა, მაგრამ... თავად რევიშვილმა გარკვევით თქვა, საქართველოში თამაშს იქ წასვლა სჯობიაო და მის არჩევანს, მოგვწონს თუ არა, პატივი უნდა ვცეთ.

მას ჰქონდა იმედი, რომ რუსეთში დაბრუნდებოდა და აზერბაიჯანული კლუბების (ლიდერების) წინადადებებზე უარი თქვა, რადგან მათთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება არ აწყობდა.

„ახლა ყველაზე კარგი ვარიანტი სწორედ „ვალეტა" იყო, რუსეთი კი გამოირიცხა. მაგრამ მაისის შემდეგ, შეიძლება, ეს რეალური იყოს. 6 თვე როგორმე გავძლებ და, იმედია, რუსეთში გადავალ", - უთხრა რევიშვილმა „ლელოს".

თუმცა შევიტყვეთ, რომ რევიშვილს „ვალეტაზე" არანაკლებ საინტერესო წინადადებაც ჰქონდა - მას მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპალიგის მიმდინარე გათამაშების მონაწილე ტირასპოლის „შერიფი" იწვევდა. ეს ამბავი ტირასპოლელთა სპორტულმა დირექტორმა **ვაჟა თარხნიშვილმა** გაგვიმხილა.

„როცა გავიგე, რომ ნუკრი რევიშვილი მალტურ კლუბში წავიდა, გული დამწყდა. ასეთი ნიჭიერი მეკარე გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებს. მის მენეჯერ მამუკა ჯუღელს ახლოს ვიცნობ, თბილისის „ლოკომოტივში" ერთად გვითამაშია და სწორედ მას ვთხოვე ნუკრისთან შუამავლობა. რევიშვილი ძლიერი მეკარეა. ვიცი, რომ წლეულს მშვენიერ სეზონს ატარებს. სხვათა შორის, გორის „დილა" სპლიტში „ჰაიდუკს" რომ ხვდებოდა, ზუსტად იმ დროს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „შერიფი" ხორვატიაში ზაგრების „დინამოსთან" ეთამაშებოდა. მატჩის შემდეგ ოფიციალურ ვახშამზე ზაგრებელთა სპორტულმა დირექტორმა თქვა, რომ „ჰაიდუკი"-"დილას" შეხვედრას დაესწრო და გაოცებას ვერ მალავდა, ქართველებს მეკარემ მოაგებინაო. ამას რომ ვისმენდი, სიამაყით ავივსე. მას შემდეგ დავინტერესდი რევიშვილით, ჯუღელსაც დაბრკოლებები არ შეუქმნია, ოღონდ, მაღალ დონეზე ითამაშოს და მე არაფერი მინდაო. მაგრამ ევროპალიგიდან გავარდნის შემდეგ, მოლდოვის ჩემპიონატში მისი თამაში საცოდაობა იქნებოდა და ეს ტრანსფერიც გამოირიცხა. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ რევიშვილი „შერიფს" გამოადგებოდა", - ამბობს თარხნიშვილი.

„შერიფის" სპორტული დირექტორი, საერთოდ, ქართველი ფეხბურთელებითაა დაინტერესებული, მაგრამ სასურველი კადრი ვერ შეიგულა:

„ჩვენს პრეზიდენტ ვიქტორ გუშჩანს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სურს და ამ მიზნით საკადრო პოლიტიკაც შეცვალა. თუ წლების განმავლობაში 17-18 წლის აფრიკელი, სამხრეთამერიკელი და პოსტსაბჭოელი ტალანტები მოჰყავდა და მათ გაზრდაზე ზრუნავდა, ახლა



ვაჟა თარხნიშვილი

ჩამოყალიბებული, გაზრდილი მოთამაშეების ჩამოყვანას გეგმავს. ამიტომაა, რომ დიდი ხანია, „შერიფში" ქართველი არ გამოჩენილა. ვინც ჩვენს მოთხოვნებს პასუხობს, ის ამბიციურია და მოლდოვისკენ გული არ მოუწევს, საშუალო დონის ფეხბურთელს კი „შერიფში" არ იწვევენ. სამწუხაროდ, ქართველ ფეხბურთელებს ძველებურად აღარ ეტანებიან. ბევრიც უცნაურად იქცევა, ერთხელ გაიფაფხურებენ და მერე ჩერდებიან. არადა, ქართველებს უნიჭიერესი ბავშვები გვყავს".

თარხნიშვილი „შერიფის" საფეხბურთო აკადემიის მწვრთნელის **შოთა მახარაძის** მუშაობითაც კმაყოფილია:

„კლუბის სპორტული დირექტორი ვარ და კარგად ვიცი, რომ თითოეულ მწვრთნელს დეტალურად აკვირდებიან. თემურ მახარაძე კარგი მწვრთნელია და მადლობა მას, წესიერი შვილის გაზრდისთვის. ხომ იცით, ყველგან გამადიდებელი მინით გვაკვირდებიან და ამიტომაც მიხარია, ქართველმა რომ გაგვიმართლა, რადგან ეს ჩვენი სახელია. „შერიფში" მკაცრი მოთხოვნებია და შოთა ყველას ათი თავით რომ არ სჯობდეს, არ დატოვებდნენ. ახლა იყო ლაპარაკი, დუბლების მწვრთნელად დაეწინაურებინათ. მაგრამ მის ხელში 1999 წელს დაბადებულმა ბავშვებმა იმხელა პროგრესი განიცადეს, აინტერესებთ, გუნდს რა დონეზე განავითარებს და დროებით ისევ ასაკობრივ გუნდში დატოვეს. პარალელურად, „შერიფს" თამაშების ანალიზშიც ეხმარება. ისეთი მონდომებულია, მნიშვნელოვანი მატჩის გარჩევის დროს, ღამეც ბევრჯერ დამკავშირებია".

**მერაბ მამულაშვილი**

● საკონტროლო მატჩი



დილა-ჩიხურა 2:1

# თამაშითაც და შედეგითაც...

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ მშობლიურ კლუბში დაბრუნებული **დავით რაჟამაშვილის** დუბლით გორის „დილამ" საკონტროლო მატჩში საჩხერის „ჩიხურა" 2:1 დაამარცხა. სტუმართაგან გოლი **საბა ლომიამ** გაიტანა. შეხვედრა გორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლასთან არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა.

რაკი ზამთრის შესვენებისას „ჩიხურას" შემადგენლობაში ბევრი საკადრო ცვლილება არ მომხდარა, გუნდმა ამ მატჩში თითქმის იმავე შემადგენლობით ითამაშა, როგორითაც ჩემპიონატში შესვენებამდე თამაშობდა. „დილა" კი, მოგეხსენებათ, მნიშვნელოვნადაა გადახალისებული და ახალი სახით სწორედ „ჩიხურასთან" მატჩში წარსდგა. შემადგენლობები ასეთი იყო:

დილა: **შეყრილაძე, ორბელაძე, თომაშვილი, კვახაძე, ჯიშკარიანი, რაზმაძე, რაჟამაშვილი, კოშკაძე, კორლალიძე, შალამბერიძე, გოგინაშვილი.**

მეორე ტაიმში შევიდნენ: **ლეგაშვილი, გაფრინდაშვილი, აფხაზავა, გურეშიძე, კვარაცხელია, ახალკაცი, სადალაშვილი, გოროზია, ქებურია, წიქარიძე.**

ჩიხურა: **თევდორაძე, კაშია, ოდიკაძე, ჭელიძე, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, ბეჭვაია, ჯილაური, კვასხვაძე (ლომია), დიასამიძე, გაბედავა.**

„დილამ" თამაში 4-5-1 სქემით დაიწყო. დაცვის ხაზში გორელებს ფლანგებზე **ორბელაძე** და **ჯიშკარიანი**, ცენტრში კი **თომაშვილი** და **კვახაძე** ჰყავდათ. ნახევარდაცვის ფლანგებზე **კორლალიძე** და **შალამბერიძე** მოქმედებდნენ, წინ - **გოგინაშვილი**, ხოლო მის უკან - რაჟამაშვილი.

გორელთა მთავარი მწვრთნელი **რამაზ სოლოლაშვილი** თავისი შეგირდების თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი იყო:

„იმ ფონზე, რომ ეს ჩვენ მიერ ჩატარებული პირველი საკონტროლო შეხვედრაა, უკმაყოფილო ვერ ვიქნები, - თქვა მან, - სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე მეტს არც ველოდი. მომდევნო ამხანაგურ მატჩებში ფეხბურთელები კიდევ უფრო შეთამაშდებიან, ფორმაში შევლენ და გაცილებით უკეთაც მოახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. გუნდის ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად, ცხადია, დიდად დაგვეხმარება თურქეთში დაგეგმილი შეკრება, სადაც უცხოურ კლუბებთან ვითამაშებთ და იმედი მაქვს, ჩემპიონატის განახლებას სრულ მზადყოფნაში შევხვდებით".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ფეხბურთი და არასამთავრობოები

# ფედერაციისგან ხარჯების გასაჯაროებას ითხოვენ

არასამთავრობოები ფეხბურთით დაინტერესდნენ. გუშინ „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის" იურისტებმა **ლაშა გიორგაძემ** და **თამარ ნიკოლაიშვილმა** სტუდია „რეპორტიორში" სწორედ ამ თემაზე ილაპარაკეს. ისინი ფეხბურთის ფედერაციისგან დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გასაჯაროებას ითხოვენ.

„სახელმწიფო სამინისტროს 7 მილიონ ლარს ურიცხავს, დამატებით 16 მილიონს კი კლუბები მუნიციპალიტეტებისგან იღებენ. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას ხელფასი 2 მილიონი ლარია. გვესმის, რომ აუცილებელია მაღალი ხელფასი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. მილიონების ხარჯვის მიუხედავად, წინსვლა მთლიანად სპორტშიც არ იგრძნობა, რეგიონებში ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ვერც სფერო მოღონიერდა და ვერც შედეგებს ვხედავთ. არადა, სავსებით რეალურია, რომ ეს თანხები მიზანმიმართულად დაიხარჯოს და ამას შედეგი მოჰყვეს. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრს" აინტერესებს, სად მიდის ეს თანხები? ამ კითხვით ფეხბურთის ფედერაციას მივმართეთ. ისინი თანხებს ასაჯაროებენ, თუმცა არ არის კონკრეტული ინფორმაცია, თუ სად რა იხარჯება. ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, ეს ჩაკეტილი ორგანო გამჭვირვალე გახდეს და ფეხბურთის ფედერაციამ დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია ყველასთვის საჯარო გახადოს. ეს ყველაფერი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს", - ამბობს გიორგაძე.

მან სპორტში ფულის გათეთრებასა და ფეხბურთის ფედერაციაში **ზვიად სიჭინავას** მისვლაზეც ილაპარაკა:

„ფეხბურთის ფედერაციას დღესაც



ლაშა გიორგაძე და თამარ ნიკოლაიშვილი

იგივე ადამიანები მართავენ, ვინც წინა ხელისუფლების დროს იყო. სანამ ზვიად სიჭინავა ფედერაციის პრეზიდენტი გახდებოდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიასთან იყო დაახლოებული და ვფიქრობთ, პრეზიდენტად მადლიერების გამო „დანიშნეს". საერთოდ, სანამ ქვეყანას ძველი ხელისუფლება მართავდა, სპორტული ორგანიზაციები და ფედერაციები სახელმწიფოსგან დარიცხული თანხის ნაწილს „ნაცმოძრაობას" უბრუნებდნენ, რაც საარჩევნო კამპანიას ხმარდებოდა. დროა, ყველა შეკითხვას გაეცეს პასუხი და საქმეს ნათელი მოეფინოს. დღეს, როცა ძველი ხელისუფლება წარსულს ჩაბარდა, მოვუწოდებთ სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, გადახედოს ფეხბურთის ფედერაციისთვის დარიცხულ თანხებს და იზრუნონ ვითარების შეცვლაზე. საზოგადოება სწორედ ამას მოელის".

**თამარ ნიკოლაიშვილი**, იურისტი:

„წინა ხელისუფლების დროს, თანხის გადარიცხვა პოლიტიკური მეგობრობის ხარჯზეც ხდებოდა. ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს, გორის „დილა" შსს-ს ბალანსზე იყო და კლუბს თანხა სისტემატურად ერიცხებოდა".

**მერაბ მამულაშვილი**

● მეტალურგი

# გიგაური ევროპას მაისისთვის გეგმავს

**მერაბ გიგაური** კარიერას რუსთავის „მეტალურგში" გააგრძელებს. ქუთაისის „ტორპედოს" საყრდენ ნახევარმცველს სხვადასხვა წინადადებით აიმედებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ამ ვარიანტს დასჯერდა.

„ქუთაისის „ტორპედოს" ზოგიერთი ფეხბურთელი „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, ნაწილი „ზესტაფონში" გადავიდა, მათე ცინცაძე კი „დინამომ" აიყვანა. მე საქართველოში დარჩენა არ მსურდა და ამის გამო არ გავაფორმე ხანგრძლივი კონტრაქტი. ველოდებოდი პასუხებს პოლონური და უნგრული კლუბებისგან. მაგრამ „ტორპედოში" ვითარება ისეთ დროს შეიცვალა, რომ უცხოეთში წასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. რუსთავის „მეტალურგთან" 6-თვიან კონტრაქტს გავაფორმებ. სხვათა შორის, გუნდი მომეწონა, ნიჭიერი ბავშვებიც არიან, გამოცდილი ფეხბურთელებიც გვყავს და ვარლამ კილასონიას სავარჯიშო პროცესიც სასიამოვნოა. იმედია, ევროპაში მაისის შემდეგ მაინც წავალ", - ამბობს გიგაური.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის ფეხბურთელი 2010-11 წლებში პოლონეთის ექსტრაკლასას „იაგელონიაში" გამოდიოდა, რის შემდეგაც „ტორპედოს" დაუბრუნდა. გიგაურს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, შარშან კი, დანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში, ეროვნული გუნდის ფორმაც მოირგო.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტური

# არსენალი პირველი აღარ არის

## სუფრის თავში სიტია



რობინ ვან პერსის ტრავმის მოშუშების შემდეგ გოლისთვის 6 წუთი ეყო

### საბოდიშო საქმე

„ლივერპულმა" დერბიში 3-მატჩიან ფრეთა სერიას წერტილი დაუსვა და თანაც მეტოქე სამაგალითოდ დასაჯა. სამბურთიანი სხვაობა თანაქალაქელთა შორის ბოლო წლებში იშვიათად, მაგრამ დაფიქსირებულა, თუმცა ამაზე შორს გუნდებს აღარ „შეუტოპავთ". თავად წარმოიდგინეთ, „წითლებს" „ევერტონის" კარი 4-ჯერ 1991 წლის 20 თებერვლის შემდეგ არ აულიათ, თუმცა ასოციაციის თასის მე-5 რაუნდის შეხვედრაში მაშინ საქმე მაინც პენალტებამდე მივიდა, რომელშიც გამარჯვებული მუდმივი ფავორიტი დარჩა. „ლურჯებმა" ამაზე უარესი სირცხვილი უკანასკნელად 1982 წლის 6 ნოემბერს იწვნიეს - 0:5. ანგარიში სამშაბათსაც გამეორდებოდა, რომ არა **დანიელ სტარიჯის** თავდაჯერება. შტატიანმა პენალტისტებმა **სტივ ჯერარდმა** და **ლუის სუარესმა** დუბლის ავტორს მესამე გოლის გატანის შანსი მისცეს, თუმცა დანიელის დარტყმა ხარიხას დიდი მანძილით გადასცდა. 71-ე წუთზე, როცა **ბრენდან როჯერსმა** სტარიჯი შეცვალა, მან მწვრთნელს მინდვრის კიდესთან ლამის საქმის გარჩევა დაუწყო, რაც, ცხადია, კამერებსაც არ გამოჰპარვიათ. შეხვედრის გმირმა გუშინ დამრიგებელს ამის გამო ბოდიში საჯაროდ მოუხადა.

შეხვედრის მიმდინარეობისას მცირე ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. „ევერტონის" ხულიგანმა ფანებმა ჯერ მასპინძელ ფეხბურთელებს დაუწყეს მონეტების სროლა, მერე ტრიბუნებზე მსხდომ გულშემატკივრებზე გადავიდნენ. მთავარმა არბიტრმა **მარტინ ატკინსონმა** ყურადღება ამას მხოლოდ მას მერე მიაპყრო, რაც დარღვევაზე სუარესმა მიუთითა. ლივერპულის პოლიციის განცხადებით, ისინი დეტალურად შეისწავლიან სტადიონის უსაფრთხოების კამერების ჩანაწერებს და ქმედების ჩამდენთ შესაბამის პასუხს მოსთხოვენ.

ბრენდან როჯერსი (ლივერპული): *„ვიცი, რომ დერბის დროს ტრიბუნებზე ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფეროა. სწორედ ჩვენი გულშემატკივრების ხათრით ვითამაშეთ დღეს ასე კარგად. დაცვაში ორგანიზებულად ვმოქმედებდით, მეტოქეს თავისუფალ სივრცეს პრაქტიკულად არ ვუტოვებდით, თავად კი კონტრშეტევებზე ძალიან სწრაფები ვიყავით. ოთხი გოლის გარდა გატანის შანსი კიდევ რამდენჯერმე გვქონდა. ვამაყობ თითოეული ფეხბურთელით, ვინც ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში თავისი როლი ითამაშა, რადგან ისინი შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობდნენ. ყოველი სამი ქულა მნიშვნელოვანია, თუმცა რამდენადაც პრინციპულია მეტოქე, მას იმდენად მეტი ფასი ედება. სამომავლოდ შედეგი, უპირველესად. ფსიქოლოგიურად წაგვადგება".*

### დიდი სამეული ოლდ ტრეფორდზე

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „პალასთან" შეხვედრა; შეიძლება ითქვას, იოლად მოიგო. სასტარტოში გამოჩნდა ორიოდე დღის წინ ნაყიდი **ხუან მატა,** ვინც სადებიუტო შეხვედრაში ცოტა შებოჭილი კი გახლდათ, მაგრამ მეორე ტაიმში ორჯერ მაინც ჰქონდა გატანის შანსი. მას ერთხელ **დევიდ მარშალმა** აუღო არცთუ ძლიერად დარტყმული, მეორედ კი ესპანელს ძელიდან გადმოვარდნილზე შეეძლო დამატება, მაგრამ ბურთმა ახლოს ჩაუქროლა. „ეშმაკების" ბანაკში კიდევ ორი სასიამოვნო ამბავი მოხდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ითამაშა **რობინ ვან პერსიმ**. ჰოლანდიელმა 10 ნოემბრის შემდეგ ჩემპიონატში პირველად გაიტანა და თანაც თავის სტილში. მეკარეს ერთხელ დაურტყა, დამატებაზეც ყველას დაასწრო და ამჯერად უკვე ზუსტი აღმოჩნდა. მოედანს დაუბრუნდა **უეინ რუნიც**, თუმცა მას თავი ბევრით არაფრით გამოუჩენია.

დევიდ მოიესი (მანჩესტერ იუნაიტედი): *„ჯერ კიდევ 1:0-ზე მქონდა იმედი, რომ მეორესაც სწრაფად გავიტანდით და მატჩის ინტრიგას საბოლოოდ დავასამარებდით. როცა ეს მაინც შევძელით, მერე მესამის გატანას ვნატრობდი. შედეგით საბოლოოდ მაინც კმაყოფილი დავრჩი, რასაც ვერ ვიტყვი თამაშის ხარისხზე. დარწმუნებული გახლდით, რომ უკეთ ვითამაშებდით. რამდენიმე გარემოება სამომავლოდ მაინც იმედიანად განმაწყობს. თუნდაც ვან პერსისა და რუნის დაბრუნება, მატას დებიუტი. ყოველივეს გათვალისწინებით მაქვს უფლება უკეთეს ხასიათზე ვიყო. მიმაჩნია, რომ დებიუტანტის კვალობაზე მატამ შესანიშნავა ითამაშა. ის ბურთს კარგად იჭერდა და უნარიანად ანაწილებდა. დროდადრო მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მასთან გუნდი განსხვავებულად ათამაშდა, რაც მოსალოდნელიც არის, როცა ხუანი ჩვენთან ადაპტაციას დაასრულებს. მას განსაკუთრებული როლის თამაში შეუძლია „იუნაიტედში"*.

### რომ არა შჩესნი

ცხრილის ლიდერს ზედიზედ მე-6 შეხვედრის მოგება შეეძლო, მაგრამ არათუ გამარჯვება, საკუთარი დაცვის შემხედვარეს **არსენ ვენგერს** ლამის ქულაც კი სანატრელი გაუხდა. 2-3-ჯერ მოხდა, რომ „მეთოფეებს" საკუთარი საჯარიმოდანაც კი გაუჭირდათ ბურთის ამოტანა. მსგავს ეპიზოდებში უკანახაზელების შეცდომების გამოსწორება **ვოიცეხ შჩესნის** უწევდა. პირველ ტაიმშივე იყო **სტივენ დევისის** ბრწყინვალე სოლო, როცა ჩრდილოირლანდიელმა საჯარიმოსთან სიახლოვეს ლამის მთელი გუნდი პირდაღებული დატოვა. ქულის გადარჩენას ლონდონელები თავიანთ მეკარესა და ინდივიდუალურ ოსტატობას უნდა უმადლოდნენ.

არსენ ვენგერი (არსენალი): *„მიმაჩნია, რომ პირველ ტაიმში „საუთჰემპტონმა", ჩვენგან განსხვავებით, მაღალ დონეზე ითამაშა. აშკარა პრობლემები გვქონდა სისწრაფეში, რადგან ამ მხრივ მეტოქემ დაგვჩაგრა. მეორე ნახევარში სიტუაცია გამოვასწორეთ. ზუსტად მაშინ, როცა ვფიქრობდი, რომ მესამე გოლის შანსი გვქონდა, კაცნაკლულები დავრჩით. ფლამინის გაძევების გარდა, არბიტრმა რამდენჯერმე კიდევ მიიღო საკამათო გადაწყვეტილება, თუნდაც მერტეზაკერისა და მონრეალის წინააღმდეგ წესების დარღვევისას. ერთი სიტყვით თუ შევაჯამებთ, დღეს ყველანი ლამაზი სანახაობის მომსწრენი გავხდით. ჩემმა გუნდმა დიდი ძალისხმევის შედეგად, თუმცა ქულა მაინც დაიმსახურა".*



სტერლინგის ნაქცევის გამო დანიშნული პენალტი სტარიჯმა ვერ გამოიყენა

**ასტონ ვილა–ბრომვიჩი 4:3**

**გოლები:** 0:1 ბრანტი (4), 0:2 დელფი (9-ს.კ-ში), 1:2 ვაიმანი (12), 2:2 ბაკუნა (24), 3:2 დელფი (38), 3:3 მულუმბუ (43), 4:3 ბენტეკე (64-პენ)

**ასტონ ვილა (4-4-2):** გუზანი - ლოუტონი (65. ჰოლტი), ვლაარი, კლარკი, ბერტრანი - ვესტვუდი, ელ აჰმადი (76. სილა), დელფი, ბაკუნა - ვაიმანი (80. ბეიკერი), ბენტეკე

**ბრომვიჩი (4-4-2):** ფოსტერი - რიდი (76. ბერაინო), ლუგანო, ოლსონი, რიჯუელი - იაკობი, მულუმბუ, მორისონი, ბრანტი - ანიჩებე (80. ვიდრა), ანელკა (26. ამალფიტანო)

**გაფრთხილება:** ჰოლტი - ლუგანო, ბრანტი, ოლსონი

**კარში დარტყმა:** 10-11 (6-5) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 6-6 **ჯარიმა:** 15-10 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 36 083

**ჩელსი–ვესტ ჰემი 0:0**

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, კეჰილი, ასპილიკუეტა (64. ლემპარდი) - მიკელი (64. მატიჩი), რამირესი - ვილიანი, აზარი, ოსკარი (80. ბა) - ეტოო

**ვესტ ჰემი (4-2-3-1):** ადრიანი - დემელი, ტომკინსი, კოლინსი, ობრაიენი - დიამე (30. ჯარვისი), ნოუბლი - ნოლანი (80. ნოჩერინო), დაუნინგი, მ. ტეილორი – კეროლი (64. კ. კოული)

**გაფრთხილება:** რამირესი - ობრაიენი, მ. ტეილორი, ნოლანი

**კარში დარტყმა:** 32-1 (7-1) **კუთხური:** 12-3 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 41 376

**სანდერლენდი–სტოკი 1:0**

**გოლი:** 1:0 ა. ჯონსონი (18)

**სანდერლენდი (4-4-2):** მანონე - ბერდსლი (46. ჩელუსტკა), ოში, ბრაუნი, ალონსო - კოლბეკი, კი, ლარსონი, ა. ჯონსონი (87. გარდნერი) - ალტიდორი (67. ს. ფლეტჩერი), ბორინი

**სტოკი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი - ნზონზი, უელანი - ადამი, ასაიდი (72. არნაუტოვიჩი), ოდემვინგი (90+1. გუიდეტი) – კრაუჩი (65. უოლტერსი)

**გაფრთხილება:** ბერდსლი, ბორინი - ნზონზი, ადამი, უილსონი

**გაძევება:** - ნზონზი (58)

**კარში დარტყმა:** 16-14 (6-5) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 16-15 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 34 745

**ტოტენჰემი–სიტი 1:5**

**გოლები:** 0:1 აგუერო (15), 0:2 ი. ტურე (51), 0:3 ჯეკო (54), 1:3 კაპუ (59), 1:4 იოვეტიჩი (78), 1:5 კომპანი (89)

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - უოლკერი, დოუსონი, კირიკეში, როუზი - დემბელე (46. კაპუ), ბენტალები - ლენონი, სიგურდსონი (55. ნაუტონი), ერიქსენი (83. ჰოლტბი) - ადებაიორი

**სიტი (4-4-2):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კლიში - ი. ტურე (64. ნასტასიჩი), ფერნანდინიო, დ. სილვა (80. კოლაროვი), ნავასი - აგუერო (46. იოვეტიჩი), ჯეკო

**გაფრთხილება:** ნაუტონი - ი. ტურე, დემიჩელისი, აგუერო, საბალეტა,

**გაძევება:** როუზი (50) –

**კარში დარტყმა:** 4-24 (2-10) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 11-10 **ბურთის ფლობა:** 34%-66%

**მაყურებელი:** 36 071

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 23 | 17 | 2 | 4 | 68-26 | 53 |
| 2. არსენალი | 23 | 16 | 4 | 3 | 45-21 | 52 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 43-20 | 50 |
| 4. ლივერპული | 23 | 14 | 4 | 5 | 57-28 | 46 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 13 | 4 | 6 | 30-31 | 43 |
| 6. ევერტონი | 23 | 11 | 9 | 3 | 35-24 | 42 |
| 7. იუნაიტედი | 23 | 12 | 4 | 7 | 38-27 | 40 |
| 8. ნიუკასლი | 23 | 11 | 4 | 8 | 32-28 | 37 |
| 9. საუთჰემპტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 31-27 | 32 |
| 10. ასტონ ვილა | 23 | 7 | 6 | 10 | 26-32 | 27 |
| 11. სუონსი | 23 | 6 | 6 | 11 | 29-33 | 24 |
| 12. ნორვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 18-35 | 24 |
| 13. ჰალი | 23 | 6 | 5 | 12 | 22-29 | 23 |
| 14. პალასი | 23 | 7 | 2 | 14 | 15-31 | 23 |
| 15. ბრომვიჩი | 23 | 4 | 10 | 9 | 27-33 | 22 |
| 16. სტოკი | 23 | 5 | 7 | 11 | 22-37 | 22 |
| 17. სანდერლენდი | 23 | 5 | 6 | 12 | 22-36 | 21 |
| 18. ვესტ ჰემი | 23 | 4 | 7 | 12 | 22-33 | 19 |
| 19. ფულჰემი | 23 | 6 | 1 | 16 | 22-50 | 19 |
| 20. კარდიფი | 23 | 4 | 6 | 13 | 17-40 | 18 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 13 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**მომდევნო ტური**

**1 თებერვალი:** ნიუკასლი-სანდერლენდი, ვესტ ჰემი-სუონსი, კარდიფი-ნორვიჩი, ევერტონი-ასტონ ვილა, ფულჰემი-საუთჰემპტონი, ჰალი-ტოტენჰემი, სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი

**2 თებერვალი:** ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული, არსენალი-კრისტალ პალასი

**3 თებერვალი:** მანჩესტერ სიტი-ჩელსი

## ამბები



რომელუ ლუკაკუ მოედნიდან საკაცით გაიყვანეს

### ლუკაკუს დასვენება მოუწევს

„ლივერპულთან" დერბის პირველ ტაიმში „ევერტონის" 20 წლის თავდამსხმელმა **რომელუ ლუკაკუმ** თანაგუნდელ გარეთ ბერისთან შეჯახებისას კოჭი იმდენად დაიზიანა, რომ ლაზარეთში კარგა ხნით მოუწევს გადანაცვლება. იმის გათვალისწინებით, რომ **რობერტო მარტინესს** ტრავმის გამო **არუნა კონეც** აკლია, **ნიკიცა იელავიჩი** კი „ჰალში" გაყიდა, „ევერტონის" მდგომარეობის ნამდვილად არ უნდა შეგშურდეს. ესპანელი სპეციალისტი ახალნვეულ **ლასინა ტრაორეს** იმედად დარჩა. *„საბოლოო პასუხისთვის დეტალური სამედიცინო გამოკვლევის პასუხი დაგვჭირდება, თუმცა რომელუს მდგომარეობას მსუბუქი რომ არ ეთქმის, ამის თქმა იოლია. მას კოჭზე მყესების და ზიანების ნიშნები აქვს,"* - განაცხადა მარტინესმა.

### რემსის ბედი არ სწყალობს

ერთთვიანი პაუზის შემდეგ „არსენალში" **აარონ რემსის** დაბრუნებას „საუთჰემპტონთან" შეხვედრებში ელოდნენ, თუმცა 23 წლის უელსელი „წმინდანებთან" განაცხადში ვერ მოხვდა. თამაშის დასრულების შემდეგ კი გაირკვა, რომ ნახევარმცველს ბარძაყის კუნთის ტრავმა გაუმიზეზდა. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კვირას „კრისტალ პალასთან" თამაშს ის ვერ შეძლებს. დედაქალაქურ დერბიში ვერ ითამაშებს ვერც **ჯეკ უილშირი**. *„რემსის ძველი ტრავმა გაურთულდა. ვიმედოვნებთ, რომ დაზიანება მძიმე არ იქნება და ის უახლოეს მომავალში შეძლებს გუნდის დახმარებას. ამას გარდა, პირდაპირი წითელი ბარათის გამო, სამი თამაშით მოვისაკლისებთ ფლამინის. არ გამოვრიცხავ საკადრო პრობლემების გამო სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდეთ,"* - აცხადებს ვენგერი.

### უკრაინელი თითქმის დადასტურდა

„ევერტონთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე **ბრენდან როჯერსმა** განაცხადა, რომ პარასკევისთვის ერთ საინტერესო ტრანსფერს ელოდება. ჩვენი ინგლისელი კოლეგების მტკიცებით, ლაპარაკია უკრაინული „დნიპროდან" **ევგენი კონოპლიანკას** შეძენაზე. „ტაიმსი" წერს, რომ 24 წლის ნახევარმცველის გადაბირება „ლივერპულს" 15 მილიონი ფუნტი დაუჯდება. მილიონით მეტს ასახელებს წყაროთა უმრავლესობა. ინგლისელების გარდა კონოპლიანკას მომავალზე უკრაინელებიც წერენ. ერთ-ერთი გამოცემა ფეხბურთელის მშობლებს დაუკავშირდა და შეიტყო, რომ ევგენიმ ინგლისს შესაძლოა ერთ კვირაში მიაშუროს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი



უტევს ხესე

# კასილიასმა კასილიას აჯობა

**რეალი-ესპანიოლი 1:0 (1:0)**

**გოლი:** 1:0 ხესე როდრიგესი (7)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, ნაჩო, ფ. კოენტრაო (73. პეპე) - ილიარამენდი, ჩაბი ალონსო - დი მარია (86. კაზემირო), ისკო (81. მორატა), კრიშტიანო რონალდო - ხესე როდრიგესი

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - რაულ როდრიგესი, სიდნეი, ე. მორენო, კაპდევილა - ვიქტორ სანჩესი, აბრაჰამი - ტორიე (46. ჯ. კორდობა), ალექსი (78. დავიდ ლოპესი), პიცი (66. სტუანი) - სერხიო გარსია

**გაძევება:** ვიქტორ სანჩესი (76. ესპანიოლი)

მადრიდის „რეალმა" „ესპანიოლს" ესპანეთის თასის საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაშიც 1:0 მოუგო და 1/2 ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე გუშინ, „ბილბაო"-„ატლეტიკოს" წყვილში უნდა გარკვეულიყო. „სამეფო კლუბმა" 2014 წელს მეცხრე მატჩი ჩაატარა და მეცხრე გამარჯვება მოიპოვა, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში გოლი არ მიუღია.

**იკერ კასილიასმა** წინა შეხვედრაში პირადი რეკორდი დაამყარა, ახლა კი ეს შედეგი კიდევ 90 წუთით გააუმჯობესა - იკერის მშრალი სერია უკვე 682 წუთია გრძელდება.

*„ეს საოცარი რეკორდია და იკერმა ის მძიმე შრომის გამო დაიმსახურა. გამოსარჩევია ისიც, რომ კასილიასი არც ისე იოლ და ჩვეულ მდგომარეობაშია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის საკუთარ საქმეზე ბოლომდეა კონცენტრირებული და უდიდეს პროფესიონალიზმს ავლენს,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე **კარლო ანჩელოტიმ**.

„რეალს" ტრავმის გამო **გარეთ ბეილი** ვერ დაეხმარა, ხოლო **ქარიმ ბენზემამ** იტალიელი სპეციალისტის გადაწყვეტილებით არ ითამაშა, სამაგიეროდ ანჩელოტიმ ძირითადში გაამწესა **ხესე როდრიგესი**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და „სამეფო კლუბისთვის" სარგებლის მოტანა ახლავე შეუძლია. მიმდინარე სეზონში 20 წლის მოთამაშემ თავისი მე-4 გოლი გაიტანა. ორჯერ ხესემ თავი თასზე გამოიჩინა („ესპანიოლამდე" „ოსასუნას" გაუტანა), ჩემპიონატში კი მან „ბარსელონას" და „ვალენსიას" კარი აიღო.

*„ჩემი მიზანია, ათი გოლი გავიტანო. ვნახოთ, მივაღწევ თუ არა ამ ნიშნულს. ჯერჯერობით ბოძებულ შანსებს ვიყენებ, რაც უზომოდ მახარებს. ვარჯიშებზე ბევრს ვმუშაობ და მწვრთნელიც ამ შრომას მიფასებს. საკუთარი თავის იმედი ყოველთვის მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩემს კოლეგას დიდ პატივს ვცემ, მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი ზედმეტად თავმდაბალი ვერ იქნება, - განაცხადა ხესემ და დაამატა - ვოცნებობ, რომ ერთ დღესაც „ოქროს ბურთს" მოვიგებ. იმედია, ეს ყველაფერი ოთხ წელიწადში მოხდება".*

**ტატო ბაციკაძე**

ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

# ლიბერტადორესი 55-ე ალმართს შეუყვა

**ო. პეტროლერო-ნასიონალი 1:0**

**გოლი:** 1:0 მოხიკა (33)

**მორელია-სანტე ფე 2:1**

**გოლები:** 1:0 მანსილია (27), 2:0 სამორანო (66), 2:1 ო. პერესი (85)

სამხრეთ ამერიკაში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო. ჯგუფური ეტაპის 6 საგზურისთვის ერთმანეთს 12 კლუბი ეცილება, რომელთაგანაც ოთხმა გუშინ ითამაშა.

ბოლივიაში, ქვეყნის 4-გზის ჩემპიონმა „ორიენტე პეტროლერომ", რომელშიც ეროვნული გუნდის რამდენიმე წევრი გამოდის, კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ურუგვაის „ნასიონალს" უმასპინძლა და **გუალბერტო მოხიკას** ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო.

მიუხედავად მარცხისა, წყვილის ფავორიტად მაინც ლიბერტადორესის თასის 3-გზის მფლობელი რჩება, ვინც საპასუხო შეხვედრაში მეტოქეს 5 თებერვალს უმასპინძლებს. აქვე, აღვნიშნოთ ისიც, რომ „პეტროლეროს" გამარჯვების მთავარი ფაქტორი გაიშვიათებული ჰაერი სულაც არ ყოფილა. ეს კლუბი ბოლივიის ყველაზე დასახლებულ ქალაქს, სანტა კრუსს წარმოადგენს, რომელიც ზღვის დონიდან მხოლოდ 400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მეორე შეხვედრაში კი მექსიკურმა „მორელიამ" შარშანდელი სეზონის 1/2-ფინალისტს უმასპინძლა და მანაც მინიმალური სხვაობით იმარჯვა. **ედუარდო დე ლა ტორეს** შეგირდები **ექტორ მანსილიას** და **არმანდო სამორანოს** გოლებით მშვიდად, ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, „სანტა ფეს" არგენტინელმა ლეგიონერმა **ომარ პერესმა** სხვაობა შეამცირა და საკუთარ გუნდს ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დაუტოვა. სხვათა შორის, პერესმა გოლით საკუთარი შეცდომა გამოასწორა, რადგან 77-ე წუთზე სტუმართა მე-10 ნომერმა პენალტი ვერ გამოიყენა.

**ტატო ბაციკაძე**

კვირა ციფრებში

# განადგურება დერბიში და ინგლისური დანახარჯები

**დღევანდელ მიმოხილვაში მერსისაიდული დერბის და „ლივერპულის" ფორვარდების შესანიშნავი თამაშის გარდა, მადრიდული გუნდების განსხვავებულ ბედზე და ინგლისური კლუბის დანახარჯებზე ვისაუბრებთ...**

**32** - წელი და 80 თამაში იყო გასული მას შემდეგ, რაც „ლივერპულმა" „ევერტონს" სამზე მეტბურთიანი სხვაობით ბოლოს სძლია. ეს სერია სამშაბათს დასრულდა, როდესაც „წითლებმა" მერსისაიდულ დერბიში 4:0 იმარჯვეს.

**იან რაშის** შესანიშნავი თამაშის და **გლენ კილის** პირველ ტაიმში გაძევების გამო, „ლივერპულმა" 1982 წლის ნოემბერში მეტოქეს 5:0 მოუგო. სამშაბათს, „ენფილდის" ბინადართა გამარჯვების მთავარი ფაქტორი არა რომელიმე ფეხბურთელის გაძევება, არამედ შემტევი დუეტი გახლდათ. **ლუის სუარესმა** ანგარიში **სტივენ ჯერარდს** გაახსნევინა, მოგვიანებით კი თავადაც გაიტანა და ახლა, ურუგვაელს 18 შეხვედრაში 23 გოლი აქვს გატანილი - ზუსტად იმდენი, რამდენიც მან შარშან, 33 შეხვედრაში. „სტივი ჯის" და „სუას" გოლებს შორის კი დუბლი **დანიელ სტარიჯმა** შეასრულა, რომლის ანგარიშზეც ამ სეზონში უკვე 13 გოლია, რაც „მანჩესტერ სიტის" და „ჩელსის" ყოფილი ფორვარდისთვის პირადი რეკორდია.

მიმდინარე სეზონში სტარიჯს გოლი ყოველ 90 წუთში ერთხელ გააქვს, რაც ლიგის მასშტაბით მესამე მაჩვენებელია. მასზე უკეთესი შედეგი მხოლოდ **სერხიო აგუეროს** (81,9 წუთი) და სუარესს (73,5 წუთი) აქვთ.

**ბრენდან როჯერსის** გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ 3:0-ს იგებდა. აღსანიშნავია, რომ „ლივერპულს" მატჩების პირველ ტაიმებში იმაზე მეტი გოლი აქვს გატანილი (37), ვიდრე „ევერტონს" მთლიანობაში (35). ასევე, შეგახსენებთ, რომ ნოემბერში გამართული დერბი ფრედ, 3:3 დასრულდა, რაც ნიშნავს იმას, რომ „ლივერპულმა" ერთ სეზონში „ევერტონის" კარში 7 გოლის გატანა 1947/48 წლების სეზონის შემდეგ პირველად შეძლო.

**18** - ტური ელოდა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში პირველ გამარჯვებას „ნიურნბერგი", რომელმაც 2013 წელს გამართული 17 მატჩიდან 6 წააგო და 11 ფრედ დაასრულა. შედეგად, „დერ კლუბი" გახდა პირველი გუნდი ბუნდესლიგის ისტორიაში, ვინც პირველ წრეში ერთი გამარჯვებაც კი ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, 2014 წელი ფრანკებმა შესანიშნავად დაიწყეს და საკუთარ მოედანზე „ჰოფენჰაიმი" გაანადგურეს - 4:0. დუბლი 21 წლის შვეიცარიელმა ფორვარდმა **იოსიპ დრმიჩმა** შეასრულა და **გერტიან ვერბეეკს** „ნიურნბერგის" მწვრთნელის პოსტზე პირველი გამარჯვება მოუტანა. ვერბეეკი კლუბის ისტორიაში მაინც შევიდა: ის გახდა პირველი მწვრთნელი, ვინც სადებიუტო გამარჯვებას მთელი 9 მატჩი ელოდა.

ამ გამარჯვების წყალობით, „ნიურნბერგმა" ორი ქულით გაასწრო ბოლო ადგილზე მყოფ ბრაუნშვაიგის „აინტრახტს", რომლის ანგარიშზეც სულ 10 გოლია. ბუნდესლიგის ისტორიაში, 18 ტურის შემდეგ ამაზე ცუდი შედეგი მხოლოდ ორჯერ დაფიქსირდა: 1965/66 წლების სეზონში, ისტორიაში ყველაზე სუსტმა გუნდმა, ბერლინის „ტასმანიამ" 18 ტურში რვა გოლი გაიტანა, 1970/71 წლების სეზონში კი ფრანკფურტის „აინტრახტმა" ერთით მეტი, ცხრა გოლი შეაგდო.

**11** - მა კლუბმა მოახერხა საკუთარი სატრანსფერო რეკორდის გაუმჯობესება პრემიერლიგის წინა სეზონის დასრულების შემდეგ. ამ სიას ბოლოს „ჰალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" შეუერთდნენ, რომლებმაც, შესაბამისად, **ნიკიცა იელავიჩი** და **ხუან მატა** შეიძინეს. ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის სარეკორდო შენაძენები კი გახდნენ: **მესუთ იოზილი** (არსენალი), **გარი მედელი** (კარდიფი), **დუაიტ გეილი** (კრისტალ პალასი), **რიკი ვან ვოლფსვინკელი** (ნორვიჩი), **პაბლო დანიელ ოსვალდო** (საუთჰემპტონი), **ვილფრიდ ბონი** (სუონსი), **ერიკ ლამელა** (ტოტენჰემი), **სტეფან სესენიონი** (ვესტ ბრომვიჩი) და **ენდი ქეროლი** (ვესტ ჰემი).

„წითელმა ეშმაკებმა" მატას სანაცვლოდ „ჩელსის" 37,1 მილიონი გირვანქა გადაუხადეს, რის გამოც ესპანელი პრემიერლიგის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერების სიაში, სერხიო აგუეროს (38 მილიონი), მესუთ იოზილის (42,5 მილიონი) და **ფერნანდო ტორესის** (50 მილიონი) შემდეგ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

**6** - საშინაო მარცხი განიცადა ზედიზედ „რაიო ვალეკანომ", რის გამოც მადრიდული კლუბი მე-17 ადგილზე მყოფ „ელჩეს" უკვე 5 ქულით ჩამორჩა. ამ პერიოდში „ფუტკრებმა" 21 გოლი (3,5 საშუალოდ) გაუშვეს. „რაიოს" საშინაო არენაზე ბოლო გამარჯვებული მადრიდის „ატლეტიკო" გახდა, რომელმაც მეტოქეს 4:2 სძლია. მიუხედავად ოთხი გოლისა, თავი არ გამოუჩენია „ვალეკანოს" ყოფილ ფორვარდ **დიეგო კოშტას**, ვინც ჩემპიონატის პირველ 17 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა. ბრაზილიელ-ესპანელის უგოლო სერია უკვე 373 წუთია გრძელდება.

კოშტას ამ მშრალი სერიის დროს, ბომბარდირთა დავის პირველ პოზიციაზე **კრიშტიანო რონალდომ** გადაინაცვლა, ვინც „გრანადასაც" გაუტანა, „რეალმა" კი 2:0 მოიგო. „სამეფო კლუბმა" ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო 10 შეხვედრაში იმარჯვა, გოლი კი „რეალს" უკვე 748 წუთია არ გაუშვია.

**ტატო ბაციკაძე**





ამბები

## ჯა ჯეჯე მარსელელია

ფრანგულმა „მარსელმა" „ევიანისგან" 23 წლის ფულბეკი **ბრის ჯა ჯეჯე** დაიმატა. ეს ფეხბურთელი „ველოდრომის" ბინადრებთან 4,5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჯა ჯეჯეს შეტევებში შეუძლია კარგად ჩართვა და მარსელელებს თავი ამით მოაწონა. ლიგა ერთში დარჩენისთვის მებრძოლ „ევიანში" კი სანაცვლოდ **კასიმ აბდალა** გაემგზავრება, რომელსაც „ველოდრომზე" გარანტირებული სათამაშო დრო არ ჰქონდა.

## ნტეპი რენელია

ფრანგულ „რენს" კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს. შვედი თავდამსხმელის **ოლა ტოივონენის** მერე, ბრეტონელებმა კიდევ ერთი ფორვარდი გადაიყვანეს - **პოლ-ჟორჟ ნტეპი**. წარმოშობით კამერუნელი შემტევი საფრანგეთის მოქალაქეა და 21-წლამდელთა ნაკრების წევრიც გახლავთ. ის „ოსერში" თამაშობდა და მიმდინარე ლიგა 2-ში 17 მატჩში 7 გოლის გატანაც შეძლო. 21 წლის ფეხბურთელი თითქოს, იტალიურ „რომაში" გადადიოდა, მაგრამ საბოლოოდ „რენში" ამოყო თავი.

## ვოლფსბურგი 15 მილიონით დაჯარიმდება

ფინანსური ფეირ-პლეი ნელ-ნელა იქოქება და სულ მალე თანამედროვე ფეხბურთის განუყრელი ნაწილი გახდება. აგერ მაგალითად „ვოლფსბურგი", რომელმაც სულ ახლახან „ჩელსისგან" 20 მილიონ ევროდ შეიძინა **კევინ დე ბრუინი**, 15 მილიონით დაჯარიმდება. ამის მიზეზი ისაა, რომ თავისი სპონსორ „ფოლკსვაგენისგან" „მგლები" 60 მილიონ ევროს მიიღებენ, რაც 15 მილიონით აღემატება მათ ამჟამინდელ ლიმიტს, რომელსაც სასპონსორო თანხა არ უნდა ასცდეს.

## რურული ამბები

**ლუის ჰოლტბი** „დორტმუნდში" იანვარში ნამდვილად ალარ გადავა. ბორუსიელებს „ტოტენჰემის" მიერ მოთხოვნილი თანხა 6 მილიონი ევრო და პლუს, ფეხბურთელის წლიური ხელფასი 3 მილიონი ევრო არ მოეწონათ და ამხელა ფინანსების გახარჯვას ჰოლტბიში არ აპირებენ. ამავდროულად, „დორტმუნდის" უფროსობამ ისიც განაცხადა, რომ ალარც **ანდრეა რანოკიათი** არიან დაინტერესებულნი და მასში 11-12 მილიონს არ გადაიხდიან. ჰოლტბის რაც შეეხება, მისი დაბრუნება რურის მეორე წარმომადგენელ „შალკესაც" სურს, მაგრამ გელზენკირხენელებსაც ლონდონელების მიერ მოთხოვნილი თანხა არ აკმაყოფილებთ. თავის მხრივ კი, „შალკეს" ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ **იულიან დრაქსლერი** არ იყიდება. ასე რომ, „არსენალსა" და ამ ახალგაზრდა ტალანტის სხვა მსურველებს მოუწევთ ამ ეტაპზე მასზე ოცნებას შეეშვან.

## კანი: ყველაფრის ყიდვა შეიძლება

**ოლივერ კანის** აზრით, **რომან აბრამოვიჩმა** ლონდონის „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგა „უყიდა".

*„იმისთვის, რომ ბუნდესლიგაში მოხვდე, 20-25 მილიონია საჭირო, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად კი გაცილებით დიდი ბიუჯეტი გჭირდება, დაახლოებით 300 მილიონი. ამდენი ფულის ხარჯვით აბრამოვიჩმა ფაქტობრივად უყიდა თავის გუნდს ეს ტიტული. თუმცა განსხვავდება კი ის, რასაც „ჩელსი" აკეთებს, იმისგან, რასაც „მანჩესტერ სიტი", „რეალი", „ბარსელონა" და „ბაიერნი" აკეთებენ?"* - იკითხა კანმა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკა და ანალიტიკა

## CIES საფეხბურთო ობსერვატორიის დასკვნა: ევროპული ფეხბურთი არასწორად ვითარდება

### ინტერის ფეხბურთელთა 89% ლეგიონერია, ბარსა ყველაზე ტანდაბალია, აიაქსის სკოლა საუკეთესო



მილანის „ინტერში" იტალიელის მოძებნა გაგიჭირდებათ

**შვეიცარიულმა „CIES საფეხბურთო ობსერვატორიამ", რომელსაც სტატისტიკური ანალიტიკის კვლევის დარგში მსოფლიო ფეხბურთში ანალოგი არ ჰყავს, 21 იანვარს ყოველწლიური დემოგრაფიული ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 96-გვერდიანია და ევროპის 31 მოწინავე საფეხბურთო ჩემპიონატს მოიცავს. ჩემპიონატები სამ დონედ არის გაყოფილი: 1-ელ დონეში ტოპ-5 ლიგა შედის (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი). მე-2 დონეში მოხვედრილია 11 ჩემპიონატი, მესამეში კი - 15. სამწუხაროდ, კვლევა ჯერ ისევ გვერდს უვლის საქართველოს ჩემპიონატსა და ქართულ ფეხბურთს. ისევე, როგორც ევროპის 20-ზე მეტ სუსტ პირველობას.**

მოკლედ, სულ შესწავლილია 31 ჩემპიონატი, 472 კლუბი და 11 653 ფეხბურთელი. გამოკვლევა 5 თავად არის დაყოფილი: „საკლუბო რეკორდები", „ლიგების შედარება", „ლიგების პროფილი", „საერთაშორისო მიგრაცია" და „ახალგაზრდა ტალანტები". გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევროპული ფეხბურთი ზოგიერთი მიმართულებით ისე არ ვითარდება, როგორც ეს ფეხბურთის მომავლისთვის არის კარგი. ძალიან ბევრ ლიგასა და კლუბში ეკონომიკური სიძნელეები დაღს ასვამენ საფეხბურთო ინდუსტრიას. და მიუხედავად ამისა, ამ სატრანსფერო სეზონში განხორციელებული ტრანსფერები რეკორდულია ფეხბურთის ისტორიისთვის. 2009 წლის მერე, ყველაზე დაბალ მაჩვენებელზეა საფეხბურთო კლუბებში თავიანთ აღზრდილ ფეხბურთელთა პროცენტული მაჩვენებელი. რეკორდულად გაიზარდა ექსპატრიატ ფეხბურთელთა რიცხვიც. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ფინანსური უფსკრული მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის სულ უფრო ღრმა ხდება...

### მთავარი ციფრები

* მიუხედავად იმისა, რომ უეფას საკლუბო ფორმატის რეგულაციები, ასევე რეგულაციები ცალკეულ ქვეყნებში, ხელს უწყობს ახალგაზრდა ტალანტების წამოწევას კლუბებში, კლუბში აღზრდილ ფეხბურთელთა წილი პროფესიულ დონეზე რეკორდულად მცირეა - 21,2%.

* კლუბებში რეკორდულად მაღალია ლეგიონერთა რიცხვი - 36,8%. ასევე რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა პროფესიონალ ფეხბურთელთა შორის - ფეხბურთელთა 49,3% ანუ თითქმის ნახევარი კარიერის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ლეგიონერი.

* ინგლისური პრემიერლიგა მეორე ადგილზეა ლეგიონერთა წილით ჩემპიონატში - 60,4% ფეხბურთელებისა ლეგიონერია. პირველ ადგილზე ამ მაჩვენებლით კვიპროსის ჩემპიონატია. კიდევ 4 ჩემპიონატში ლეგიონერთა რიცხვი ადგილობრივებზე მეტია: იტალიაში, თურქეთში, პორტუგალიასა და ბელგიაში.

* ყველაზე მეტი ლეგიონერი ჰყავს მილანის „ინტერს", რომელზეც იტალიური კლუბი უკვე აღარც ითქმის - ფეხბურთელთა 89% (!) ლეგიონერია.

* საპირისპიროდ, ყველაზე მეტი საკუთარი აღზრდილი ჰყავს უნგრულ „სომბატჰეის" - 85,7%. შემადგენლობაში 3/4-ზე მეტი საკუთარი აღზრდილი ჰყავს კიდევ ორ კლუბს „ოსიეკს" და „ჰარტსს".

* ტოპ-5 ჩემპიონატში მხოლოდ 4 კლუბშია საკუთარ აღზრდილთა რიცხვი მეტი შეძენილ ფეხბურთელებზე. ესენია: „ბარსელონა" (64%), „ბილბაო", „რეალ სოსიედადი" და „ლიონი".

* ევროპის 31 ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბრაზილიელი ლეგიონერია. ეს მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელთა რიცხვი 2009 წელთან შედარებით 67-ით შემცირდა. ამჟამად 31 ჩემპიონატში 471 ბრაზილიელი თამაშობს. საფრანგეთი მეორე ადგილზეა. ფრანგი ლეგიონერების რიცხვი 30 ჩემპიონატში (ბუნებრივია, საფრანგეთი აღარ ითვლება) 306-ია (+59 2009 წელთან შედარებით).

* სატრანსფერო აქტიურობა გაცილებით მაღალია სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ვიდრე ჩრდილოეთში. 2013 წლის იანვრიდან მოყოლებული კვიპროსულმა კლუბებმა ყველაზე მეტი შენაძენი გააკეთეს - კლუბზე 14,1 ფეხბურთელი - ეს მაჩვენებელი შვედეთში სულ რაღაც 5,3 ფეხბურთელია კლუბზე საშუალოდ.

* ყველაზე მეტი ფეხბურთელი განაცხადში იტალიასა და ინგლისში ჰყავთ - საშუალოდ 26,8 კლუბზე. იტალიის სერია A კიდევ ორი მაჩვენებლით ლიდერობს - ლიგა ყველაზე ხანდაზმულია ევროპაში - ფეხბურთელთა ასაკი საშუალოდ 27,3 წელია. ასევე, იტალიურ კლუბებს ყველაზე ცოტა საკუთარი აღზრდილი ჰყავთ შენარჩუნებული - 8,4%.

* ყველაზე ტანმაღალი ლიგა გერმანული ბუნდესლიგაა - საშუალოდ, 183,3 სმ, ყველაზე ტანდაბალი კი ესპანური ლა ლიგაა - საშუალოდ, 180,1 სმ. „ბარსელონა" თითქმის ყველაზე ტანდაბალი კლუბია ევროპაში (საშ. 177,4 სმ). მასზე ტანდაბალი მხოლოდ ებრაული „ბნეი სახნინია".

* ინგლისურ პრემიერლიგაში ყველაზე მეტი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომელიც რომელიმე ეროვნული ნაკრების წევრია - 44,3%. საკლუბო დონეზე ამაში ჩემპიონი ლონდონის „ჩელსია" - 80%, „ჩელსი" „მანჩესტერ სიტის" და „ფენერბაჰჩეს" უსწრებს.

* ევროპის კლუბებში ყველაზე სტაბილური „ბარსელონაა". ფეხბურთელი „ბარსელონაში" საშუალოდ 5,5 წელს ატარებს. 5 წელზე მეტი მაჩვენებელი კიდევ ერთ კლუბს აქვს მხოლოდ - „მანჩესტერ იუნაიტედს".

* დაბოლოს, გამოკვლევამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამსტერდამის „აიაქსის" სკოლა ბრწყინვალედ მუშაობს. ევროპაში ამჟამად „აიაქსის" 69 აღზრდილი თამაშობს. მეორე ადგილზე ბელგრადის „პარტიზანის" აკადემიაა (66). შემდეგ მოდიან: „ბარსელონა", „ჰაიდუკი" და ლისაბონის „სპორტინგი". „ბარსელონამ" 61 ასეთი ფეხბურთელი აღზარდა, მათგან 16 ისევ კლუბშია.

### რა ღირს პრემიერლიგა, ლა ლიგა...

„საფეხბურთო ლაბორატორიამ" გამოაქვეყნა კვლევის საინტერესო შედეგი სატრანსფერო ფინანსებთან დაკავშირებით: ტოპ-5 ჩემპიონატში, რომელ კლუბს, რამდენი დაუჯდა დღევანდელი შემადგენლობების შესაკოწიწებლად.

* ინგლისური პრემიერლიგა ლიდერია - ლიგის 20-ვე კლუბმა ჯამში დღევანდელ შემადგენლობაში 2,7 მილიარდი ევრო გადაიხადა! მეორე ადგილზეა იტალიის ჩემპიონატი - 1,2 მილიარდი ევრო და მხოლოდ მესამე ადგილზეა ესპანური ლა ლიგა - 1,1 მილიარდი ევრო, სადაც თამაშობენ კიდევაც მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები: **გარეთ ბეილი და კრიშტიანო რონალდო.** ფრანგული ლიგა 1-ის ყველა ფეხბურთელი ერთად 951 მილიონი ევრო დაჯდა, მთელი ბუნდესლიგა კი მხოლოდ 849 მილიონი ევრო „ღირს". გარეთ ბეილის ფასად, ბუნდესლიგელები 11-კაციან გუნდსაც ვერააწყობდნენ!

* გადავიდეთ კლუბებზე: ჩემპიონი „რეალია", - „სამეფო კლუბს" დღევანდელი შემადგენლობა ჯამში 536 მილიონი ევრო დაუჯდა. მეორე ადგილზეა „მანჩესტერ სიტი" - 435 მილიონი ევრო, მესამეზე - „მანჩესტერ იუნაიტედი" - 395 მილიონი.

არა გვგონია, უინტერესო იყოს ათეულის მთლიანი ჩამონათვალიც: 4. „ჩელსი" - 376 მლნ; 5. პსჟ - 366; 6. „ტოტენჰემი" - 250; 7. „ბარსელონა" - 237; 8. „ბაიერნი" - 233; 9. „არსენალი" - 215; 10. „იუვენტუსი" - 214.

* ახლა ღარიბებზე ვთქვათ: ტოპ-5 ჩემპიონატებში ათი ისეთი კლუბია, რომელთა ფეხბურთელების ყიდვა გუნდს 3 მილიონ ევროზე ნაკლები (!) დაუჯდა თითოეულს. ეს გმირი კლუბები აუცილებლად უნდა ჩამოვთვალოთ: „რაიო ვალეკანო", „ელჩე", „ალმერია", „ლევანტე", „გენგამი", „ბასტია", „აიაჩო", „ბრაუნშვაიგი", „ვერონა" და „ლივორნო". მათი ერთობლივი ფინანსებით ინგლისის ყველაზე ღარიბი გუნდის, „კრისტალ პალასის" შემადგენლობა ძლივს მოვიდოდა! აი, ამხელა უფსკრულია კლუბებს შორის ფინანსურად, თუნდაც ტოპ-5-ში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სერია A

## მალეზანი დი ფრანჩესკოს ნაცვლად

იტალიის ჩემპიონატის 21-ე ტურში აუტსაიდერთა ჯახში „ლივორნომ" „სასუოლო" 3:1 დაამარცხა. ბოლოადგილოსანთან ნაგება ბოლო წვეთი იყო „სასუოლოს" მესვეურთა მოთმინების ფიალაში და 44 წლის **ეუსებიო დი ფრანჩესკოს**, „რომას" ყოფილ ნახევარმცველს კარზე მიუთითეს. არადა, დი ფრანჩესკოს მეთაურობით „სასუოლო" სერია A-ში გადავიდა, ამ სეზონში ისეთ გუნდებს დააკარგვინა ქულები, როგორიც „ნაპოლის", „ლაციოს" და „რომას", ხოლო „მილანი" სულაც დაამარცხა.

### მილანის და ინძაგის უარი

„სასუოლოს", რომელიც 17 ქულით გასავარდნ ზონაშია, მაშინვე დროებით თავკაცად **პაოლო მანდელი** დაუნიშნეს. კლუბის ხელმძღვანელობას დიდი სურვილი ჰქონდა, თანამდებობაზე **ფილიპო ინძაგი** დაენიშნა, „მილანის" სარეზერვო გუნდის თავკაცი, ამის შესახებ განცხადებაც გაკეთდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „პიპომ" თავად მოისურვა „სასუოლოში" წასვლა. ინძაგის კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ადრე თუ გვიან, „მილანს" გაწვრთნის.

### მალეზანი დაინიშნა

„სასუოლო" დიდხანს არ დარჩა უმწვრთნელოდ - გუშინ ცნობილი გახდა, რომ კლუბმა დი ფრანჩესკოს ნაცვლად, 59 წლის **ალბერტო მალეზანი** ოფიციალურად დაამტკიცა. ვერონელმა სპეციალისტმა „ნეროვერდი" გავარდნისგან უნდა იხსნას. გუშინ მალეზანი გუნდის სამწვრთნელ პროცესსაც დაესწრო, მისი პრეზენტაცია კი დღეისთვის იგეგმება.

მალეზანიმ, რომელიც მხოლოდ სამოყვარულო დონეზე თამაშობდა ფეხბურთს, სამწვრთნელო კარიერა „კიევოში" 1987 წელს დაიწყო, როცა ამ კლუბის ჭაბუკთა გუნდს ჩაუდგა სათავეში. 1993 წლიდან კი ის უკვე „კიევოს" პირველი გუნდის მწვრთნელია. მალეზანის გაუწვრთნია „ფიორენტინა", „პარმა", „ვერონა", „უდინეზე", „ემპოლი", „სიენა", „ბოლონია", „ჯენოა" და „პალერმო". თითქმის ყველა არაგრანდი იტალიური კლუბი. მან ერთი სეზონი (2005/06) საზღვარგარეთ, კერძოდ, ათენის „პანათინაიკოსში" გაატარა.

ყველაზე დიდ წარმატებას ამ სპეციალისტმა 1999 წელს მიაღწია, როდესაც „ფიორენტინას" იტალიის თასი, იტალიის სუპერთასი და უეფას თასი მოაპოვებინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალბერტო მალეზანიმ „სასუოლო" გავარდნისგან უნდა იხსნას

ინტერი

## ერნანესი ინტერში?

### გუარინი ისევ გაურკვევლობაშია

**ფრედი გუარინი** ისევ გაუგებრობაშია, ვერც „იუვენტუსში" გადავიდა და ველარც „ინტერში" ასპარეზობს, პრესაში კი ურთიერთგამომრიცხველი ცნობები ვრცელდება. 27 წლის შემტევ ნახევარმცველს რთული დროება უდგას, რაზეც მისი აგენტის **მარსელო პერეირას** სიტყვები მოწმობს:

*„გაოგნებული ვარ იმით, რაც ხდება, ფრედი გუარინი კი ჩემზე უარეს დღეშია. ჯერ გვითხრეს, რომ შეთანხმება მიღწეული იყო და ჩემი კლიენტი „იუვენტუსში" უნდა გადასულიყო, შემდეგ კი ეს ტრანსფერი ჩაიშალა და რადგან ფრედიმ უკმაყოფილება გამოთქვა, „ინტერშიც" ოფსაიდში დარჩა. მას შემდეგ ერთი კვირაა გასული და ფეხბურთელთან არავის უცდია დალაპარაკება. გუარინი ძალიან განიცდის და კლუბის პრეზიდენტთან, ერიკ ტოჰირთან სურს დალაპარაკება. ვეცდები, ამ შეხვედრას ორგანიზება გავუკეთო, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. უნდა გავიგოთ, ვის ინტერესებში შედიოდა მოვლენათა ასეთი დრამატიზირება".*

ამასობაში, „გაძეტა დელო სპორტმა" გვაუწყა, რომ მილანელებმა შეთანხმებას მიაღწიეს „ლაციოსთან" და 28 წლის შემტევი ნახევარმცველი **ერნანესი** თავისთან წაიყვანეს. სატრანსფერო დეტალები არ ხმაურდება. ერნანესი ფრედი გუარინის პოზიციაზე თამაშობს და ეს კიდევ ერთი ნათელი მესიჯია კოლუმბიელისთვის.

თუმცა გუშინ ეს ხმები კატეგორიულად უარყო „ლაციოს" პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ**: *„არასოდეს არ დამიყენებია ერნანესი ტრანსფერზე და არც ამის გაკეთების სურვილი მქონია. ჩვენი მიზანი, ბრაზილიელის შენარჩუნება იყო და იქნება. თუკი თავად მას წასვლა სურს „ლაციოდან", ჯერ ამის შესახებ პირადად უნდა შეგვატყობინოს, ასეთი რამ კი აქამდე არ ყოფილა".*

**ლაშა ნიკლაური**



ფრედი გუარინის (მარცხნივ) ადგილს ერნანესი დაიკავებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ფაბიო კანავარო

# როცა მუნდიალს იგებ, ლეგენდა ხდები

## ზოგჯერ უფრო იტალიელები უნდა ვყოფილიყავით

**ფაბიო კანავარო უნიკალური მცველია, რომელსაც წილად ხვდა პატივი „ოქროს ბურთი" დაესაკუთრებინა და ეს მას მერე მოხდა, რაც კანავაროს კაპიტნობით და ფაბიოს საოცრად შთამბეჭდავი თამაშით, იტალიის ნაკრებმა 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ახლახან „სკუადრა აძურას" ყოფილი ლიდერი ბრაზილიას ეწვია, სადაც უნდა გაიმართოს კიდეც მომავალი მუნდიალი და Fifa.com-მაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა... ჩვენ 40 წლის ფაბიოსთან ამ ვრცელი ინტერვიუს ოდნავ შემოკლებულ ვერსიას გთავაზობთ**

**- რა აზრი გებადებათ, როდესაც ბრაზილიაზე ფიქრობთ?**

- როდესაც ბრაზილიაზე საუბრობ, ავტომატურად საუბრობ ფეხბურთზეც. ეს ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, სადაც ფეხბურთი ჩვეულებრივ სპორტის სახეობაზე მეტია - სპექტაკლი და ცხოვრების აზრია. მე ამაყი ვარ იმით, რომ იტალიელი ვარ, მაგრამ ჩვენთან ფეხბურთის ხედვა ოდნავ სხვაგვარია. მეამაყება ისიც, რომ ბრაზილიელებმა 5 მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორი ჩვენთან პაექრობისას მოიგეს, ეს ბევრს ნიშნავს. ბრაზილია თავადაა ფეხბურთი.

**- რა არის იტალიის ნაკრების მთავარი ძალა, როდესაც „სკუადრა აძურა" მინდორზე გადის?**

- ჩვენ ტექნიკურად ძალიან ძლიერები ვართ, მაგრამ ყველაზე მეტად გულით, შემართებით თამაშს გამოვარჩევდი. ჩვენ ყველაფერს ვწირავთ მოგებისთვის და ამისკენ ვისწრაფვით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მოგებას ვცდილობთ. თუ საჭიროა, სანახაობრივად არამიმზიდველ თამაშსაც ვაჩვენებთ, ჩვენთვის გამარჯვება ყველაფერია - ესაა იტალიის საიდუმლო. ასევე გვაქვს სირთულეების დაძლევის უნარი, ეს ყოველთვის გვქონდა და მიმაჩნია, რომ ესეც საამაყოა.

**- ბევრი საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიცვალა იტალიის ნაკრები ჩეზარე პრანდელის მოსვლის შემდეგ და უფრო სანახაობრივი გახდა მისი თამაში, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- იტალიური ფეხბურთი მართლაც შეიცვალა, მაგრამ არა მხოლოდ პრანდელის გამო. თუ გადახედავთ ბოლო ათწლეულებს, დაინახავთ, რომ საკმაოდ სანახაობრივ და შემტევ ფეხბურთს თამაშობდა „მილანი" და სხვა გუნდებიც, მათ შორის, 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი იტალიის ნაკრები. მაგალითად, ზოგიერთ თამაშს ოთხი თავდამსხმელით და ორი ნახევარმცველით ვამთავრებდით ხოლმე, რომელთაგან ერთ-ერთი ანდრეა პირლო იყო, შეტევაზე ორიენტირებული ნახევარმცველი. ასევე შემტევი განაპირა მცველები ფაბიო გროსო და ჯანლუკა ძამბროტა გვყავდა. თუმცა ხალხს მაინც რატომღაც სულ 1930-იანი წლების იტალია ახსოვს, რომელიც „კატენაჩოს" ანიჭებდა უპირატესობას. დღესდღეობით, ჩვენ კვლავ ვიცით, როგორ დავიცვათ თავი, მაგრამ წინაც აქტიურად და კარგად ვთამაშობთ და ბურთი ხშირად „გვიჭირავს".

**- როგორც მათ მეგობარს და თანამემამულეს, გიკვირთ, რომ ანდრეა პირლო და ჯანლუიჯი ბუფონი ამ ასაკშიც ისევ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნაკრებში?**

- არა, საერთოდ არ მიკვირს. ჩვენთვის, იტალიელი მოთამაშეებისთვის თავდაუზოგავი შრომა და ამისთვის ბევრ რამეზე უარის თქმა ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს ჩვენს ხასიათშია. პროფესიონალები ვართ, როგორც მინდორზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, 24 საათის განმავლობაში. აი შედეგიც.

**- თქვენი კარიერის გამოსარჩევი მომენტები საფრანგეთთან დაპირისპირებებს უკავშირდება, როგორ გაიხსენებთ იმ მატჩებს?**

- ჩემს თაობას დიდი პაექრობა ჰქონდა ფრანგებთან, რადგან მათ ყოველთვის მნიშვნელოვან მატჩებში ვხვდებოდით. ზოგჯერ ვმარცხდებოდით, მაგრამ უმთავრესმა მატჩმა, 2006 წლის მუნდიალის ფინალმა, ჩვენთვის დიდებულად ჩაიარა. ჯერ კიდევ ვერ ვინელებ იმას, რაც როტერდამში 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დაგვემართა. მაშინ ბოლომდე იტალიელებივით ვერ ვითამაშეთ. უფრო უხეშები არა, მაგრამ უფრო ხისტები და ცბიერები უნდა ვყოფილიყავით. 30 წამში წავაგეთ თითქმის მოგებული ფინალი. მაშინ ფრანგებს საოცარი თაობა ჰყავდათ - ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი, დიდიე დეშამი, დავიდ ტრეზეგე... მათთან დაპირისპირება ყოველთვის რთული იყო, მაგრამ სასიამოვნო.

**- ესპანეთის ნაკრებმა ბოლო წლებში ძალიან მოუმატა, რა არის ამის მიზეზი თქვენი აზრით?**

- მქონდა ბედნიერება ესპანეთში მეცხოვრა და ვისიამოვნე მათი მიდგომით ფეხბურთისადმი. ისინი მატჩებისთვის ყოველგვარი ზეწოლისა და წნეხის გარეშე ემზადებიან, გარემოა განსხვავებული. ცხადია, მოგებას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მათთვის გართობაა, იქ სხვანაირი დამოკიდებულებაა. ესპანელებს ბრწყინვალე თაობის გამოჩენის გარდა, იღბლიანმა პერიოდმაც მოუწიათ და გუნდურად წარმატების მიღწევა დაიწყეს. ინდივიდუალურად ესპანეთს ყოველთვის კარგი ფეხბურთელები ჰყავდა, მაგრამ სულ რაღაც აკლდებოდა, პატარა ნაბიჯი და არ ჩანდა გამარჯვებულის მენტალიტეტი. ბოლო წლებში ფაქტობრივად ყველაფერი მოიგეს და ესპანელების ძლევა ახლა ძალიან რთული იქნება.

**- 2006 წელს, როდესაც თქვენ ესპანეთში გადახვედით, უკვე ატყობდით, რომ იმ თაობას შეეძლო ასეთი წარმატებების მიღწევა?**

- დიახ, შეიმჩნეოდა, რომ ამ შეუდარებელ ფეხბურთელებს შეეძლოთ დიდი წარმატებების მიღწევა და ამის უკან მრავალწლიანი მუშაობა იდგა, ძირითადად ფსიქოლოგიურ მხარეზე. მოგვიანებით, იკერ კასილიასს ვეხუმრებოდი - 2008 წელს ევროპის ჩემპიონები გახდით, მაგრამ ნახავთ, რამდენად რთულია მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება და მუნდიალზე გამარჯვება რამდენად შეცვლის თქვენს ცხოვრებას-მეთქი. როგორია გახდე უფრო ძლიერი, ცივსისხლიანი და შემართული-თქო... ისინიც ადგნენ, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს და თითქმის დაუმარცხებელ გუნდად იქცნენ. დიახ, ესპანეთი ულაპარაკოდ ერთ-ერთი ფავორიტია. ნაკრები, რომლის დამარცხებაც ყველას უნდა. გუნდი გამოცდილი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, ახალგაზრდებთან კარგი შეზავებით.

**- თუმცა ამ ესპანეთმა უშანსოდ წააგო კონფედერაციის თასის ფინალი ბრაზილიასთან. ამაზე რას იტყვით?**

- მსგავსი რაღაცები გარდაუვალია, მართლაც დაუმარცხებელი არავინაა. როგორც კი იფიქრებ, რომ უძლეველი ხარ, მაშინ გაჯობებს მეტოქე. თუ გამარჯვების წყურვილს დაკარგავ, შეიძლება საქმე ძალიან ცუდად წავიდეს. ეს წყურვილი კი არც ისე ადვილი შესანარჩუნებელია. თუმცა ვისაც ერთხელ მაინც განუცდია ასეთი დიდი გამარჯვება, ყოფილა მინდორზე თანაგუნდელებთან ერთად და გაუხარებია თავისი ქვეყანა, იმას ენდომება, რომ ეს კიდევ და კიდევ გააკეთოს.

**- როგორ შეაფასებთ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის წარუმატებელ გამოსვლას?**

- 2010 წელი იტალიისთვის უიღბლო და უცნაური იყო. სამხრეთ აფრიკაში ახალგაზრდა ფეხბურთელები გაემგზავრნენ, რამდენიმე გამოცდილ ლიდერთან ერთად. თუმცა შემდეგ გატუზომ მუხლი იტკინა, ბუფონმა - მხარი და ბოლოს პირლოც დაშავდა... იმ მატჩების ხერხემლის გარეშე ჩატარება მოგვიხდა და ამან გამოიწვია კიდეც წარუმატებლობა. ამიტომაა აუცილებელი მტკიცე ხასიათის ფეხბურთელები, ლიდერები. მე ფინალს დავუბრუნდი, როგორც წინა გამარჯვებული ნაკრების კაპიტანი, რადგან თასი ახალი ტრიუმფატორისთვის გადამეცა. ეს ბრწყინვალე და თან სევდიანი მომენტი გახლდათ, ლამაზი მომენტი.

**- პირადად თქვენთვის რამდენს ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონობა?**

- ყოველთვის ვამბობდი, რომ როდესაც ვინმე იგებს ჩემპიონთა ლიგას ან რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრებას, თავი შესაძლოა კარგ ფეხბურთელად განიხილოს, ტოპკლასის მოთამაშედაც კი. თუმცა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატს იგებ, ლეგენდა ხდები. აი, ამ დონეზე იცვლება შენი ცხოვრება.

**- 2010 წლის მუნდიალის შემდეგ, თქვენ სათამაშოდ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გადახვედით, როგორი იყო იქ და რა გამოცდილება მიიღეთ?**

- „ალ აჰლიში" ახალი თავგადასავლისთვის გადავედი. ერთი წლის მერე მუხლის ტრავმამ შემაწუხა და კლუბის პრეზიდენტთან ერთად გადავწყვიტე, რომ გუნდში ჩემი ფუნქცია უნდა შეცვლილიყო. ჩემი მომავალი მწვრთნელობაა, ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს. ვოცნებობ, რომ ერთ დღეს კარგი მწვრთნელი გავხდე, იმდენად კარგი, რომ ეროვნული ნაკრები ჩავიბარო და ერთი ან მეტი ტიტულის მოგება შევძლო.

**- სათამაშო კარიერის განმავლობაში დიდი პატივისცემა დაიმსახურეთ ლიდერის თვისებების გამო. ეს თვისებები მაშინაც თუ გადგებათ, როდესაც უკვე სამწვრთნელო შტაბის წევრი ხართ?**

- ფეხბურთელს შედარებით ეგოისტურად შეუძლია მატჩებისთვის მომზადება, ისე, რომ სხვებზე ბევრი არც ინერვიულოს და სხვებს არ მიაქციოს დიდი ყურადღება. მწვრთნელობა განსხვავებულია, ყველას შესაბამისი მიდგომა უნდა მოუძებნოს და მოტივაცია მისცეს. ეს როლი ძალიან მომწონს. ჯერ კიდევ ბევრს ვსწავლობ, ჩემი იდეები და ხედვა მაქვს და ის ფაქტი, რომ ესპანეთში მომიხდა თამაში და განსხვავებული სტილი შევისწავლე, ძალიან მეხმარება, ჩემს ცოდნას ამრავალფეროვნებს. თანაშემწის რანგში მოქმედ კონტრაქტს ვადა ივნისში გასდის და ამის შემდეგ მსურს, უკვე მთავარი მწვრთნელობა ვცადო. მინდა უცხოეთში ვიმუშაო, რადგან ახალი ხალხის გაცნობითა და განსხვავებული კულტურის შეცნობით სიამოვნებას ვიღებ.

**- რომელმა მწვრთნელმა მოახდინა თქვენზე, როგორც ფეხბურთელზე, ყველაზე დიდი გავლენა?**

- მარჩელო ლიპიმ და ფაბიო კაპელომ. შემთხვევითი არ არის, რომ მათ ხელში ყველაზე წარმატებული პერიოდები მქონდა. ასევე მიმუშავია ისეთ სპეციალისტებთან, როგორებიც არიგო საკი და ჯოვანი ტრაპატონი არიან... ვეცდები, მათგან აღებული საუკეთესო გამოვიყენო და გადავცე ჩემს მომავალ ფეხბურთელებს. როდესაც გიმართლებს და უმაღლესი დონის მოთამაშეების განვრთნა გიწევს, ისიც უნდა იცოდე, თუ როგორ გამოავლენინო თითოეულ მათგანს საუკეთესო თვისებები. ჩემი მწვრთნელები ამ საქმეში ძალიან კარგები იყვნენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იყო პატიოსანი, პირდაპირი და თანმიმდევრული.

**გიორგი კაკაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# მარჩელო ლიპის პესიმისტური პროგნოზი

## ფეხბურთელები იტალიიდან საფრანგეთში არ უნდა გარბოდნენ


მარჩელო ლიპი

**მარჩელო ლიპი** დიდი ხანია, რაც იტალიურ ფეხბურთს ჩამოშორებულია და კალჩოში მიმდინარე პროცესებს შორეული ჩინეთიდან ადევნებს თვალს. პერიოდულად, პრესაში მის მოსაზრებებსაც ვეცნობით სხვადასხვა აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. ამჯერად, მაესტრომ „კორიერე დელო სპორტს" გაუზიარა თავისი მოსაზრებები...

### სერია A

ნეიტრალურ გულშემატკივართა სურვილია, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდეს და არც მე ვარ ამის წინააღმდეგი. თუმცა, ეს აუცილებლად „რომას" გაძლიერების გზით უნდა მოხდეს და არა „იუვენტუსის" დასუსტების. „ვეკია სენიორა" მაინც ფავორიტია და მგონია, ჩემპიონობას, ალბათ, არავის დაუთმობს. გაცილებით დაძაბული იქნება ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ბრძოლა, რადგან „ნაპოლი" არასტაბილურია, „ფიორენტინა" კი შესანიშნავად ასპარეზობს. არც „ინტერი" უნდა ჩამოვწეროთ, რომელსაც შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს. მთლიანობაში, საინტერესო ჩემპიონატია, ბევრი დრამატული და დაძაბული მატჩი ვნახეთ, რაც სერია A-ს იმიჯზე დადებითად იმოქმედებს.

### იტალიური გუნდები ჩემპიონთა ლიგაზე

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან მომწონს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგივე ინგლისის და ესპანეთის ჩემპიონატებს საგრძნობლად ჩამოვრჩით. შესაბამისად, ევროთასებზე წარმატების მიღწევა გვიჭირს და თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, ასე იქნება კიდევ ათი წელი მაინც. დიახ, უახლოესი ათი წლის განმავლობაში სერია A-ს ბინადართ ძალიან გაუჭირდებათ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატების მიღწევა. თითქოს, „იუვენტუსს" ყველა პირობა აქვს შექმნილი წამყვან ევროპულ გუნდებთან „საჭიდაოდ", მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. იტალიურ ფეხბურთში დიდი ფული უნდა გაჩნდეს, ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდეს და შემდეგ, ყველაფერი კარგად იქნება. სერია A ძველებურად მიმზიდველი უნდა გახდეს ვარსკვლავებისთვის და ისინი არ უნდა გარბოდნენ საფრანგეთის ჩემპიონატში სათამაშოდ.

### ლიპი კალჩოში

ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ისევ ჩავუდგე სათავეში იტალიურ გუნდს, მაგრამ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება. სიმართლე გითხრათ, კარგა ხანია არავინ შემხმიანებია და არც წინადადებები განმიხილავს. დიდი ხანია, რაც იტალიურ საკლუბო ფეხბურთს ჩამოვშორდი და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ფეხბურთი სწრაფად პროგრესირებს და მთავარია, დროს არ ჩამორჩე. საინტერესო იქნებოდა ბედის ცდა კალჩოში, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჯერჯერობით, ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში.

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# მილანმა ჩერჩის დაუმიზნა

## კონსტანტი და არმერო გუნდებს გაცვლიან?

მას შემდეგ, რაც „მილანს" **კლარენს ზეედორფი** ჩაუდგა სათავეში, გუნდი 4-2-3-1 ტაქტიკაზე გადავიდა, ამ სქემაში კი გარემარბებს უდიდესი როლი აკისრიათ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ლომბარდიული გრანდის მესვეურები **ალესიო ჩერჩის** გადაბირებით დაინტერესდნენ. „ტორინოს" 26 წლის შემტევს ფორვარდადაც შეუძლია თამაში, მაგრამ უფრო კომფორტულად თავს სწორედ ფლანგზე გრძნობს.

ერთი სიტყვით, მილანელები ჩერჩით დაინტერესდნენ და თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ტურინელებს წინადადებით მიმართეს - ლომბარდიელები მზად არიან, ალესიოს სანაცვლოდ „ტოროს" ბიუჯეტში 10 მილიონი ევრო გადარიცხონ და ზედ იჯარის წესით, ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიაყოლონ: ან **რიკარდო საპონარა**, ანაც **ვალტერ ბირსა**. მილანელები ზაფხულშიც ცდილობდნენ ჩერჩის გადაბირებას, მაგრამ მაშინ მხარეებმა თანხაზე ვერ მოილაპარაკეს. „ტრანსფერმარკტის" მონაცემებით, ჩერჩის საბაზრო ღირებულება 18 მილიონი ევროა. ვნახოთ, რა პასუხი ექნებათ ტურინელებს...

### მილანურ-ნეაპოლური როქი

„მილანთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ცნობა ვრცელდება, რომლის მიხედვითაც დიდი შანსია, „მილანმა" და „ნაპოლიმ" ფეხბურთელები გაცვალონ. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, შეთანხმება პრაქტიკულად შემდგარია და უახლოეს მომავალში, **კევინ კონსტანტი** და **პაბლო არმერო** გუნდებს გაცვლიან. კოლუმბიელი მცველი კარიერას ლომბარდიულ გრანდში გააგრძელებს და მარცხენა ფრთაზე **მატია დე შილიოს** გაუწევს კონკურენციას. ისე, პაბლოს გარემარბადაც უთამაშია და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ კლარენს ზეედორფი მას წინ მოიაზრებდეს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, კლუბები პრაქტიკულად შეთანხმდნენ, „მილანში" გადასვლის სურვილი პაბლომაც გამოთქვა და ჯერი კევინზეა.


„მილანს" ალესიო ჩერჩის გადაბირება სურს

**ლაშა წიკლაური**




ამბები

### პოშტიგა არჩევებში

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ „ლაციო" „ვალენსიას" პორტუგალიელ თავდამსხმელ **ელდერ პოშტიგას** გადაიბირებს. 31 წლის შემტევი რომში იჯარის წესით ჩავა და თუ კლუბი კმაყოფილი დარჩა პირენეელის გარჯით, გამოსყიდვის უფლებითაც ისარგებლებს. პოშტიგამ „ვალენსიაში" ვერ დაიმკვიდრა ადგილი, იქამდე კი „სარაგოსაში" გაცილებით წარმატებით ასპარეზობდა.

ამასობაში, „ლაციოს" მესვეურებმა „მილანის" ახალგაზრდა გოლკიპერის, **გაბრიელის** გადაბირებაც განიზრახეს, რომელიც **კრისტიან აბიატის** ჩრდილშია მოქცეული. მას შემდეგ, რაც „ბიანკოჩელესტეს" **ედუარდო რეია** ჩაუდგა სათავეში, ძირითადი შემადგენლობიდან **ფედერიკო მარკეტი** ამოვარდა და კარში ალბანელი გოლკიპერი **ეტრიტ ბერიშა** ჩადგა, თუმცა ამ უკანასკნელმაც დაუშვა რამდენიმე უხეში შეცდომა. როგორც ჩანს, რეია არც ერთი მეკარით არ არის კმაყოფილი და ახალ კარის დარაჯს ეძებს. ვნახოთ, გაუშვებს თუ არა „მილანი" გაბრიელს.

### სამპას მაქსი დაუბრუნდა

გადაწყვეტილი ამბავია, რომ **მაქსი ლოპესი** კარიერას „სამპდორიაში" გააგრძელებს. 29 წლის არგენტინელი ფორვარდი გენუაში „კატანიადან" იჯარის წესით გადაბარგდა და თუ **სინიშა მიხაილოვიჩი** კმაყოფილი დარჩა მისი სამსახურით, მხარეები სრულფასოვან ტრანსფერზეც დაილაპარაკებენ. მიმდინარე სეზონში, მაქსიმ მხოლოდ 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და უმეტესად, სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში.

შეგახსენებთ, რომ ლოპესი ადრეც თამაშობდა „სამპდორიაში", ამ გუნდის შემადგენლობაში 17 მატჩი აქვს გამართული და 4 გოლი გატანილი. არგენტინელმა უკვე გააკეთა მოკლე კომენტარი და განაცხადა, რომ „სამპას" დასახმარებლად ძალას არ დაიშურებს. მაქსიმ იმედი გამოთქვა, რომ გენუურ კლუბთან ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

**ლაშა წიკლაური**

### პსჟ-მ კაბაი დაადასტურა

ამაში ეჭვი ისედაც უკვე აღარავის ეპარებოდა, მაგრამ ახლა ოფიციალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **იოან კაბაი** „პარი სენ-ჟერმენის" ფეხბურთელია. ტრანსფერი პარიზულმა მხარემ დაადასტურა. როგორც იცით, ბოლო ინფორმაცია ასეთი იყო - დედაქალაქელები კაბაიში „ნიუკასლს" 19 მილიონ ფუნტს გადაუხდიან ხოლო თავად ფეხბურთელი თავის ახალ გუნდთან კონტრაქტს 2017 წლამდე გააფორმებს. დეტალური ინფორმაცია სავარაუდოდ სულ მალე გაცხადდება.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „კაჭკაჭები" დროს უქმად არ კარგავენ და კაბაის შემცვლელს ეძებენ. მათი სამიზნე „ლიონის" ნახევარმცველი **კლემან გრენიეა**. გაოფიციალურდა **ლიუკ დე იონგის** ტრანსფერიც. ჯორდებმა იგი „გლადბახიდან" ინათხოვრეს, ზაფხულში ბოლომდე გამოსყიდვის პერსპექტივით.

### ნეიმარის მამა: ბარსელონასგან 10 მილიონი 2011 წელს ავიღე

**ნეიმარის** „ბარსელონაში" ტრანსფერთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება და 21 წლის ფეხბურთელის მამის **ნეიმარ და სილვა სანტოსის** სიტყვები ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო - იგი ადასტურებს, რომ 2011 წელს „ბარსელონასგან" 10 მილიონი ევრო აიღო. თანხა მისი კომპანიის N&N-ის ანგარიშზე ჩაირიცხა. ასე რომ, სანამ მთელი საფეხბურთო სამყარო იმაზე ფიქრით და მარჩიელობით გახლდათ დაკავებული, თუ რომელ კლუბში გააგრძელებდა კარიერას, „სანტოსის" ყოფილი ვარსკვლავის ოჯახს ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონია. როგორც ირკვევა, ამ კომპანიის ანგარიშზე კიდევ 30 მილიონი ჩაირიცხა, როდესაც ტრანსფერი ოფიციალურად განხორციელდა. თუმცა უფროსი ნეიმარი აცხადებს, რომ მას არავისი არაფერი მართებს და არანაირი წესი არ დაურღვევია. ვნახოთ, როგორი გამოხმაურება და გაგრძელება მოჰყვება მის განცხადებას.

*„დიახ, 2011 წელს ნამდვილად მივიღე „ბარსელონასგან" 10 მილიონი ევრო. ნეიმარს კატალონიური გუნდი უნდა აერჩია. ეს არ იყო არანაირი წინასწარი კონტრაქტი, უბრალოდ, დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ასე მოხდებოდა და იგი „ბარსაში" გადავიდოდა. ჩვენ სხვა შემოთავაზებებიც გვქონდა. არც ბრაზილიის და არც ესპანეთის საგადასახადო სამსახურის არაფერი არ მმართებს"* - ამბობს ნეიმარ სანტოს და სილვა.

### არსენალს მატუიდი უნდა

**ბლეზ მატუიდის** ხელში ჩაგდება **არსენ ვენგერსაც** მოსდომებია. თუ ბოლო ინფორმაციით „მანჩესტერ სიტი" წინასწარი შეთანხმებით ცდილობდა ფეხბურთელის მოთაფლვას, ხოლო მადრიდის „რეალი" ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით ეპატიჟებოდა „სენტ ეტიენის" ყოფილ ნახევარმცველს. აგერ „არსენალს" „პარი სენ-ჟერმენისთვის" ახლავე გადაუწყვეტია სოლიდური თანხის შეთავაზება. ვინ იცის, პარიზელები ამ წინადადებამ დააფიქროს, რადგან მატუიდის ახალ კონტრაქტზე ვერ ან არ უთანხმდებიან, ხოლო მის სულ უფასოდ დაკარგვას გარკვეული თანხის აღება მაინც ჯობია. იქამდე კი პსჟ-ს პრეზიდენტმა **ნასერ ალ-ხელაიფიმ ლიონელ მესიში** კოლოსალური თანხის გადახდასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სპეკულაციებს წერტილი დაუსვა - მესის არასოდეს არ შევიძენთო.

**გიორგი კაკაბაძე**

#### საფრანგეთი

**ლიგა 1. გადატანილი მატჩი**

**მარსელი-ვალანსიენი 2:1**

გოლები: 1:0 ჟინიაკი (31), 1:1 მასუაკუ (37), 2:1 ტოვენი (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 22 | 15 | 6 | 1 | 52-15 | 51 |
| 2. მონაკო | 22 | 14 | 6 | 2 | 36-14 | 48 |
| 3. ლილი | 22 | 12 | 5 | 5 | 24-13 | 41 |
| 4. სტ. ეტიენი | 22 | 11 | 4 | 7 | 30-22 | 37 |
| 5. მარსელი | 22 | 10 | 5 | 7 | 31-24 | 35 |
| 6. ლიონი | 22 | 9 | 7 | 6 | 35-27 | 34 |
| 7. ბორდო | 22 | 9 | 7 | 6 | 29-23 | 34 |
| 8. ნანტი | 22 | 10 | 3 | 9 | 24-22 | 33 |
| 9. რეიმსი | 22 | 8 | 9 | 5 | 25-24 | 33 |
| 10. ლორიანი | 22 | 9 | 4 | 9 | 29-28 | 31 |
| 11. ტულუზი | 21 | 7 | 7 | 7 | 21-26 | 28 |
| 12. ბასტია | 21 | 7 | 6 | 8 | 24-29 | 27 |
| 13. ნიცა | 22 | 8 | 3 | 11 | 21-28 | 27 |
| 14. გენგამი | 22 | 6 | 8 | 8 | 20-22 | 26 |
| 15. მონპელიე | 22 | 4 | 12 | 6 | 24-26 | 24 |
| 16. რენი | 22 | 5 | 9 | 8 | 23-25 | 24 |
| 17. ევიანი | 22 | 5 | 6 | 11 | 20-37 | 21 |
| 18. ვალანსიენი | 22 | 4 | 6 | 12 | 22-33 | 18 |
| 19. სოშო | 22 | 2 | 6 | 14 | 16-44 | 12 |
| 20. აიაჩო | 22 | 1 | 7 | 14 | 15-39 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ); 12 - ალექსანდრ ლაკაზეტი (ლიონი).

#### გერმანია

**ბუნდესლიგა. გამოტ. მატჩი**

**შტუტგარტი-ბაიერნი 1:2**

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (29), 1:1 პისარო (76), 1:2 ტიაგო ალკანტარა (93)

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - გ. საკაი (65. ბოკა), შვააბი, რიუდიგერი, რაუში - რ. ხედირა, ლაიტნერი - ჰარნიკი, ტი. ვერნერი (86. ტრაორე) - აბდელაუ (92. სარარერი), იბიშევიჩი.

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი - თ. მიულერი, ტიაგო ალკანტარა, ტ. კროოსი (60. პისარო), შაჩირი (59. მანჯუკიჩი) - გიოტცე (88. კონტენტო).

**გაფრთხილება:** ლაიტნერი, რიუდიგერი, გ. საკაი, ბოკა, ჰარნიკი - ტ. კროოსი, დანტე, ჟ. ბოატენგი

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11(3)-24(7); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

მაყურებელი: 60 449

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 16 | 2 | 0 | 46-9 | 50 |
| 2. ლევერკუზენი | 18 | 12 | 1 | 5 | 34-19 | 37 |
| 3. დორტმუნდი | 18 | 10 | 3 | 5 | 40-22 | 33 |
| 4. გლადბახი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-21 | 33 |
| 5. შალკე | 18 | 9 | 4 | 5 | 35-28 | 31 |
| 6. ვოლფსბურგი | 18 | 9 | 3 | 6 | 29-22 | 30 |
| 7. ჰერტა | 18 | 8 | 4 | 6 | 27-21 | 28 |
| 8. მაინცი | 18 | 8 | 3 | 7 | 27-32 | 27 |
| 9. აუგსბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-27 | 25 |
| 10. ჰანოვერი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-32 | 21 |
| 11. ვერდერი | 18 | 5 | 5 | 8 | 22-37 | 20 |
| 12. შტუტგარტი | 18 | 5 | 4 | 9 | 31-35 | 19 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 18 | 4 | 6 | 8 | 36-42 | 18 |
| 14. აინტრახტი | 18 | 4 | 6 | 8 | 21-29 | 18 |
| 15. ფრაიბურგი | 18 | 4 | 5 | 9 | 19-33 | 17 |
| 16. ჰამბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 33-41 | 16 |
| 17. ნიურნბერგი | 18 | 1 | 11 | 6 | 21-33 | 14 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 18 | 3 | 3 | 12 | 10-32 | 12 |

**ბომბარდირები:** 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 10 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი)

ჭადრაკი

# დანინაურდა სანიკიძე

დიდოსტატ **თორნიკე სანიკიძეს** კუთა ენდშპილში 83 სვლა დასჭირდა თეთრი ფიგურებით საერთაშორისო ოსტატ **ალექსანდრე ყაშაშვილის** დასამარცხებლად. შავებისთვის უიმედო პოზიციაში 76-ე მფe7-ის შემდეგ პარტია ასე გაგრძელდა.




76.... კc4 77. მფf6 კb3 78. კd2 კc4 79. f5 gxf5 80. e6 კxe6 81. g6 მფg8 82. h7 მფh8 83. კc3 და შავები დანებდნენ.

ამ მოგებით სანიკიძემ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელშიც გუშინ მე-4 ტურის პარტიები გათამაშდა, 3 ქულა მოაგროვა და გათამაშების ცხრილის სათავეში გადაინაცვლა. დანარჩენი შეხვედრების შედეგები: **დავით ჯოჯუა-მერაბ გაგუნაშვილი** 0.5:0.5, **სოფიო გვეტაძე-გაიოზ ნიგალიძე** 0.5:0.5, **დავით ბენიძე-ლევან ფანცულაია** 0:1, **ივერი ჭილლაძე-კონსტანტინე შანავა** 0:1, **მიხეილ მჭედლიშვილი-ლუკა პაიჭაძე** 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ: სანიკიძე-3, მჭედლიშვილი, ნიგალიძე, გაგუნაშვილი, ყაშაშვილი, ფანცულაია, პაიჭაძე-2.5-2.5, ჯოჯუა, გვეტაძე, შანავა-1.5-1.5, ჭილლაძე-0.5 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: ჯოჯუა-გვეტაძე, ბენიძე-გაგუნაშვილი, ჭილლაძე-ნიგალიძე, მჭედლიშვილი-ფანცულაია, სანიკიძე-შანავა, ყაშაშვილი-პაიჭაძე.

**ვაჟა დანელია**


თორნიკე სანიკიძე (მარცხნივ) და მიხეილ მჭედლიშვილი

# უიღბლო ტური

გიბრალტარის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. მთავარ ტურნირში თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშეს ქართველმა დიდოსტატებმა - **ბელა ხოტენაშვილმა** და **ლელა ჯავახიშვილმა.** ხოტენაშვილი შავი ფიგურებით დამარცხდა იოვანა ვოინოვიჩთან (სერბეთი), რომელსაც ჩვენებური რეიტინგში 192 პუნქტით უსწრებს. ჯავახიშვილმა კი სერგეი მოვსესიანთან (სომხეთი) დათმო პარტია. საფრანგეთში გათხოვილმა ქართველმა დიდოსტატმა **ნინო მაისურაძემ** პირველ ტურში ესპანელ ფრანცისკო ვალიეხოსთან წააგო, გუშინ კი ინგლისელ ეშლი სტიუარტს აჯობა.


მარცხნიდან: ბელა ხოტენაშვილი, ნინო მაისურაძე, ლელა ჯავახიშვილი გიბრალტარის ტურნირზე

იოლი გასეირნება არც 2700-იანთა კლუბის წევრებს ჰქონიათ: ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2739) თეთრებით დავიდ ლარინოს (ესპანეთი, 2465) დაუზავდა, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ პაველ ელიანოვი (უკრაინა, 2733)-ელიზაბეტ პეტცი (გერმანია, 2458), შტეფან დოქსი (ბელგია, 2458)-ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი, 2715). დაგეგმილი ქულები ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში მაიკლ ადამსმა (ინგლისი), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა (საფრანგეთი), ფრანცისკო ვალიეხომ, პენტალა ჰარიკრიშნამ (ინდოეთი) და დავიდ ნავარამ (ჩეხეთი).

დღეს ტურნირზე მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალები გაინაღდეს

თურქულ ანტალიაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც ორი ქართველიც მონაწილეობს. გუშინ წყვილთა ორთაბრძოლები გაიმართა. **ეკატერინე გორგოძემ** და **სოფიო ქვაცაბაიამ,** რომლებიც მე-4 ნომრად არიან განთესილი, სტარტზე ნაცუმი ჩიმურას (იაპონია) და მარიანა ნატალის (იტალია) დუეტი ორ სეტში ჩამოიშორეს გზიდან - 7:5, 6:4 და მეოთხედფინალში თეოდორა ბერკარუს (რუმინეთი) და ვანდა ლუკაშის (უნგრეთი) ტანდემთან გაარკვევენ ურთიერთობას. რუმინულ-უნგრულმა წყვილმა გულნაზ დოკეი (ყაზახეთი) და მილანა ლისოვა (რუსეთი) დაჯაბნა - 4:6, 6:0, 10:5.

რაც შეეხება ერთეულთა შეჯიბრებას, სოფიო ქვაცაბაია სტარტზე მესამე ნომერ ბელარუს სვიატლანა პირაჟენკას დანებდა დაძაბულ პაექრობაში - 6:1, 6:7, 6:7, ხოლო ეკატერინე გორგოძე დღეს გულნაზ დოკეის შეხვდება.

■ ■ ■

ტუნისში დაიწყო ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ძირითად ბადეში ჩაება თბილისელი **ალექსანდრე ბაკში.** პირველ წრეში იგი ხორვატ ტიმოსლავ პოდვინსკისთან დამარცხდა - 3:6, 2:6, სამაგიეროდ, წყვილებში იყოჩაღა პეტარ კონკიჩთან ერთად. ისინი მეორე ნომრად არიან განთესილი. სტარტზე სანდრომ და პეტარმა ტადას ბაბელისსა (ლიტვა) და დენის კლოკს (უკრაინა) დააყრევინეს ფარ-ხმალი - 6:1, 6:4. მეოთხედფინალში მათი მეტოქე ისმაილ რუვა მზაისა (კენია) და აბდულ კარიმ უატარას (კოტ დივუარი) მძლეველი (6:3, 6:3) ლუის ტესა (საფრანგეთი) და ზაპატა მირალესი (ესპანეთი) იქნებიან.

**ვაჟა დანელია**


ეკატერინე გორგოძე

# ევროპაზე იასპარეზებენ

საქართველოს ახალგაზრდა ჩოგბურთელები თანატოლთა შორის კონტინენტის პირველობაზე გაემგზავრნენ. 16-წლიანებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: გოგონებში - **ანა ახალკაცი, მარიამ ბოლქვაძე** და **მედეა პეტრიაშვილი,** ხოლო ბიჭებში - **ირაკლი მეტრეველი, ვაჟა შუბლაძე** და **გუგა თავაძე;** 14-წლიანებში - **ანა შანიძე, მარიამ დალაქიშვილი, ნინო ნასიპიანი, ზურაბ ტყემალაძე, ნიკა დავლიანიძე** და **დავით ჭელიძე.** ეს ის გუნდია, რომლის წევრებიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას კი 2015 წელს თბილისი უმასპინძლებს. ფედერაციას ზემოთ დასახელებული ჩოგბურთელების დიდი იმედი აქვს, რადგამ მათ შარშან ბევრ ტურნირში ითამაშეს წარმატებით. მაგალითად, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ტყემალაძე 2013 წლის შედეგებით ევროპის 14-წლამდელთა ნაკრებში მიიწვია საკუთარი სახსრებით და გერმანიაში ექვს ტურნირში ჩააბა. დავლიანიძე რეიტინგში 60 საფეხურით დაწინაურდა. შარშანვე ვერის პარკის კორტებზე 12-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი ერთეულებში ანა შანიძემ მოიგო, წყვილებში კი შანიძე და დალაქიშვილი ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. დალაქიშვილმა ზაფხულში ჩეხეთის ტურნირზეც გაიმარჯვა. იმედია, ისინი არც ახლა შეირცხვენენ თავს.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. ნაკრები

# სოფია და ობერვარტიც გაცხადდა

**ახლოვდება ძიუდოისტთა სეზონის პირველი სტარტი - სოფიაში გასამართი „ევროპის ღია თასი", რომელშიც ქართველებიც იასპარეზებენ. ეს შეჯიბრება 1-2 თებერვალს ჩატარდება ორივე სქესის წარმომადგენელთა შორის. მოგეხსენებათ, ადრე იქ მხოლოდ ქალების ტურნირი ტარდებოდა, ზუსტად იმავე პერიოდში კი ანალოგიურ შეჯიბრებას თბილისი მასპინძლობდა ვაჟებში. თუმცა, რაც ჩვენი შეჯიბრება „დიდ პრიზამდე" ამაღლდა და თარიღმაც მარტში გადაიწია, ვაჟთა მასპინძლობის უფლებაც სოფიას გადაეცა.**

ბულგარეთში ჩვენგან გოგოებიც გამოვლენ და - ვაჟებიც, თუმცა ყველანი საკუთარი ხარჯებით მიდიან, რადგან ეს ტურნირი ჩვენი ფედერაციის კალენდარში არ შედიოდა და ვერც ხარჯებს გაიღებს. გოგოებში ორი მონაწილე გვეყოლება - **შორენა შარაძე** (63) და **ირინა ლეონიძე** (+78), რომლებსაც აჭარა აფინანსებს. საკუთარი ხარჯით მიდიან **გიორგი გუგულაშვილი, კახა ცაგარელი** (ორივე – 66), **არჩილ გოგოლაშვილი** (90) და **მიხეილ ნარიმანიძე** (100).

ამასობაში გაირკვა 15-16 თებერვალს ავსტრიულ ობერვარტში, ასევე „ევროპის ღია თასზე" წამსვლელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, სადაც **ირაკლი უზნაძე** ძირითადად სათადარიგოებს გამოცდის. **გიორგი ბროლაშვილი, პაატა მერებაშვილი** (ორივე - 60), **ტრისტან ფეიქრიშვილი, გელა კელიხაშვილი** (66), **ზურაბ ნოზაძე, ფრიდონ გიგანი, თამაზ კირაკოზაშვილი** (სამივე - 73), **ლაშა ზურაბიანი, გიორგი პაპუნაშვილი** (ორივე - 81), **ზვიად გოგოჭური, პაატა ლვინიაშვილი** (90), **დავით ლორიაშვილი, რევაზ ჩიკოიძე** (100), **როსტომ ხახალეიშვილი, გიორგი ზაქარიაძე, ონისე ბულაძე, გიგა გელაშვილი** (ოთხივე - +100).

ავსტრიულ ტურნირს დიუსელდორფში გასამართი „დიდი პრიზის" შეჯიბრება მოჰყვება - 21-23 თებერვალს ტარდება. იქ წამსვლელებიდან ჯერ გადაჭრით მხოლოდ ერთია ცნობილი - ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი,** რომელიც საბოლოოდ გადავიდა 73 კილოგრამში, დანარჩენთა ვინაობა კი ობერვარტისა და პარიზის ტურნირების შედეგებით გაირკვევა. პარიზის „დიდი მუზარადი" წინ უსწრებს ავსტრიულს - 8-9 თებერვალს ტარდება. შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენგან **ლუხუმ ჩხვიმიანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, გიორგი ქალდანი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი** (90), **ალექსანდრე მსხალაძე, ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (+100) იჭიდავებენ. შეჯიბრების შემდეგ იქ სავალდებულო ერთობლივი ვარჯიშები გაიმართება, სადაც შავდათუაშვილიც ჩავა და იქიდან გადავა ავსტრიაში.

**ირაკლი თავაძე**


ირინა ლეონიძე

ჭიდაობა. ნაკრები

# გერმანელების საქმე გაირკვა, ქართველისა – ვერა

თანდათან ფინალისკენ მიდის **ვლადიმერ მესტვირიშვილის** საკითხი, თუმცა ჯერ ისევ გაურკვეველია, იმუშავებს თუ არა ამჟამად ინდოეთში დასაქმებული ეს სახელოვანი მწვრთნელი ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების კონსულტანტად.

ამ საქმეში სიახლე ისაა, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად დაეთანხმა ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივას და ბიუჯეტში მწვრთნელის ხელფასისთვის საჭირო ფული გამოუყო. ამ თემაზე შეხვედრა ორი დღის წინათაც გაიმართა მინისტრ **ლევან ყიფიანსა** და ფედერაციის პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძეს** შორის და საბოლოო შეთანხმებასაც მაშინ მიაღწიეს. სახელფასო პარამეტრები და სამუშაო პირობები ფედერაციამ უკვე გადაუგზავნა ინდოეთში მესტვირიშვილის ოჯახს, მაგრამ თავად მწვრთნელი ამჟამად ამერიკაშია ნაკრებთან ერთად. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული - დათანხმდება თუ არა შეთავაზებულ პირობებს. ის ინდოეთში 4 თებერვალს დაბრუნდება და, სავარაუდოდ, მაშინ აცნობებს ფედერაციას თავის გადაწყვეტილებას.

ამასობაში საბოლოოდ გაირკვა ფიზმომზადების გერმანელ ექიმთა საკითხი - ხელფასიდან დაწყებული, მათთან ყველაფერი შეთანხმებულია. ახლა ჯერი ქართველ მწვრთნელებზეა, რომელ შეკრებაზე ისურვებენ მათ დახმარებას. ფედერაციაც ამის შემდეგ მოიწვევს, თუმცა ლაპარაკია მხოლოდ საქართველოში გასამართავ შეკრებებზე, უცხოეთში კი ისინი არ ივლიან. მუდმივად არც საქართველოში იცხოვრებენ და მხოლოდ ასე მოწვევის საფუძველზე ჩამოვლენ, რადგან სამუშაოდ მათი აქ გადმოსვლა ჩვენთვის ძვირი სიამოვნებაა.

**ირაკლი თავაძე**


ვლადიმერ მესტვირიშვილი

ჭიდაობა. მეტოქე


ჯამალ ოთარსულთანოვისა და ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (მარჯვნივ) ორთაბრძოლა

# ჩეჩენის აჩრდილი

## შესაძლოა, ევროპაზე ხინჩეგაშვილი-ოთარსულთანოვი ისევ გამეორდეს

**ამ უქმეებზე კრასნოიარსკში მოჭიდავეთა „ოქროს დიდი პრიზის" კიდევ ერთი და მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრება – ივან იარიგინის მემორიალი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში. პრაქტიკულად, ამით ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე რუსეთის ნაკრების შემადგენლობაც გაირკვა, რადგან მათთვის ეს შესარჩევი შეჯიბრება იყო. წინასწარ ვიტყვით, რომ აქ გაცილებით დიდი სენსაციები მოხდა ანუ ეს გუნდი უფრო გადახალისდება, ვიდრე – რუსი ბერძენ-რომაელების ნაკრები, რაზეც უკვე ვწერდით წინა კვირაში.**

დავიწყოთ ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წონით – 61 კილოგრამით. აქ ჩეჩნური ფინალი გაიმართა – მოსკოვის სახელით მოასპარეზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჯამალ ოთარსულთანოვმა** დამაჯერებლად დაამარცხა დაღესტანში მცხოვრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბეკხან გოიგერეევი**. ამდენად, 1-6 აპრილს ფინურ ვანტააში, ევროპის ჩემპიონატზე, შეიძლება, ლონდონის ოლიმპიადის ფინალი განმეორდეს ანუ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** კვლავ შეხვდეს ოთარსულთანოვს. ოღონდ ოლიმპიური ჩემპიონი ახლა გაცილებით ძლიერი მოგვეჩვენა - ფიზიკურადაც და ტექნიკურ-ტაქტიკურადაც. იგი დასაწყისშივე ჩამორჩა, როცა გოიგერეევმა სწრაფი მანევრით კარგად შემოუარა და ჩოქბჯენში ჩაიყვანა, მაგრამ ოთარსულთანოვი არ გატყდა და მალევე მშვენიერი კონტრილეთით გაქვითა ანგარიში – გოიგერეევი ფეხში შევიდა, თუმცა ამან ჯვარედინი მოვლებიდან მოგვერდით ისე გადაიქნია, ქულების დაკარგვა კი არა, გოიგერეევი „დატუშვისგან" მხოლოდ სისწრაფემ იხსნა. ასეთ გდებას დიდი ფიზიკური ძალა სჭირდებოდა, რაც ოთარსულთანოვმა მერეც არაერთხელ გამოავლინა. თუმცა ერთი ნაკლი ამ კომპონენტშიც დაეტყო – ჩოქბჯენიდან ვერ ატრიალებდა, მაგრამ ეს უფრო სხვა ტიპის ხარვეზი გვგონია, ვიდრე – ჯანის ნაკლებობისა. ვფიქრობთ, მას უფრო ლეიბიდან ატაცების სპეციფიკური ტექნიკა არ ჰქონდა სათანადოდ დამუშავებული, თორემ ძალისმიერ ილეთებში თითქმის ყოველთვის დაჩაგრა მეტოქე – მშვენივრად ბლოკავდა და ხელსაც წარმატებით უთიშავდა, ახლო დისტანციაზე, „შეკრულად" ეჭიდავებოდა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონს თავისი აკრობატული ნახტომების შესრულების საშუალება არ მისცა, ორჯერ კი კონტრილეთზეც კარგად დაიჭირა. ტანადაც თითქოს უფრო დასრულებულ-დამძლავრებულია, უფრო მოქნილი და სწრაფიც ჩანს. ჩვენს მწვრთნელ-სპორტსმენებს მის წინააღმდეგ საევროპოდ საგანგებოდ მომზადება მართებთ.

ამ წონაში ამჯერად არ უჭიდავია ტუვინთა ევროპის სამგზის ჩემპიონ **ოპან სატს**, ხოლო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბესიკ კუდუხოვი, მოგეხსენებათ, ზუსტად ერთი თვის წინათ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. თანაგუნდელის ხსოვნის პატივსაცემად, ოსეთის ნაკრები ტურნირზე მისი ფოტოებით დამშვენებული ეკიპირებით ჩავიდა, თუმცა, ძლიერი ნისლის გამო, კრასნოიარსკში ჩასალწევად გვარიანად იწვალეს – ჯერ ბესლანიდან ვერ გაფრინდნენ, მერე მინვოდი-მოსკოვის რეისი გადაიდო და ტურნირზეც დააგვიანდათ, თუმცა ორგანიზატორებმა შეღავათი გაუწიეს - პირველი დღის წილისყრა და აწონვები მათ გარეშე ჩატარდა.

...ჩვენთვის კიდევ ერთი საინტერესო წონა, რომელშიც ევროპაზე მედლის მოპოვების რეალური შანსი გაგვაჩნია, 86 კილოგრამია, სადაც **დავით მარსაგიშვილს** ახალი მეტოქე ეყოლება. მისთვის ასე უხერხული და პრინციპული ყაბარდოელი **ანზორ ურიშევი** მომავალ ჩემპიონთან, დაღესტნელ **აბდულრაშიდ სადულაევთან** დამარცხდა. სადულაევი აქამდე განსაკუთრებული მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდა, ახლა კი ფინალში რუსეთის ჩემპიონსა და მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მონაწილე **შამილ კუდიამაგომედოვსაც** მოუგო. ურიშევი და 2011 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში მარსაგიშვილისგან უმოწყალოდ გვემული ოსი **გიორგი რუბაევი** (მაშინ ის ჩვენებურმა ისე დაანარცხა, ჯერ ლეიბიდან წამოდგომა არ უნდოდა, მერე კი ტირილით დატოვა ასპარეზი) მესამეზე გავიდნენ, ხოლო ოსთა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი, ჩვენებურისთვის კიდევ ერთი უხერხული მეტოქე **სოსლან კცოევი** უმედლოდ დარჩა.

არ ვიცით, ევროპაზე ვის დააყენებენ ჩვენი მწვრთნელები მძიმე წონაში - ქვეყნის ჩემპიონ **დავით მოძმანაშვილს** თუ ვიცე-ჩემპიონ **გენო პეტრიაშვილს**, მაგრამ ევროპაზე რუსებს მათი სადარი მეტოქეები ვერ ეყოლებათ. ბოლო წლებში თითქოს იქაურთა ლიდერად ჩამოყალიბებული დაღესტნელი ავარელი **მაგომედგაჯი ნურასილოვი** თანაგუნდელ **მურადინ კუშხოვთან** დამარცხდა, ჩემპიონი კი ოსი **ალან ხუგაევი** გახდა (ოსებს ზედა წონებში ამ გვარ-სახელის რამდენიმე ფალავანი ჰყავთ, მაგრამ ეს 2009 წელს თბილისში, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე გამარჯვებული ათლეტი უნდა იყოს). მან ფინალში ზემოხსენებული კუშკოვის მძლეველ **ანზორ ხიზრიევს** აჯობა. ამჯერად იარიგინზე არ გამოსულა ოსთა ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური ჩემპიონი, ამ წონაში მსოფლიოს მოქმედი გამარჯვებული **ჰაჯიმურატ გაცალოვი**. 32 წლის ფალავანმა (ეს - ოფიციალური მონაცემებით, თორემ მის ასაკზე თავს ვერ დავდებთ) ადრევე განაცხადა, რომ ამ ტურნირს გამოტოვებდა და მსოფლიოს პირველობისთვის საგანგებო პროგრამით გააგრძელებდა მომზადებას. აი, საევროპოდ მისი გამოკლება ჩვენებისთვის ნამდვილად დიდი შვებაა.

რუს ლიდერთაგან კრასნოიარსკში მსოფლიოს შარშანდელმა დაღესტნელმა პრიზიორმა **მაგომედ კურბანალიევმა** (65), შარშან თბილისში ევროპირველობის მომგებმა ყაბარდოელმა **ანიუარ გედუევმა** (74) და დაღესტნელმა ევროპის ჩემპიონმა **აბდუსალამ გადისოვმა** (98) გაიმარჯვეს. მასპინძელთა გასახარად, 70-ში ჩემპიონი იქაური **ისრაილ კასუმოვი** გახდა, 57-ში კი ავარელმა **რუსტამ ამპარმა** გაიმარჯვა, ხოლო რუსეთის სახელით მოჭიდავე **ნოდარ არაბიძე** მეხუთეზე გავიდა. **გიორგი ედიშერაშვილი** დოპინგზე რომ არ ჩავარდნილიყო, ევროპაზე 57-შიც რეალური შანსი გვექნებოდა... შეგახსენებთ, რომ ამ წონაში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი **ბექა ბუჯიაშვილია**, რომელმაც უფროსებშიც ფრიად კარგად წარმოაჩინა თავი.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# მედალი კომბატ სამბოშიც

სამბისტების პირველი საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიოს თასის ეტაპი ანუ ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის პრიზზე ტურნირი ალმაატაში გაიმართა. სხვათა შორის, წლეულს სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატები სწორედ აზიაში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ტარდება.

ყაზახეთში „კომბატ სამბოში" (იგივე საბრძოლო სამბო) გორელმა **ნოდარ კუდუხაშვილმაც** იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მას მეტიც შეეძლო, მაგრამ მის წონაში (90 კგ) საერთოდ არ ჩატარდა ბრძოლები და ზედა წონაში (100) გამოვიდა.

ქალ სამბისტთა შორის მძიმე წონაში (+80) ფინალში იჭიდავა ხელვაჩაურელმა (ახალი სოფელი) **ირინე ლეონიძემ** და „ვერცხლს" დაეუფლა. არადა, ამერიკელ ნინა კელი-კუტროს ირინემ 2 თვის წინათ, 2013 წლის ნოემბერში სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუგო.

ქვემძიმეში (100) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მარტყოფელმა **დავით ლორიაშვილმა**.

**„ლელოს" კორ**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

**პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს**

### „საქართველოს ფიზკულტურელიდან" „ლელომდე"

*დასაწყისი „ლელო" № 16, 17.*

საყოველთაო ყურადღება „ლელომ" სინათლის ხილვის პირველი დღიდანვე მიიპყრო. განახლებული სპორტული გამოცემის ის ნომერი (საერთო ათვლით 363-ე) დასაბეჭდად მომზადდა ვერის ბაღში მდებარე ალპინისტთა კლუბში, ასე ვთქვათ, მართლაც რომ საველე პირობებში. რამდენიმე თვეში კი რედაქციამ ბინა დაიდო ელბაქიძის დაღმართზე №13 სახლში, მეორე სართულზე. 1963 წლამდე იყო იქ, ვიდრე ახლანდელ კოსტავას ქუჩის №14-ში მარცხენა ფრთის მე-5 სართულზე არ გადავიდა. გამომცემლობა „სამშობლოს" შენობას მარჯვენა მხარეს მერე ახალი კორპუსი მიუშენდა ბელინსკის (ახლანდელ ჭოველიძის) ქუჩიდან და ახლა „ლელოს" იქ გამოუყვეს გაცილებით მეტი ფართობი 1968 წელს. რედაქცია აქ უკვე შესანიშნავ პირობებში მუშაობდა, მერე გამომცემლობას ახალი კორპუსი მიუშენდა ბელინსკის (ახლანდელი ჭოველიძის) ქუჩის მხრიდან და იქ კიდევ უფრო გაფართოვდა. სამწუხაროდ, ყველაფერი მოულოდნელად დასრულდა 2007 წლის ზაფხულში, როცა გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში განთავსებული ყველა რედაქცია ხელისუფლებამ გაუფრთხილებლად გამოყარა ქუჩაში.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ბოლო მონაცემებით, 365 ათას ეგზემპლარს ითვლიდა „ლელოს" ყოველდღიური ტირაჟი. ჩვენ ცალკე ბუღალტერია არ გვქონია. ფინანსურ საკითხებს წარმართავდა ცკა-ს დაქვემდებარებული გამომცემლობა „სამშობლო". ფული პარტიულ ბიუჯეტში შედიოდა, საიდანაც გამომცემლობას მხოლოდ რედაქციების მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები უბრუნდებოდა. ყოველი ახალი წლის დასაწყისში, როგორც წესი, რედაქტორებს გვიგზავნიდნენ წინა წლის ფინანსურ ანგარიშს. იმ ეპოქის ბოლო წლებში „ლელოს" ყოველწლიური შენატანი ბიუჯეტში მილიონ 200 ათასი მანეთი იყო. შედარებისთვის ვიტყვი, რომ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ამ თანხით ორი საცხოვრებელი კორპუსის აშენება იყო შესაძლებელი.

### ოლიმპიური ათვლა

**მას** შემდეგ, რაც 1952 წელს ჰელსინკში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი გადაწყდა, მთელ საბჭოთა სივრცეში დაიწყო ჩვენი პლანეტის ამ უდიდესი და უპოპულარესი სპორტული ასპარეზობისთვის მზადება. ამ მოვლენით ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა სპორტში მუშაობის სისტემის განახლებას, რასაც მასობრიობა დაედო ქვაკუთხედად - სპორტი, სასწავლებელი იქნებოდა თუ შრომითი კოლექტივი, ყველგან იკიდებდა ფეხს. უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში სწორად იყო გაგებული ხალხური ტრადიციების მნიშვნელობა. ვგულისხმობთ სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშობების აღორძინებისადმი ზრუნვის გაძლიერებას. უდიდესი ეფექტი ამ ნაბიჯისა იყო ის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას აღარ უძნელდებოდა რიგი სპორტის საერთაშორისო სახეობების გათავისება და რეალობად იქცა ფიქრი წარმატებებზე. ხალხური ტრადიციები უფრო მაინც სოფლად მცხოვრებთა გენში იყო გამჯდარი და სპორტში მისი გამოვლენის დრო რომ დადგა, საოცრებად იჩინა თავი. მეტწილად რეგიონებიდან დაიძრა სპორტული ტალანტები დიდი სპორტისკენ. ისიც საოცრება იყო, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ კანდიდატთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში საბჭოთა ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა უკვე 1951 წლის დასაწყისიდანვე ათეულობით საქართველოს წარმომადგენლის გვარი მოინიშნეს.

დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ სპეციალისტები თითოეულ მათგანს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობისას. საბჭოთა სპორტული დელეგაციის 1952 წლის ოლიმპიური თამაშების საბოლოო განაცხადში 14 სპორტსმენი მოხვდა საქართველოდან: **ლევან სანაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი** (ოთხივე - მძლეოსნობა); **ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია** (ორივე - კალათბურთი); **ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი** (ორივე - ფეხბურთი); **დავით ციმაკურიძე** (თავისუფალი ჭიდაობა); **რაფაელ ჩიმიშკიანი** (ძალოსნობა); **მედეა (მზია) ჯუღელი** (ტანვარჯიში); **ოთარ დადუნაშვილი** (ველოსპორტი); **აკაკი მეიფარიანი** (ფარიკაობა), **ვლადიმერ ლავრინენკო** (ცურვა).


იმარჯვებს დავით ციმაკურიძე

ჩვენი ათლეტები ტრიუმფალური მიღწევებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ოქროს სამი (ციმაკურიძე, ჩიმიშკიანი, ჯუღელი), ვერცხლის ოთხი (ქორქია, ჯორჯიკია, სანაძე, ჯუღელი), ბრინჯაოს ორი (ხნიკინა-დვალიშვილი, დუმბაძე) მედალი - ასეთი იყო საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი ჰელსინკის ოლიმპიადაზე. როგორც ხედავთ, ოლიმპიადის 14 მონაწილიდან შინ 9 დაბრუნდა მედლით.

**ვინც** მოისურვებს და „ლელოს" იმ პერიოდის ნომრებს გადაფურცლავს, დარწმუნდება, თუ რა კოლოსალური შრომა გასწიეს ჩვენმა ჟურნალისტებმა ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში და შემდეგაც. ჩვენმა ხალხმა აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა ოლიმპიელებზე, თამაშების შემდეგ კი „ლელომ" ღირსეული პატივი მიაგო მათ მთელ ქვეყანასთან ერთად. ჰელსინკში ჩვენი ოლიმპიელების თვალსაჩინო წარმატებამ დიდი სტიმული მისცა სპორტის განვითარებას საქართველოში.

სამწუხაროდ, „ლელოს" ჟურნალისტებს არ ჰქონდათ 1952 წლის ოლიმპიადაზე დასწრების შესაძლებლობა და საკუთარი თვალით ვერ იხილეს საქართველოს პირველ ოლიმპიელთა პირველი წარმატებები. არ შემოგვრჩა იმ თამაშებზე მათი ასპარეზობის ამსახველი ფოტომასალა, დოკუმენტურ კინოკადრებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მხოლოდ მოგვიანებით აღირსეს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ გამოცემებს ჟურნალისტების მივლინება ოლიმპიურ თამაშებზე. მანამდე კი იქ ნანახ-განცდილი შინ დაბრუნებულ ოლიმპიელებს „ლელოს" ფურცლებზე თავიანთი მონათხრობით მიჰქონდათ მრავალრიცხოვან მკითხველამდე.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ზაზა ფაჩულია: მალე ვითამაშებ!

■ საქართველოს ნაკრებისა და „მილუოკი ბაქსის" ცენტრ ზაზა ფაჩულიას გატეხილი წვივის ძვალის სამკურნალოდ თითქმის ორი თვე დასჭირდა (ბოლო მატჩი 4 დეკემბერს ჩაატარა). ამერიკალი ჟურნალისტები წერენ, რომ იგი მოედანს NBA-ს „ოლ სტარამდე" დაუბრუნდება, თუმცა კონკრეტულ თარიღს არ ასახელებენ. ამერიკაში ვარსკვლავთა კვირეული 12 თებერვალს დაიწყება, თუმცა, ბოლო ინფორმაციით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ქართველმა ცენტრმა თებერვლის პირველ რიცხვებში ითამაშოს. „მილუოკი ბაქსის" ოფიციალური საიტი გვამცნობს, რომ ფაჩულია უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. აი, რას ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი ლარი დრიუ:

*- პირველი დღეა, რაც ზაზა ფაჩულია გუნდთან ერთად სრული დატვირთვით წვრთნას შეუდგა. როგორც თავად მითხრა, ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და თავს კონტაქტური ვარჯიშის შემდეგაც კარგად გრძნობდა. როგორც ჩანს, მკურნალობა სწორად წარიმართა.*

ახლა თავად კალათბურთელს მოვუსმინოთ, რომელმაც წვრთნის დასრულების შემდეგ „მილუოკის" ჟურნალისტი დააიმედა:

*- თავს უკვე კარგად ვგრძნობ, შემიძლია ბოლომდე ვივარჯიშო და კონდიციების აღდგენაზე ვიმუშაო. მოუთმენლად ველი სათამაშო მოედანზე დაბრუნებას.*

მილუოკურ გამოცემა „ჟურნალ სენტინელში" ზაზა ფაჩულიას ჯანმრთელობის მდგომარეობას მიეძღვნა ვრცელი სტატია, რომლის თარგმანიც ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

„ზაზა ამბობს, რომ დანებების დრო არ არის. 29 წლის ცენტრი, მიუხედავად იმისა, რომ 26 მატჩი გამოტოვა, გუნდის ლიდერია - გასახდელში ყოველთვის თანაგუნდელებთანაა და ამხნევებს. იგი იმედოვნებს, რომ მალე თამაშითაც დაეხმარება მილუოკელებს. სამშაბათიდან იგი მოედნის მთელ მონაკვეთზე ისევე ინტენსიურად ვარჯიშობდა, როგორც დანარჩენები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მატჩებში „ბაქსის" განაცხადში მოხვდება, თუმცა ზუსტად როდის ითამაშებს, ჯერ სათქმელად რთულია.

ამასობაში „მილუოკიმ" (რომელსაც სულ 8 მოგება აქვს) ორი მწარე მარცხი იგემა საკუთარ კედლებში და ადგილობრივი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციას „ფინიქს სანზთან" მატჩისას შეეცდება (29 იანვარს, თბილისის დროით გამთენიისას).

*- ახალგაზრდული გუნდი გვყავს, - ამბობს ზაზა ფაჩულია, - ბიჭები პროგრესირებენ. თუმცა ვუსურვებდი, გაცილებით უკეთესი სეზონი ჰქონდეთ. არ მინდა იფიქრონ, რომ ის, რაც ახლა ხდება, NBA-სთვის ტიპიურია. გუნდს მოგებები უჭირს, რაც ნორმალური არ არის. „მილუოკის" გაცილებით უკეთესი შედეგი უნდა ჰქონდეს. გუნდში მომავალს ვხედავ, რაც იმედს მმატებს - „ბაქსს" ნინსვლის პოტენციალი ნამდვილად აქვს. ეს ახალგაზრდებმაც უნდა გააცნობიერონ და განაგრძონ საკუთარ თავზე მუშაობა.*

ქართველი მეფარე კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს:

*- მოაზროვნე და სხარტი ახალგაზრდები გვყავს. იანის ანტეტეკუონმპომ, ნეით ვოლტერსმა, მიროსლავ რადულიცამ უნდა უსმინონ მწვრთნელებს, მათზე უფროსებს და განაგრძონ სწორი მიმართულებით ვარჯიში. თუმცა, ეს მხოლოდ ახალგაზრდებისთვის როდია კარგი, თუ შედეგი გვინდა, ყველა ერთად უნდა დავდგეთ და მწვრთნელის მითითებები შევასრულოთ და თამაშიც სწორად წარვმართოთ. ასეთ შემთხვევაში შედეგიც გვექნება და თამაშიც გაგვიადვილდება.*

ფაჩულიას დაბრუნება ახარებს „მილუოკის" მთავარ მწვრთნელ ლარი დრიუს, რომელიც „ატლანტაში" ქართველთან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა:

*- ზაზა ენერგიული მოთამაშეა, არაფერს ერიდება, ფარქვეშ უბრძოლველად არავის უშვებს. დღეს ეს გვაკლია. რა თქმა უნდა, ყველა ნინახაზელს თავისი დადებითი თვისება აქვს, ყველა გვეხმარება, მაგრამ ზაზა ფაჩულიას ენერგია გვჭირდება და გვინდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს.*

მკითხველს შევახსენებთ, რომ „მილუოკი ბაქსის" ერთი მეფარე, **ლარი სენდერსი** ავადმყოფობის გამო ვერ ვარჯიშობს, ხოლო მეორე წინახაზელ **ეკპე ადოს** კოჭის ტრავმა აქვს და გუნდს ვერც ის ეხმარება. ასე რომ, „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ სამი მაღალი იყო: **მიროსლავ რადულიცა, ჯონ ჰენსონი** და **ერსან ილიასოვა** (ეს უკანასკნელი მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს).

*- სეზონის დასაწყისიდან დღემდე ვერ მოვიშორეთ ტრავმები. განსაკუთრებით ამ სიტუაციაში გვჭირდება ყველა კალათბურთელის დახმარება, რომ თამაშიც და სატურნირო მდგომარეობაც გავიუმჯობესოთ, - ამბობს ფაჩულია.*

როგორც ლარი დრიუ ამბობს, ტრავმამოშუშებულ ფაჩულიას საწყის მატჩებში ბოლომდე არ დატვირთავს. შეგახსენებთ, რომ ქართველ მეფარეს აპრილში აქილევსის მყესის ოპერაცია აქვს გადატანილი. იგი გასულ სეზონში „ატლანტა ჰოქსის" ღირსებას იცავდა. ზაფხულში კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „მილუოკი ბაქსთან". მიმდინარე სეზონში მან წვივის ძვლის დაზიანებამდე 17 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 25.2 წუთში 6.9 ქულას, 6.5 მოხსნასა და 1.8 პასს აგროვებდა.

*- მყესი სეზონის დასაწყისშიც ცოტა მაწუხებდა, ალბათ, იმიტომ, რომ სპეციალურ ფეხსაცმელს დიდი ხნის განმავლობაში ვატარებდი. ვიმედოვნებ, რომ ეს იქნება ბოლო შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, სპეცფეხსაცმლის ტარებისა, - ამბობს ფაჩულია,* რომელიც ტრავმის მიუხედავად გუნდის ნაწილი იყო და მოედნის გარედან ეხმარებოდა.

*- ვერ ვთამაშობდი, მაგრამ გუნდში ვიყავი, ვმგზავრობდი „მილუოკი ბაქსთან" ერთად და ვცდილობდი დავხმარებოდი რითაც შემეძლო. თუმცა ყველას კარგად გესმით, რომ თანაგუნდელთა მოტივირება, მათი დახმარება გაცილებით იოლია, როცა შენც მოედანზე დგახარ. მალე მეც ვითამაშებ.*

როგორც ალვნიშნეთ, მიმდინარე სეზონში „მილუოკი ბაქსი" NBA-ის აუტსაიდერია, 44 მატჩიდან მხოლოდ 8 აქვს მოგებული. საინტერესოა, რას ფიქრობს ფაჩულია გუნდის წარუმატებელი სერიის შესახებ.

*- საქმე სწორი გზით თავისით ვერ წავა, საჭიროა მიმართულება ჩვენ მივცეთ. დარწმუნებული ვარ, ეს შეგვიძლია და „მილუოკის" ნაგებებს წარმატებული მატჩები ჩაენაცვლება.*

ვაჟა სიმონიშვილი




დებიუტანტი



## გაგა ჩიტიძე

ცურვა

**დაიბადა** 2002 წელს, 6 მაისს, საჩხერეში

**წონა** 35 კგ

**სიმაღლე** 135 სმ

**სწავლობს** საჩხერის მე-3 საჯარო სკოლაში, VI კლასის მოსწავლეა

**ცურვაში** მეცადინეობს 2011 წლიდან, მას მერე, რაც თავი დაანება ცეკვებს

**პირველი მწვრთნელი:** ლელა კვესაძე, ამჟამად მეცადინეობს თემურ კვესაძესთან

**სპორტული მიღწევები:** თავის ასაკში საქართველოს და თბილისის ღია პირველობების არაერთგზის გამარჯვებული ცურვაში; ბიათლში ერევნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და კვიპროსის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი. არის ცურვაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, რომელიც ემზადება თბილისის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ბორჯღალოსნებმა ღია ვარჯიში გამართეს

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები შაბათს, 1 თებერვალს ერთა თასის ახალ ციკლს იწყებს. პირველ ტურში „ბორჯღალოსნები“ „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ბელგიის ნაკრებს უმასპინძლებენ.**


ბექა ნიკლაური და გიორგი ბეგაძე

მილტონ ჰეიგის განვრთნილმა გუნდმა ღია ვარჯიში გამართა, რომლის საწყისი 15 წუთი იყო გახსნილი ჟურნალისტებისა და ტელევიზიებისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებებისათვის.

საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში მიღებული დაზიანებების გამო, საქართველოს ნაკრებს 2 წამყვანი მორაგბე დააკლდა: შერკინების ბურჯი **დავით ზირაქიშვილი** („კლერმონი“) და მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** („მონპელიე“).

ამჟამად ჰეიგის განკარგულებაში 29 მორაგბე გახლავთ, რომელთაც სრული დატვირთვით ივარჯიშეს:

**პირველი ხაზი:** დავით ქუბრიაშვილი, ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), გიორგი ნემსაძე (ტარბი).

**მესამე ხაზი:** გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი)


მერაბ შარიქაძე

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ენისეი)

**№11-14:** თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), გიორგი შკინინი (არმია).

**№15:** ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ლაშა მალალურაძე (ბაგნერე)

გუნდთან ერთად იმყოფებოდა და წვრთნაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას „ბოლნისი ყოჩების“ გარემარბი **ლევან გოგოლაშვილი.**

ღია ვარჯიში ზუსტად დილის 11 საათზე დაიწყო და 80 წუთს გასტანა. თავდაპირველი გახურების შემდეგ ახალზელანდიელმა მწვრთნელმა შერკინება და უკანა ხაზი განაცალკევა და სტატიკურ მდგომარეობებზე ავარჯიშა. 20 წუთში უკვე საკონტაქტო ბალიშების დახმარებით განაგრძო გუნდმა წვრთნა, ხოლო უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში ჰეიგმა „ბორჯღალოსნები“ ორ გუნდად გაყო და აქტიურად ავარჯიშა ჯერ შეტევაში თამაშზე, შემდეგ უკვე დაცვაში სწორად გარჯაზე.

„პირველი“ გუნდის შერკინების პირველი ხაზი ნარიშვილმა, ბრეგვაძემ და ქუბრიაშვილმა დააკომპლექტეს. მეორე ხაზში ირჯებოდნენ მიქაუტაძე და დათუნაშვილი. მამუკა გორგოძის არ ყოფნაში მლეტავებად გიორგი თხილაიშვილი და გიორგი ჩხაიძე იყვნენ გამწესებული, ხოლო რვა ნომერზე დიმიტრი ბასილაია. ცხრა ნომერზე გიორგი ბეგაძე თამაშობდა, მგეზავად ლაშა ხმალაძე, კიდეებზე ირაკლი მაჩხანელი და გიორგი შკინინი ირჯებოდნენ, შუამარბებად შარიქაძე და კაჭარავა, ხოლო ფულბეკად მერაბ კვირიკაშვილი.

ჯერჯერობით ადრეა ძირითად შემადგენლობაზე ლაპარაკი, თუმცა, სავარაუდოდ, „პირველ გუნდში“ მოხვედრილ მოთამაშეთა უმეტესობა პირველი წუთებიდანვე შეუტევს ბელგიის ეროვნულ ნაკრებს.


ირაკლი მაჩხანელი და დავით კაჭარავა


ბურთით შალვა სუთიაშვილი

**დავით ქუბრიაშვილი:**

*„ბელგიასთან წინა დაპირისპირება ძალიან კარგად მახსოვს. მატჩის სტარტზევე ჯგუფური ჩხუბი ატყდა და საბოლოოდ მე და ერთი მოწინააღმდეგე წითელი ბარათებით დაგვითხოვეს მოედნიდან. ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო და თბილისში ამ ფაქტს არანაირი გაგრძელება არ მოჰყვება.*

*მეტოქე სერიოზულია. ძალიან გაგვიჭირდა ბელგიასთან სტუმრად მოგება, თუ ჩვენ შევძელით სამოას დამარცხება, რატომ არ უნდა სცადოს იგივე ბელგიამ ჩვენთან მიმართებაში? სრული მობილიზებით ვემზადებით და, იმედია, კიდევ ერთხელ გავახარებთ გულშემატკივარს გამარჯვებით.“*



**მერაბ შარიქაძე:**

*„ახალი ციკლის დაწყება და პირველი შეხვედრის ჩატარება ყოველთვის გვიჭირს ხოლმე. ადვილად არაფერი გამოდის, თან სტარტზევე საკმაოდ სერიოზული მეტოქე გვყავს - ბელგია. მეტოქემ წინა თამაშიდან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ამიტომაც მოდუნება არ შეიძლება.“*

**გიორგი შკინინი:**

*„გუშინ ბელგიის რამდენიმე შეხვედრა ვნახეთ სამწვრთნელო შტაბთან ერთად და ვიდეო ანალიზი გავაკეთეთ. საკმაოდ საინტერესო და ძლიერი გუნდია. ბელგიელთა ძირითად ბირთვს ფრანგი მოთამაშეები წარმოადგენენ, ისინი საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონში აქტიურად თამაშობენ და საკმაოდ ტექნიკურებიც არიან. საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს.“*

**ირაკლი მირცხულავა:**

*„მოხარული ვარ, რომ ნაკრებში ისევ გამომიძახეს და შევეცდები ჩემი შანსი გამოვიყენო. მიმაჩნია, რომ ბელგიასთან ფავორიტები ვართ. თუმცა მოდუნება არაფრით შეიძლება, საკმაოდ სწრაფი გუნდია ჩვენი მეტოქე და ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებულები.“*

**გიორგი ბარბაქაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი



კინგზის არენის მაკეტი

# მეფეებს სასახლე ექნებათ

2013 წლის 31 მაისს, „საკრამენტო კინგზის“ ახალი მფლობელი გახდა მილიარდერი **ვივეკ რანადივე** - წარმოშობის ინდოელი ბიზნესმენი, რომელმაც დიდძალი ქონება პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებით დააგროვა. ერთ-ერთი პირობა, რომლითაც ლიგამ ეს გარიგება დაუშვა, საკრამენტოში ახალი არენის მშენებლობა იყო. გავიდა ნახევარ წელიწადზე მეტი და უკვე არსებობს არენის პროექტი. თუ რანადივე და მისი ჯგუფი ამ პროექტს ხორცს შეასხამენ, შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ „მეფეები“ საკრამენტოში დიდი ხანი დარჩებიან.

არენა, რომელიც 448 მილიონ დოლარად არის შეფასებული, საკრამენტოს ცენტრში 2.5 წლის შემდეგ უნდა აშენდეს.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ფლორიდა 6:2**

2:0, 2:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ლუჩიჩი-14 (იგინლა-20, კრეიჩი-33), 2:0 ხარა-13 (კრუგი-18, კრეიჩი-34), 3:0 ლუჩიჩი-15 (იგინლა-21, ბარტკოვსკი-9), 4:0 რაილი სმიტი-18 (სოდერბერგი-18, ლ. ერიქსონი-11), 4:1 ბოიესი-14 (ბიუგსტადი-10), 4:2 კულიკოვი-5 (ბერგენჰაიმი-6, გომესი-5), 5:2 შ. ტორნტონი-4 (გ. კემპბელი-9), 6:2 კრეიჩი-11.

**ტორონტო-ტამპა ბეი 3:2**

0:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 კადრი-13, 2:0 კადრი-14 (ჯ. ლუპული-15, გუნარსონი-8), 2:1 მეტიუ კარლი-2 (პალატი-17, კუჩეროვი-5), 2:2 ბარბერიო-4 (პალატი-18, კრომბინი-7), 3:2 ვან რიმსდიკი-21 (კესელი-28, ბოჟაკი-17).

**ფილადელფია-დეტროიტი 5:0**

1:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ჰარტნელი-13 (ტიმონენი-17, ჟირუ-33), 2:0 ჰარტნელი-14 (ჟირუ-34, შტრაიტი-19), 3:0 ა. ჰოლი-3 (რაფლი-11, გუსტაფსონი-6), 4:0 ჟირუ-16 (ჰარტნელი-19, ვორაჩეკი-24), 5:0 კუტურიე-9 (შტრაიტი-20).

**კოლამბუსი-ოტავა 2:3**

0:1, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 და კოსტა-1 (მ. მიხალეკი-14, ე. კარლსონი-38), 0:2 და კოსტა-2 (სპეცა-23, კონაჩერი-13), 2:1 ატკინსონი-16 (კალვერტი-7, ვისნიევსკი-28), 2:2 ვისნიევსკი-5 (ატკინსონი-13, ჯ. ჯონსონი-16), 2:3 სპეცა-14 (გრინინგი-7; მეტოტი-11).

**ბაფალო-ვაშინგტონი 4:5 (ო)**

1:2, 2:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-37 (ბექსტრიომი-39, ბროუერი-13), 0:2 ოვეჩკინი-38 (მაიკ გრინი-23, მ. იოჰანსონი-26), 1:2 ერჰოფი-4 (მოულსონი-16, ენისი-13), 2:2 ჰოჯსონი-13 (მოულსონი-17, ენისი-14), 2:3 მაიკ გრინი-6 (ორლოვი-4, ბიგლი-3), 3:3 ვერონი-1 (ფოლინო-8, ფლინი-4), 3:4 ბროუერი-10 (ერატი-19, ოვეჩკინი-16), 4:4 ჰოჯსონი-14, 4:5 მაიკ გრინი-7 (ოვეჩკინი-17, ერატი-20).

**მონრეალი-კაროლინა 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პრუსტი-5 (გორჯესი-10, რ. ბურკი-2), 2:0 გალაჰერი-14 (დეშარნე-18, პასიორეტი-10), 3:0 პასიორეტი-22 (მარკოვი-22, გალაჰერი-12).

**სტ ლუისი-ნიუ ჯერსი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 სტინი-27 (შვარცი-20, ბეკსი-22), 2:0 მოროუ-8 (ბოუმისტერი-26, ბერგლუნდი-13), 3:0 ლაპიერი-7 (პააიარვი-3, ბერგლუნდი-14).

**ვინიპეგი-ნეშვილი 3:4**

1:1, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ს. ჯონსი-5 (დელ ზოტო-10, კ. სმიტი-16), 1:1 ტორნბურნი-1 (მ. სტიუარტი-6, ტროუბა-12), 1:2 იოსი-7 (კ. სმიტი-17, ლეგუანდი-28), 1:3 სპალინგი-10 (გოსტადი-6, სისონსი-1), 2:3 შაიფელი-11, 3:3 ველერი-22 (შაიფელი-20, ტროუბა-13), 3:4 ფიშერი-14 (ჰორნკვისტი-17, შ. უებერი-23).

**კალგარი-ჩიკაგო 5:4 (ო)**

2:2, 2:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბეკლუნდი-10 (სტემპნიაკი-12), 1:1 პ. კეინი-25 (ვერსტიგი-16, ლედი-16), 2:1 ბუმა-5 (სტაიანი-12), 2:2 მარიან ჰოსა-22 (ტეივზი-33, კიტი-44), 3:2 სტაიანი-9 (დ. ჯონსი-8), 4:2 ბეკლუნდი-11 (სტემპნიაკი-13, ჯორდანო-17), 4:3 ბ. სმიტი-7 (ბოლიგი-6, ოდუია-10), 4:4 მარიან ჰოსა-23 (პიალმარსონი-19, საადი-21), 5:4 ბროდი-4 (მონეჰანი-7, სტემპნიაკი-14).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ეკმან-ლარსონი-7 (ვერმეტი-13), 2:0 ეკმან-ლარსონი-8 (დოუნი-16, ბოდკერი-20), 3:0 ვერმეტი-19 (ბოდკერი-21, კორპიკოსკი-13).

**ანაჰაიმი-მინესოტა 2:4**

1:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 პომინვილი-21 (გრანლუნდი-20, პარიზე-13), 1:1 პენერი-13 (გეტცლაფი-36, პერი-30), 1:2 გრანლუნდი-4 (პარიზე-14, რ. სატერი-26), 1:3 პარიზე-16 (სკანდელა-12, პროსერი-4), 1:4 ჰაულა-2 (პომინვილი-16, სკანდელა-13), 2:4 მ. პერო-10 (სელიანე-12).

## ამბები

**კალათბურთი**

### 15 პრეტენდენტი 4 საგზურისთვის

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ოთხ ვაკანტურ საგზურზე 15 პრეტენდენტის სია გამოაქვეყნა. ოთხი უაილდ-ქარდის მიღებაზე პრეტენზიას აცხადებენ: კატარი, რუსეთი, იტალია, თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, გერმანია, ბოსნია, პოლონეთი, ფინეთი, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, ნიგერია და ვენესუელა.

თუმცა უკვე ცნობილი გახდა, რომ იტალიამ და გერმანიამ უარი განაცხადეს უაილდ-ქარდის მიღებაზე. საგზურების მფლობელები პირველ თებერვალს გახდება ცნობილი, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა 3 თებერვალს გაიმართება.

**ჰოკეი**

### ბოიკოტი ლუკაშენკოს ჩემპიონატს

წამყვანი ფინური გაზეთები და ტელევიზიები არ აპირებენ ბელარუსში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე გამგზავრებას, რადგან ამ ქვეყანაში იზღუდება ჟურნალისტების უფლებები.

კერძოდ, ჩემპიონატის ბოიკოტირების შესახებ გამოაცხადეს ტელეკომპანია YLE-მ, აგრეთვე გამოცემებმა - Helsingin Sanomat-მა და Ilta Sanomat-მა.

ამ კომპანიებს არ აწყობთ ბელარუსის მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები. კერძოდ, ლაპარაკია მოთხოვნებზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ჩემპიონატზე აკრედიტებულ კომპანიებს ქვეყანაში მიმდინარე სხვა მოვლენების გაშუქების უფლება არ ექნებათ.

# სპურსს ძლიერებთან უჭირს

გასულ სათამაშო დღეს, ცენტრალური მატჩი ტექსასური დერბი იყო „ჰიუსტონსა“ და „სან ანტონიოს“ შორის. ამ შეხვედრაში მასპინძელთა კოშმარული სტარტი, მოულოდნელად, მძლავრ „ქამბექად“ გადაიქცა. **ჯეიმს ჰარდენის** არყოფნაში, „ჰიუსტონი“ დიდი ხანი ეძებდა გასაღებს „სპურსის“ დაცვის დასაძლევად. და ეს გასაღები აღმოჩნდა **დუაიტ ჰოვარდი**, აგრეთვე უდიდესი უპირატესობა მოხსნებში (55-39). არ იმუშავა ჰოვარდზე შეგნებული ჯარიმების ტაქტიკამ, რადგან ცენტრმა მესამე მეოთხედში 16-დან 10 თავისუფალი ტყორცნა გამოიყენა.

„სპურსისთვის“ კიდევ ერთი ცუდი ამბავი - **მანუ ჯინობილის** ტრავმა იყო. არგენტინელმა ჩატენვის დროს ფეხი დაიზიანა. „სან ანტონიო“ კი სტაბილურად აგებს მატჩებს ორივე კონფერენციის წამყვან გუნდებთან. ამასთან, **ტიმ დანკანის** გუნდმა სეზონში პირველად წააგო ზედიზედ ორი მატჩი.

■ ■ ■

ასევე ზედიზედ ორი მარცხი აქვს დასავლეთი კონფერენციის კიდევ ერთ ლიდერს - „პორტლენდს“. ამჯერად, ორეგონელები მოულოდნელად დამარცხდნენ შინ „მემფისთან“. თანაც, უბრალოდ კი არ წააგეს, არამედ განადგურდნენ. უკვე მატჩის სასტარტო მონაკვეთში სტუმრები 10:0-ს იგებდნენ, მესამე მეოთხედის ბოლოს კი „გრიზლისის“ უპირატესობა 24 ქულას აღწევდა. ამის მიზეზი ის არის, რომ კარგად იმუშავა „მემფისის“ ნაქებმა დაცვამ, რომელმაც დიდი პრობლემები შეუქმნა მეტოქეს შეტევაში (თამაშიდან 34.5 პროცენტის სიზუსტე და 24-დან 20 (!) აცილებული სამქულიანი).

■ ■ ■

წააგო დასავლეთი კონფერენციის კიდევ ერთმა ფავორიტმა. „გოლდენ სტეიტს“ ზედიზედ ექვსჯერ ჰყავდა დამარცხებული „ვაშინგტონი“ და დედაქალაქურმა კლუბმა, როგორც იქნა, შეძლო რევანშის აღება. ორივე გუნდი დაახლოებით 37-პროცენტიანი სიზუსტით ისროდა და ყველაფერი მატჩის ბოლოს გადაწყდა: თავიდან **დევიდ ლიმ** გაათანაბრა ანგარიში, რასაც **ბრედლი ბილის** აცილება მოჰყვა, მაგრამ **ტრევორ არიზამ** შეტევაში მოხსნა ბურთი და სწორედ ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. არიზამ ბურთი უოლს მიაწოდა, რომელმაც სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი წინ გაიყვანა. სირენასთან ერთად **სტივენ კარის** (ბოლო მეოთხედში ექვსიდან ერთი ზუსტი ტყორცნა) ნასროლი სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა.

■ ■ ■

დადებითი ბალანსით დაასრულა დასავლური ტურნე აღმოსავლეთის ლიდერმა „ინდიანამ“ - 3 მოგება და 2 წაგება. გუშინ, „პეისერსი“ თითქმის უპრობლემოდ გაუსწორდა „ლეიკერსს“. სტუმრებმა გადამწყვეტი გაქცევა მესამე მეოთხედში მოაწყვეს და, მართალია, კალიფორნიელებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ მაინც ვერ გაექცნენ ზედიზედ მეხუთე მარცხს.

**ლენს სტივენსონმა** პირადი რეკორდი დაამყარა მოხსნების რაოდენობით და ცოტა დააკლდა სეზონში მეოთხე სამმაგ დუბლამდე.

■ ■ ■

„კლივლენდი“ გუშინ 11 ქულის სხვაობით დამარცხდა „ნიუ ორლეანთან“, რომლის რიგებში 50 ქულა დააგროვეს **ენტონი დევისმა** და **ერიკ გორდონმა**. წაგების მიუხედავად, „კავალერებს“ ჰქონდათ სიხარულის საბაბი. საქმე ეხება 2014 წლის დრაფტის პირველ ნომერს **ენტონი ბენეტს**. ის აქამდე 20 წუთს ატარებდა მოედანზე და საშუალოდ 2.4 ქულასა და 2.3 მოხსნას აგროვებდა. ახლა კი 31 წუთი ითამაშა, შედეგიანობის პირადი რეკორდი (15 ქულა) დაამყარა და მოხსნების მხრივ საკუთარი რეკორდი გაიმეორა (8). რაც მთავარია, 20 წლის ფორვარდი არ დაკარგულა თანაგუნდელების ფონზე.

■ ■ ■

„ნიუ იორკმა“ სრულფასოვანი რევანში აუღო „ბოსტონს“ წინა ორი მარცხისთვის. 8 დეკემბერს, „სელტიქსის“ ვიზიტი „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიქსისთვის“ 41-ქულიანი განადგურებით დასრულდა, ხუთი დღის შემდეგ კი ნიუიორკელებმა ბოსტონშიც წააგეს.

გუშინ, **კარმელო ენტონიმ** და მისმა თანაგუნდელებმა ისევ უმასპინძლეს „კელტებს“ და 114:88 გაიმარჯვეს. ჯერჯერობით სტუმრებს ვერ შველის **რაჟონ რონდო**, რომლის სათამაშო დრო 30 წუთამდე გაიზარდა. გამთამაშებელმა 13-დან მხოლოდ 3 ბურთი მოათავსა კალათში და ოთხჯერ დაკარგა ბურთი. „ნიუ იორკი“, რომელიც ერთი თვის წინ, აღმოსავლეთი კონფერენციის ფსკერზე იმყოფებოდა, ახლა ძალიან მიუახლოვდა პლეი ოფის ზონას.




ჰიუსტონი-სან ანტონიო

**კლივლენდი-ნ. ორლეანი 89:100**

29:26, 15:30, 21:27, 24:17

**კ:** ირვინგი (23), უეიტერსი (21), ბენეტი (15), ზელერი (13+10 მოხსნა).

**ნ-ო:** ენტ. დევისი (30), ე. გორდონი (20).

**დეტროიტი-ორლანდო 103:87**

20:22, 33:21, 25:17, 25:27

**დ:** ჯენინგსი (20), ჯოშ სმიტი (16), დრამონდი (13+17 მოხსნა).

**ო:** ოლადიპო (19).

**ნიუ იორკი-ბოსტონი 114:88**

31:15, 32:22, 23:22, 28:29

**ნ-ი:** ენტონი (24), ტაილერი (17), სმიტი (17), ჰარდუეი (16), ჩენდლერი (12+13 მოხსნა).

**ბ:** ჯეფ გრინი (14).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 97:90**

20:28, 19:18, 33:18, 25:26

**ჰ:** ჰოვარდი (23+16 მოხსნა), ტ. ჯონსი (21), ლინი (18).

**ს-ა:** დიაო (22+11 მოხსნა), პარკერი (17), დანკანი (12+14 მოხსნა).

**პორტლენდი-მემფისი 81:98**

22:31, 24:30, 12:20, 23:17

**პ:** ოლდრიჯი (27+16 მოხსნა), ლილარდი (16).

**მ:** რენდოლფი (23+10 მოხსნა), კონლი (19), მ. გასოლი (15).

**გ. სტეიტი-ვაშინგტონი 85:88**

22:24, 27:21, 16:21, 20:22

**გ-ს:** კარი (23).

**ვ:** ბილი (20), ნენე (16).

**ლეიკერსი-ინდიანა 92:104**

19:22, 30:27, 20:30, 23:25

**ლ:** პ. გასოლი (21+13 მოხსნა), მიქსი (21), მარშალი (11+13 პასი), ჯორდან ჰილი (10+12 მოხსნა).

**ი:** უესტი (19), სტივენსონი (15+14 მოხსნა), ჰიბერტი (11+10 მოხსნა).




კარმელო ენტონი

# უსარგებლო ენტონი

„ნიუ იორკ ნიქსის“ ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** გუშინ, „ბოსტონის“ წინააღმდეგ 24 ქულა დააგროვა და ერთი მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. ასეთი შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, ბევრი ანალიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს კარმელოს წვლილს გუნდურ წარმატებებში და აღნიშნავს, რომ ხშირად, NBA-ის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი არა გამარჯვების, არამედ წაგების მიზეზი ხდება. მისი მისამართით ყველაზე ხშირი საყვედურია - ბურთის ზედმეტად „თრევა“ და ინდივიდუალიზმისკენ მიდრეკილება.

The Wall Street Journal-ის მიმომხილველმა **კრის ჰერინგმა** გადაწყვიტა ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლა და ამისთვის ციფრები გამოიყენა. აი, რა გაარკვია მან: იმ მსუბუქ ფორვარდებს შორის, რომლებიც საშუალოდ 20 ქულაზე მეტს აგროვებენ, კარმელო თანაბრად არის მათთან მატჩში პასების საშუალო რაოდენობით. მისი 42.7 გადაცემა დიდად არ განსხვავდება **ლებრონ ჯეიმსის** (49.4), **პოლ ჯორჯის** (46.7), **არონ აფლალოსა** (44.2) და **კევინ დურანტის** (37.7) მონაცემებისგან. მაგრამ, ამასთან, ენტონის პასების მხოლოდ 15 პროცენტი აძლევს მის პარტნიორებს მეტოქის ფარზე იერიშის მიტანის საშუალებას. ეს უარესი მაჩვენებელია ჩამოთვლილ კალათბურთელებს შორის.

# მორიგი სამი კვირა კობისთვის

ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **კობი ბრაიანტი** თანდათან უახლოვდება მოედანზე ხელმეორე დაბრუნებას. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ „ლეიკერსის“ ლიდერი მოასწრებდა „ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის“ გამოჯანმრთელებას და რამდენიმე წუთით მოედანზე გასვლას.

გუშინ, კობიმ მორიგი სამედიცინო შემოწმება გაიარა და მისი შედეგები არადამაიმედებელი აღმოჩნდა. კალათბურთელს მუხლის არეში კვლავაც ტკივილის შეგრძნება აქვს და არ შეუძლია ფეხის სრულად დატვირთვა.

წინასწარი პროგნოზით, ბრაიანტი ლაზარეთში კიდევ სამ კვირას დაყოფს. დიდი ალბათობით, შეიძლება იმის თქმა, რომ კობი მონაწილეობას ვერ მიიღებს „ყველა ვარსკვლავის მატჩში“, მიუხედავად იმისა, რომ გულშემატკივრებმა ის დასავლეთის სასტარტო შემადგენლობაში აირჩიეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



კობი ბრაიანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ავსტრალიის ღიას ციფრული მიმოხილვა


სტანისლას ვავრინკა

**კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით „დიდი სლემის" რიგით პირველ ტურნირს - ავსტრალიის ღია პირველობას და გთავაზობთ მელბურნის კორტებზე დაფიქსირებულ საინტერესო ციფრებს.**

0 - პოლონელ **ლუკაშ კუბოტსა** და შვედ **ტომაშ ლინდსტედტს**, რომლებმაც წყვილთა ტურნირი მოიგეს, მანამდე ერთად არც ერთი მატჩი არ ჰქონდათ მოგებული, არადა, ორჯერ გამოვიდნენ ATP-ის ტურნირებზე.

1 - **სტანისლას ვავრინკამ** მოიგო „დიდი სლემის" პირველი ტიტული. საინტერესოა, რომ ადრე შვეიცარიელს „მასტერსის" სერიის ტურნირშიც კი არ გაუმარჯვია. სულ ვავრინკას ანგარიშზე ATP-ის 6 ტიტულია.

1 - კუბოტი და ვავრინკა პირველად თამაშობდნენ „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში და პირველივე ჯერზე წარმატებას მიაღწიეს.

1 - **ნა ლი** არის 30 წელს გადაცილებული პირველი ქალი ჩოგბურთელი XXI საუკუნეში, ვინც ავსტრალიის ღია პირველობაზე გაიმარჯვა. ბოლოს მსგავსი გამარჯვება **მარგარეტ კორტს** ჰქონდა 1973 წელს.

2 - პირველად 2001 წლის შემდეგ, **როჯერ ფედერერი** გახდა შვეიცარიის მეორე ნომერი. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, როჯერი მსოფლიოს მერვე ჩოგანია, ვავრინკა - მესამე.

3 - ასაკის მიხედვით, ვავრინკა ავსტრალიის ღიას ფინალური მატჩის მესამე დებიუტანტია. მასზე ასაკოვანი ფინალისტები იყვნენ - ესპანელი **ანდრეს ხიმენო** (31 წლის) და ჩეხი **პეტრ კორდა** (30). ფინალის დღეს, ვავრინკა 28 წლისა და 304 დღის იყო.

3 - **სერენა უილიამსმა** მესამედ წააგო ავსტრალიის ღიას მერვედფინალში. ადრე მეოთხე წრეში ის რუს ჩოგბურთელებთან მარცხდებოდა - 2000 წელს **ელენა ლიხოვცევასთან** და 2012 წელს **ეკატერინა მაკაროვასთან**. ამჯერად, ამერიკელმა სერბ **ანა ივანოვიჩთან** წააგო.

4 - ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** „დიდი სლემის" ტურნირებზე ნახევარფინალების სრული კოლექცია შეაგროვა. თითოეულ მეიჯორზე ის მინიმუმ ერთხელ საუკეთესო ოთხეულში ხვდებოდა.

4 - ნა ლი გახდა მეოთხე ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც ავსტრალიის ღია მატჩბოლის მოგერიების შემდეგ მოიგო (ჩინელი ახლოს იყო წაგებასთან ჩეხ **ლუსი საფაროვასთან**). ადრე, მსგავსი წარმატება ჰქონდათ ამერიკელებს - **მონიკა სელეშს** (1991), **ჯენიფერ კაპრიატის** (2002) და სერენა უილიამსს (2003 და 2005).

8 - ყაზახმა **ზარინა დიასმა** კარიერაში პირველად გადალახა „დიდი სლემის" ტურნირის კვალიფიკაცია და პირველივე ჯერზე მესამე წრემდე მიაღწია. ადრე დიასმა რვაჯერ წააგო საკვალიფიკაციო ტურნირი.

10 - ვავრინკას 2014 წელს წაგება არ აქვს. ავსტრალიამდე შვეიცარიელმა ჩენაის ტურნირი მოიგო და ახლა, 10-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს.

10 - **სიმონა ჰალეპი** კარიერაში პირველად შევიდა რეიტინგის ტოპ-ათეულში. ის პირველი რუმინელია XXI საუკუნეში, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია. მისი თანამემამულეებიდან ბოლოს ათეულში **ირინა სპირლეა** იყო - 1998 წელს.

11 - ფედერერმა მეთერთმეტედ მიაღწია ავსტრალიის ღიას ნახევარფინალამდე.

12 - **ენდი მარეი** ზედიზედ მეთორმეტედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში.

14 - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეწყვიტა „დიდი სლემის" ტურნირებზე ნახევარფინალების სერია. სერბი ზედიზედ 14 ნახევარფინალით მესამეზეა. მასზე წინ არიან ფედერერი (ზედიზედ 36 ნახევარფინალი) და **ჯიმი კონორსი** (27).

18 - ავსტრალიაში **ვიქტორია აზარენკას** მოგებათა სერია 18-მატჩიან ნიშნულზე შეწყდა.

19 - **რაფაელ ნადალმა** მეცხრამეტედ ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. ამ მაჩვენებლით ის მეორე ადგილს იყოფს **ივან ლენდლთან**. პირველია ფედერერი - 24 ფინალი.

20 - პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში, „დიდი სლემის" ქალთა ტურნირზე მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწიეს რუსეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა. ბოლოს ასეთი რამ 1994 წლის როლან გაროსზე მოხდა.

28 - ვავრინკასთან წაგებამდე, ჯოკოვიჩს ზედიზედ 28 ოფიციალური მატჩი ჰქონდა მოგებული.

33 - ნადალი და ფედერერი 33-ედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს მეექვსე მაჩვენებელია „ღია ერაში". ისტორიაში ყველაზე ხშირად ერთმანეთს ნადალი და ჯოკოვიჩი შეხვედრიან - 39-ჯერ.

36 - ვავრინკას 36 ცდა დასჭირდა „დიდი სლემის" ტურნირის მოსაგებად. ეს მეორე მაჩვენებელია „ღია ერაში". უფრო დიდხანს ტიტულამდე **გორან ივანიშევიჩი** მიდიოდა (46).

54 - **ფრანჩესკა სკიავონემ** ზედიზედ 54-ედ ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირზე. იტალიელი ამ მაჩვენებლით ლიხოვცევასა და ფრანგ **ნატალი დეშის** დაეწია. წინ მხოლოდ იაპონელი **აი სუგიამაა** - 62.

99 - ვავრინკა „ღია ერაში" „დიდი სლემის" ტურნირების 99-ე ფინალისტი გახდა. 98-ე იყო **ხუან მარტინ დელ პოტრო** 2009 წელს.

540 000 - **ეჟენი ბუშარმა** ნახევარფინალში გასვლისთვის 540 ათასი დოლარი მიიღო - უფრო მეტი, ვიდრე მთელი კარიერის განმავლობაში.

ამბები

ჩოგბურთი

## ნადალი გეგმას არ ცვლის

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ზურგის ტრავმის გამო არ აპირებს ტურნირებზე გამოსვლის გრაფიკის შეცვლას. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა ზურგის არეში ტკივილი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის დროს იგრძნო, რამაც ხელი შეუშალა **სტანისლას ვავრინკას** დამარცხებაში.

სააგენტო „როიტერმა" გაარკვია, რომ ჩოგბურთელმა უკვე ჩაიტარა ინტენსიური ფიზიოთერაპიის კურსი, ამიტომაც, ნადალი მონაწილეობას მიიღებს ბუენოს აირესის ტურნირში, რომელიც 10-16 თებერვალს გაიმართება.

■ ■ ■

რეიტინგის მეოთხე ნომერი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა მარცხენა მაჯის გამოსაკვლევად. ამ მხრივ პრობლემები დელ პოტროს ავსტრალიის ღია პირველობის დროს შეექმნა.

გამოკვლევას მინესოტას შტატის ქალაქ როჩესტერში ექიმი **რიჩარდ ბერგერი** ჩაატარებს. 2010 წელს, სწორედ მან გაუკეთა ოპერაცია დელ პოტროს მარჯვენა მაჯაზე.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა ავსტრალიის ღია პირველობაზე მეორე წრე წააგო ესპანელ **რობერტო ბაუტისტა-აგუტთან**.

ოლიმპიზმი

## რიოს ოლიმპიადა ძვირი დაჯდება

ბრაზილიის მთავრობამ გამოაქვეყნა რიო-დე-ჟანეიროში ზაფხულის ოლიმპიადის ორგანიზებისთვის პირველი სავარაუდო ხარჯები. დღეისთვის დამტკიცებულია მშენებლობისა და რეკონსტრუქციის 24 პროექტი და ამისთვის ფედერალური, რეგიონული და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან 2.3 მილიარდი დოლარი დაიხარჯება. გარდა ამისა, ბევრ ობიექტში კერძო ინვესტიციები ჩაიდება.

ამ სიაში ჯერჯერობით შეტანილი არ არის კიდევ 28 პროექტი და მათ ღირებულებას მოგვიანებით გაითვალისწინებენ. ასევე ამ თანხაში არ შედის დანახარჯები აეროპორტების მოდერნიზაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

## ჭადრაკს ზამთრის თამაშებზე უნდა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ ჭადრაკი ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ.

*„ჩვენ ბევრს ვმუშაობთ ამ მიმართულებით. თავის დროზე, სერიოზულად გვიჭერდა მხარს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ჭადრაკი სპორტად აღიარეს, 1999 წლიდან საკუთარი ოფისი გვაქვს.*

*ახლა, ჩვენ ვმუშაობთ სპორტის ზამთრის სახეობების კომისიასთან, რადგან ზაფხულის თამაშების პროგრამა გადატვირთულია, ზამთარში კი ამ მხრივ, ნაკლები პრობლემაა"*, - ამბობს ილუმჟინოვი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 4:3 |
| ჩელსი-ვესტ ჰემი | 0:0 |
| სანდერლენდი-სტოკი | 1:0 |
| ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი | 1:5 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| შეფილდი-პიტერბრო | გადაიდო |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ვასლუი-ანჟი | 1:2 |
| ოდ ბალკლ.-ბენფიკა ლუან. | გადაიდო |
| შტურმი-პოგონი | 1:0 |
| სტ. პოლტენი-აუსტრია | 2:2 |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნაპოლი-ლაციო | 1:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ატლეტიკო | 1:2 (0:1) |
| ბარსელონა-ლევანტე | 5:1 (4:1) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-ბაიერნი | 1:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| იურდინგენი-ფელბერტი | 2:2 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი-ვალანსი | 2:1 |

**ბელგიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| გენტი-ვარეგემი | 0:1 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავეში-ატლეტიკო | 3:2 |
| ლეიქსოეში-ბენფიკა B | 1:2 |
| პენაფიელი-ტროფენსე | 1:1 |
| კოვილია-შავეში | 1:1 |
| ვიზეუ-ფარენსე | 3:0 |
| მარიტიმუ B-მადეირა | 0:2 |
| პორტიმონენსე-ბეირა მარი | 2:0 |
| სანტა კლარა-სპორტინგი B | 1:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სელტიკი-კილმარნოკი | 4:0 |
| ჰართსი-სტ. მირენი | 2:1 |

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| მორტონი-ქუინი | 1:1 |

**საბერძნეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ოფი-პანიონიოსი | 2:0 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი (3) | 4:0 |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 0:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ესქისეჰირი-ბურსა | 1:0 |
| თოქათი-ანტალია | 0:2 |
| გალათასარაი-ელაზიგი | 3:0 |

**კვიპროსის თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| აეკ-ანორთოსისი | 3:1 (1:1) |
| ეთნიკოსი-ენოსისი | 1:1 (0:0) |
| ონისილოსი-ალკი | 0:2 (3:3) |
| არისი-ომონია | 1:1 (0:1) |

**ბრაზილია**

**პაულისტა**

| | |
|---|---|
| მოჯი მირიმი-ატ. სორაკაბა | 3:3 |
| პაულისტა-იტუანო | 2:3 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ელ ნასიონალი-ოლმედო | 0:3 |
| მუშუკი-უნ. კატოლიკა | 1:2 |

**კოსტა რიკა**

| | |
|---|---|
| კარმელიტა-უნ. დე კოსტა | 2:1 |

**გვატემალა**

| | |
|---|---|
| მუნისიპალი-უნივერსიდადი | 0:2 |
| დეპ. მალაკატ.-კომუნიკას. | 1:3 |
| ისტაპა-სუჩიტეპეკესი | 1:2 |

**ჰონდურასი**

| | |
|---|---|
| რეალ სოსიედადი-დეპ. სავიო | 2:0 |
| პარილიასი-ოლიმპია | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| უნიქსი-ოსტენდე | 69:63 |
| ხიმკი-ნიმბურკი | 106:85 |
| ნ. ნოვგოროდი-ბილბაო | 81:65 |
| ხიმიკი-ალბა | გადაიდო |
| ბუდიველნიკი-ჰაპოელი (ი) | 96:93 |
| ბანვითი-ოლიმპია | 81:65 |
| პანიონიოსი-ცრ. ზვეზდა | 66:78 |
| რადნიჩკი-სტრასბური | 92:82 |
| სტელმეტი-ვალენსია | 82:77 |
| ბეშიქთაში-ცედევიტა | 55:58 |
| პინარი-კანტუ | 93:80 |
| ბამბერგი-ანკარა | 84:94 |
| მონტეპასკი-მაკაბი (ჰ) | 92:73 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| კტპ-ურალი | 75:86 |
| შოლე-შოლნოკი | 70:85 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-მეტალურგი (მ) | 1:6 |
| ადმირალი-ტრაქტორი | 3:4 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულიაევი | 3:1 |
| სიბირი-ნეფტეხიმიკი | 4:0 |
| სპარტაკი-სევერსტალი | 0:7 |
| დინამო (მნ)-ლოკომოტივი | 3:1 |
| დონბასი-ატლანტი | 3:2 (ბ) |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ჰერლევი | 4:3 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-ესეტი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლეკსანდი-მოდო | 0:1 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 1:4 |
| ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| ვინჩი-**სვიტოლინა** | 3:6, 6:0, 5:7 |
| ბარტელი-**ფლიპკენსი** | 3:6, 6:4, 2:6 |
| **ფოგელი**-ვოსკობოევა | 7:5, 5:7, 6:7 |
| **შარაპოვა**-ჰანტუხოვა | 6:0, 6:1 |
| **პავლიუჩენკ.**-სუარ. ნავარო | 6:2, 3:6, 6:3 |
| ჰალეპი-**მლადენოვიჩი** | 6:7, 4:6 |
| **კერბერი**-ზაკოპალოვა | 6:2, 7:5 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| **მაკაროვა**-ზვონარევა | 6:0, 6:2 |
| **კარ. პლიშკოვა**-კუდრიავც. | 4:6, 6:3, 6:4 |
| რისკე-**კირსტეა** | 3:6, 4:6 |

TV პროგრამა

**30 იანვარი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. შტუტგარტი-ბაიერნი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის პირველი ნაწილის მიმოხილვა.
**13:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-პლზენი.
**16:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. აინტრახტი-ჰერტა.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-გალათასარაი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფრაიბურგი-ლევერკუზენი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ცსკა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა-რეალი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-არსენალი.
**17:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. შოტლანდია-აშშ.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი.
**23:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლეიკერსი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. რეალი-მაქაბი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**13:10** სპორტ-NEWS.
**13:40** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**16:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**17:10** სპორტ-NEWS.
**17:40** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ზამთრის ტესტები. II დღე

# რედ ბულის ორი დაკარგული დღე




ჯენსონ ბატონი

ახალი რეგლამენტის თანახმად, ზამთრის ტესტების ერთი დღე უნდა მიეძღვნას საშუალედო და წვიმის საბურავების გამოცდას. გუშინ სწორედ ასეთი დღე იყო და ტრასა სპეციალურად დაასველეს. მაგრამ ამას გუნდების პროგრამაზე არ უმოქმედია - ინჟინრებს ბევრი სამუშაო აქვთ ახალ ძალისმიერ აგრეგატებთან და ასეთ დროს, მნიშვნელობა არ აქვს საბურავების ტიპს.

ყველაზე მეტად გაუჭირდათ „რენოს" კლიენტებს. **სებასტიან ფეტელმა** მხოლოდ რვა წრე გაიარა და ვადაზე ადრე დაასრულა გუშინდელი პროგრამა ძრავაში აკუმულატორის ენერგიის პრობლემების გამო. ახლა, ფეტელს „რედ ბულის" საჭესთან დაბრუნება ბაჰრეინის ტესტებზე მოუწევს, რადგან დღეს RB9-ით **დანიელ რიკარდო** იმუშავებს. საბოლოოდ, ხერესის ტესტების პირველი ორი დღე ავსტრიული საჯინიბოსთვის ძალიან წარუმატებელი აღმოჩნდა - მხოლოდ 11 წრე, არადა, შარშან ანალოგიური მაჩვენებელი 174 წრეს უდრიდა.

„რენოს" ძრავებით აღჭურვილმა სხვა მანქანებმაც დიდი დრო ბოქსებში გაატარეს. **მარკუს ერიქსონი** თავისი „კატერჰემით" მხოლოდ საღამოს გავიდა ტრასაზე, „ტორო როსო" კი მთელი დღე პრობლემების მოგვარებაზე მუშაობდა და ერთი წრის გავლაც ვერ შეძლო.

თუმცა „რენოს" ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, პანიკის საფუძველი არ არსებობს - პროგრამა-მინიმუმ შესრულებული იქნება, თუ ოთხ დღეში 200 კილომეტრს გაივლიან.

უფრო კარგად ჰქონდათ საქმე „მერსედესისა" და „ფერარის" კლიენტებს. გავლილი წრეების მიხედვით, ისინი სხვებზე მაღლა იდგნენ, თუმცა პრობლემები მათაც ჰქონდათ.

პირველად წითელი დროშები მაშინ ააფრიალეს, როცა ტრასიდან **ესტებან გუტიერესი** გადავიდა - მრბოლელმა ვერ დაიმორჩილა მანქანა მეხუთე მოსახვევში და უსაფრთხოების ზონაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ, პირველ მოსახვევში დაჩერდა **სერხიო პერესი** - გადახურების გამო. ხოლო, როცა სესიის დასრულებამდე ერთი საათი რჩებოდა, საჭირო გახდა ერიქსონის „კატერჰემის" ევაკუირება.

კვლავ გამოტოვა დღე „მარუსიამ". ამ გუნდის მანქანა მხოლოდ საღამოს გამოჩნდა ხერესის ტრასაზე და წესით, დღეს უნდა დაიწყოს მუშაობა.

ყველაზე გრძელი დისტანცია - 97 წრე **ნიკო როსბერგმა** გაიარა, ხოლო წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა კიდევ ერთმა პილოტმა „მერსედესის" ძრავით - „მაკლარენის" წევრმა **ჯენსონ ბატონმა**. ამით, ბრიტანულმა საჯინიბომ გუშინდელი დაკარგული დღის კომპენსირება მოახდინა.

| II დღე | |
|---|---|
| 1. ბატონი (McLaren) | 1:24.165 (43 წრე) |
| 2. რაიკონენი (Ferrari) | +0.647 (47) |
| 3. ბოტასი (Williams) | +1.179 (35) |
| 4. როსბერგი (Mercedes) | +1.423 (97) |
| 5. პერესი (Force India) | +4.211 (37) |
| 6. გუტიერესი (Sauber) | +9.105 (53) |
| 7. ერიქსონი (Caterham) | +13.810 (11) |
| 8. ფეტელი (Red Bull) | +14.155 (8) |



ერიკ ბულიე

# მაკლარენი ფრანგს ჩააბარეს

გუშინ, ბრიტანულმა საჯინიბო „მაკლარენმა" დაადასტურა კონტრაქტის გაფორმება „ლოტუსის" ყოფილ შეფთან **ერიკ ბულიესთან**: ფრანგი სპეციალისტი გუნდის სარბოლო დირექტორი იქნება.

ბულიემ გასულ კვირას დატოვა წინა სამუშაო ადგილი, მისი გადასვლა „მაკლარენში" კი რესტრუქტურიზაციის პროგრამის დასაწყისია, რომელსაც **რონ დენისი** უდგას სათავეში. სწორედ ამ უკანასკნელმა აიყვანა პირად კონტროლზე სიტუაცია ჩაგდებული 2013 წლის სეზონის შემდეგ.

ვარაუდობდნენ, რომ ბულიე გახდებოდა გუნდის ხელმძღვანელი, მაგრამ, საბოლოოდ, მან სარბოლო დირექტორის პოსტი დაიკავა. „ავტოსპორტის" ინფორმაციით, ის სათავეში ჩაუდგება „მაკლარენში" მუშაობას, მაგრამ ფუნქციების ნაწილს აღმასრულებელი დირექტორი **ჯონათან ნილი** შეასრულებს. ფორმალურად, საჯინიბოს ხელმძღვანელი არ ეყოლება.

ერიკ ბულიემ, შეზღუდული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, „ლოტუსი" ფორმულა 1-ის ერთ-ერთ ლიდერად აქცია.

# შუმი კომიდან გამოჰყავთ?

ოთხკვირიანი კომის შემდეგ, **მიხაელ შუმახერი** სიცოცხლის პირველ სუსტ ნიშნებს იძლევა - იტყობინებიან ექიმები გრენობლის კლინიკიდან, სადაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია მოთავსებული. ეს ოფიციალური ინფორმაციაა, რომელიც მიხაელის გუნდმა გაავრცელა.

პარალელურად, ფრანგული პრესა წერს, რომ ექიმებმა დაიწყეს შუმახერის კომიდან თანდათან გამოყვანა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით კლინიკის ექიმებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. როგორც იცით, შუმის წარმომადგენლებს ნათქვამი აქვთ - მხოლოდ ექიმების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს უტყუარი და გულშემატკივრებმა არ უნდა დაუჯერონ პრესის განცხადებებს.

თუმცა ავტოსპორტის სამყაროში სწორედ კომიდან გამოყვანის ინფორმაციით დაინტერესდნენ. ავტორიტეტული ფრანგული გაზეთი „ეკიპი" ასეთ რამეს წერს: რამდენიმე ნეიროქირურგიული ოპერაციის გადატანის შემდეგ, შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენცია, რამაც ექიმებს მკურნალობის ახალი ფაზისკენ უბიძგა. როგორც პროფესორი **ჟან-ლუკ მასტეროკი** ამბობს, ოთხი კვირა კრიტიკული ვადაა პაციენტებისთვის, რომლებიც მედიკამენტოზურ კომაში იმყოფებიან. ამ ვადის შემდეგ თანდათან ამცირებენ პრეპარატების ზემოქმედებას და იწყებენ ურთიერთობისთვის საჭირო თვისებების აღდგენას: ადამიანს სთხოვენ მარტივ მოქმედებებს - თვალების გახელასა და დახუჭვას, პირის გაღებას, ხელის თითების ამოძრავებას... შუმახერის შემთხვევაშიც იგივე პროცედურებთან გვექნება საქმე.

მასტეროკს მიაჩნია, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შემთხვევაში, რეაბილიტაცია ხანგრძლივი იქნება. დანამდვილებით რაიმეს თქმა მხოლოდ ორი თვის შემდეგ იქნება შესაძლებელი, სრულ აღდგენას კი რამდენიმე წელი დასჭირდება.



ამერიკული ფეხბურთი



ფლოიდ მეივეზერი

# 10-მილიონიანი ფსონი

მთელი სპორტული სამყარო ამერიკული ფეხბურთის პროფესიული ლიგის ფინალის - სუპერბოულის მოლოდინშია. ეს მატჩი 3 თებერვალს, ისტ-რუზერფორდში გაიმართება და ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან „დენვერ ბრონკოსი" და „სიეტლ სიჰოქსი".

როგორც პორტალი Sbnation წერს, ამერიკელმა მოკრივემ, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა **ფლოიდ მეივეზერმა** 10 მილიონი დოლარის ოდენობის ფსონი გააკეთა „დენვერის" მოგებაზე. თავად მოკრივეს ამ ინფორმაციაზე კომენტარი არ გაუკეთებია. სხვა მონაცემებით, ფლოიდმა სამი მილიონი დადო „დენვერის" მოგებაზე პირველ ტაიმში.

36 წლის მეივეზერი ცნობილია ტოტალიზატორისადმი სიყვარულით. მაგალითად, შარშან ივნისში მან 5.9 მილიონი დოლარი დადო „მაიამისა" და „ინდიანას" მატჩის შედეგზე. მაშინ „პიტის" კალათბურთელებმა გაამართლეს მოკრივის იმედები, როცა შვიდი ქულის სხვაობით მოიგეს. მეივეზერმა იმ ფსონით 11 მილიონზე მეტი მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დოპინგი

# რუსული სკანდალი სოჭის წინ

სოჭის ოლიმპიადის წინ, სამი ბიატლონისტის დოპინგ-სინჯმა აჩვენა დადებითი შედეგი. სპორტსმენები რუსეთსა და ლიტვას წარმოადგენენ.

როგორც ნორვეგიული გამოცემა NRK იტყობინება, ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა უკვე ჩამოაშორა ეს სამი სპორტსმენი საერთაშორისო შეჯიბრებებს. წესის დამრღვევები ორივე სქესს წარმოადგენენ. მათ დადებითი დოპინგსინჯი დეკემბრის ბოლო კვირას, მსოფლიოს თასის ეტაპებს შორის შესვენებისას ჩააბარეს. ბიატლონისტთა გვარებსა და აკრძალული პრეპარატების სახელწოდებას არ ასახელებენ. ვარაუდობენ, რომ მალე გაიხსნება B სინჯი, რის შემდეგაც ნათელი მოეფინება ამ საქმეს.

ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა უკვე ჩააყენა საქმის კურსში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

რუსულ ბიატლონში ბოლო მსხვილი დოპინგსკანდალი ხუთი წლის წინ მოხდა. 2008 წლის დეკემბერში აკრძალული პრეპარატის გამოყენებაში ამხილეს **დმიტრი იაროშენკო, ალბინა ახატოვა** და **ეკატერინა იურევა**.

P. S. გუშინ რუსულმა პრესამ გაარკვია, რომ რუსი ბიატლონისტები, რომელთა სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა - **ირინა სტარიხი** და უკვე ნახსენები იურევა არიან. ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის. სტარიხი შეყვანილია სოჭის ოლიმპიადის განაცხადში, იურევა კი ზამთრის თამაშებზე არ მიემგზავრება.




მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608